

ინტელექტუალური საკუთრების სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2025, №12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2025, №12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2025, №12

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2025, №12

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შინგალია

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

საკიეპელი

საავტორო და მომიჯნავე უფლებები

1. ნაწარმოების რეპროდუცირების აკრძალვა 4
2. ნაწარმოების საჯარო გაცნობა;
საავტორო უფლებების დარღვევისათვის
კომპენსაციის დაკისრება 27
3. ნაწარმოების საჯარო შესრულების აკრძალვა 32
4. ფონოგრამის უკანონო გამოყენება 42

სასაქონლო ნიშანი

1. სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა
აღრევამდე მსგავსი სასაქონლო ნიშანი 53
2. სასამართლოს მიერ მესამე პირის მოთხოვნით
სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება
უნეყვეტად ხუთი წლის განმავლობაში
სასაქონლო ნიშნის გამოყენებლობა 66; 86
გეოგრაფიული წარმოშობის მცდარი წარმოდგენის
აღმნიშვნელი სასაქონლო ნიშანი 101
3. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა
სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია
არაკეთილსინდისიერი განზრახვით 124
4. სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული
კონტრაფაქციული საქონლის განადგურება 132; 144

საავტორო და მომიჯნავე უფლებები

1. ნაწარმოების რეპროდუცირების აკრძალვა

განცხადება საქართველოს სახელმწიფო

№ას-57-2024

27 სექტემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძე

დავის საგანი: საავტორო უფლების დაცვა, კომპენსაციის გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ი-ძის (შემდეგში: მოსარჩელე) სარჩელი, რომლითაც მოთხოვნილი იყო საავტორო უფლებების დაცვა და დ. ზ-ძისათვის (შემდეგში: მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი) კომპენსაციის დაკისრება, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

1.1. მოპასუხეს აეკრძალა 2013 წელს გამოცემული წიგნის, სახელწოდებით – „ზოგადი უნარები, ვერბალური ნაწილი, ლ-ა, – რეპროდუცირება და ზოგადი უნარების (ლოგიკის) შესახებ“ გამოცემა ლ. მ-ის და ნ. ი-ძის ავტორობით, 2003 წელს გამოცემული წიგნის (სახელწოდებით – „ლოგიკა“), – გამოყენებით.

1.2. მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს, საავტორო უფლების დარღვევისთვის დაეკისრა კომპენსაციის 25 000 /ოცდახუთი ათასი/ ლარის გადახდა;

1.3. სარჩელის დანარჩენი ნაწილის (კომპენსაცია მოთხოვნილი იყო 390 /სამას ოთხმოცდაათი ათასი/ 000 ლარის ოდენობით) დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 27 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოპასუხის სააპელაციო საჩივარი, შესაბამისად, უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

3. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები:

3.1. გამომცემლობა „ჯ-იმ“ 2003 წელს წიგნად გამოსცა (მეხუთე გამოცემა) ლ. მ-ის (ან გარდაცვლილი) და ნ. ი-ძის თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი, სახელწოდებით – „ლოგიკა“. ნაშრომი ძირითადად განკუთვნილია სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული სპეციალობების სტუდენტებისთვის. წიგნი 223 გვერდისგან შედგება;

3.2. მოპასუხემ 2013 წლის დეკემბრის ბოლოს გამოსცა წიგნი: ლოგიკის ვერბალური ნაწილის თვითმასწავლებელი, სახელმძღვანელო სახელწოდებით „ზოგადი უნარები, ვერბალური ნაწილი, ლოგიკა: (თბილისი, 2013წ; შემდეგი: თვითმასწავლებელი). წიგნი შედგება 383 გვერდისაგან. იგი განკუთვნილია მოსწავლეებისთვის, აბიტურიენტებისთვის, სტუდენტებისთვის, მაგისტრატურაში ჩამბარებელთათვის და, ზოგადად, ლოგიკით დაინტერესებული პირებისთვის. მოპასუხის (აპელანტის) სახელმძღვანელოში, თეორიულ ნაწილთან ერთად, მოცემულია სავარჯიშოების სახით დართული ტესტები. მოპასუხის სახელმძღვანელოს საცალო ფასი, 2014 წლის 1 ნახევარში შეადგენდა 17/ჩვიდმეტი/ ლარს;

3.3. მოპასუხის (აპელანტის) ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოში, მისი თეორიული ნაწილი მნიშვნელოვნად გადმოტანილია (გადმონერვილია) ლ. მ-ის და ნ. ი-ძის (მოსარჩელის) „ლოგიკიდან“. უცვლელად თუ უმნიშვნელო ცვლილებით;

3.4. მოპასუხის ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოს თეორიული ნაწილი შეესაბამება ტექსტებს ლ. მ-ის და ნ. ი-ძის (მოსარჩელის) „ლოგიკიდან“:

თავი I, §1 მთლიანად (გარდა მე-6 აბზაცის ნაწილისა და გვ.8., მე-2 აბზაცისა, ასევე შეცვლილი და ამოღებულია მაგალითები გვ.7-8), მცირე ცვლილებებით, წყაროს მითითების გარეშე – თავი I, §1,2,3,4, თავი VIII §1; თავი I, §2 მთლიანად (შეცვლილია მაგალითი) მცირე ცვლილებებით, წყაროს მითითების გარეშე – თავი I, §5,8; თავი I, §6, §7; თავი I, §3 მთლიანად, მცირე ცვლილებებით (ბოლო აბზაცის გარდა), წყაროს მითითების გარეშე – თავი II, §1; თავი I, §4, პირველი აბზაცი, წყაროს მითითების გარეშე, მცირე ცვლილებებით- თავი II, §2; თავი I, §5 თეორიული ნაწილი მთლიანად (გვ.17), წყაროს მითითების გარეშე – თავი IV, §2; თავი I, §6 თეორიული ნაწილი (გვ.30), ცვლილებებით, წყაროს მითითების გარეშე – თავი II, §2; თავი II, §4 თეორიული ნაწილი, წყაროს მითითებით – თავი II, §5; თავი III, §1 თეორიული მასალის ნაწილი, წყაროს მითითების გარეშე, შეცვლილია მაგალითი და ასოები, თავი II, §8, თეორიული მასალის ნაწილი გვ.88 წყაროს მითითებით – თავი II, §7; თავი III, §2 თეორიული მასალის ნაწილი, წყაროს მითითების გარეშე, მცირე ცვლილებებით – თავი I, §6; თავი II, §9; თავი III, §5 თეორიული

მასალა მთლიანად, წყაროს მითითების გარეშე, თავი II, §10; თავი III, §6 თეორიული ნაწილი მთლიანად, მე-4-6 აბზაცების გარდა, წყაროს მითითების გარეშე, თავი II, §11; თავი III, §7 თეორიული მასალის ნაწილი, გვ.137, მე-2 აბზაცის ჩათვლით, მცირე ცვლილებებით, წყაროს მითითებით – თავი II, §12; თავი IV, §1, მე-2 აბზაციდან თეორიული ნაწილი მთლიანად, შემოკლებებით, წყაროს მითითების გარეშე, თავი III, §1,2,3; თავი IV, §2, გვ. 164-166 (საკვარჯიშოებამდე), თეორიული ნაწილი მთლიანად, მცირე ცვლილებებით, წყაროს მითითების გარეშე – თავი III, §4; თავი IV, §4, თეორიული ნაწილი მთლიანად, წყაროს მითითებით-თავი III, §5; თავი IV, §6, თეორიული ნაწილი მთლიანად (მითითებულია, რომ განხილული საკითხები უფრო ფართოდაა მოცემული [14] წყაროში §7-12) – თავი III, §7,8, შემოკლებებით გვ. 89-94, §12 მთლიანად, ამოღებულია მხოლოდ ერთი მაგალითი, გვ.102-105; თავი VI, §1, გვ.229, მე-4 აბზაციდან – თეორიული ნაწილი მთლიანად (მცირე ცვლილებებით), ცხრილის ჩათვლით, წყაროს მითითების გარეშე – თავი IV, §2, გვ.108-110; თავი VI, §2, თეორიული ნაწილი მთლიანად, გვ.231, წყაროს მითითებით; გვ.232 მე-4 აბზაციდან მთლიანად(შეცვლილია მაგალითი) – თავი IV, §3, გვ.112-113; თავი VI, §3 თეორიული ნაწილი მთლიანად, მითითებულია, რომ ამ თავის მაგალითები აღებულია [14] წყაროდან – თავი IV, §4-ის ნაწილი, გვ.113-116; თავი VI, §4 თეორიული ნაწილი გვ.236-237, მე-3 აბზაცის ბოლო წინადადებამდე მთლიანად, მითითებულია, რომ ამ პარაგრაფის მაგალითები აღებულია [14] წყაროდან – თავი IV, §4-ის ნაწილი, გვ.116-118; თავი VI, §5 – თეორიული ნაწილი მთლიანად, მითითებულია, რომ ამ პარაგრაფის მაგალითები აღებულია [14] წყაროდან – თავი IV, §5-6 გვ.118-120, 126; თავი VI, §6, გვ.249, დიაგრამების ჩათვლით, წყაროს მითითების გარეშე – თავი IV, §6, გვ.121; გვ.253-254-წყაროს მითითებით – თავი IV, §6, გვ.121-122; თავი VI, §10 – თეორიული ნაწილი მთლიანად, მცირე ცვლილებებით და დამატებებით წყაროს მითითებით – თავი IV, §7 გვ.128-132; თავი VI, §13 – თეორიული ნაწილი მთლიანად, წყაროს მითითების გარეშე – თავი IV, §8 გვ.132-134; თავი VI, §14-თეორიული ნაწილი მთლიანად, წყაროს მითითების გარეშე – თავი IV, §9 გვ.134-136; თავი VII, §1-თეორიული ნაწილი მთლიანად, ბოლო წინადადების გარდა (შეცვლილია მაგალითი) წყაროს მითითების გარეშე – თავი I, §7 გვ.14-15, თავი VI, §1., გვ.151-152; თავი VII, §2-თეორიული ნაწილი მთლიანად, შეცვლილია მაგალითი, წყაროს მითითების გარეშე – თავი VI, §2, გვ.152-153; თავი VII, §3 – თეორიული ნაწილი მთლიანად, წყაროს მითითების გარეშე – თავი VI, §4., გვ.157-159; თავი VIII, §1, §2 – თეორიული ნაწილი მთლიანად, წყაროს მითითების გარეშე – თავი VII, §1, 2,3 (გვ.166-171); თავი IX, §1 თეორიული ნაწილი მთლიანად, ცხრილის ჩათვლით, მცირე ცვლილებებით, ძირითადი

შემოკლებებით, წყაროს მითითების გარეშე – თავი VIII, §1 (გვ.192-195); თავი IX, §2 თეორიული ნაწილი მთლიანად, წყაროს მითითების გარეშე – თავი VIII, §3 (გვ.200-203).

4. მოპასუხემ თავისი ავტორობით სადავო სახელმძღვანელოს გამოცემით დაარღვია მოსარჩელის საავტორო უფლებები. მოპასუხემ გამოსცა ნიგნი სხვისი კუთვნილი ნაწარმოების უნებართვო გამოყენებით, ამავე დროს ზოგ შემთხვევაში გამოყენებული ტექსტის მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული ცვლილებების შეტანით. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონის) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. კანონის მე-17 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით – ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებია: აღიარებულ იქნას ნაწარმოების ავტორად და მოითხოვოს ასეთი აღიარება ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო ნესით, ავტორობის სახელის მითითების მოთხოვნის უფლების ჩათვლით (ავტორობის უფლება); ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს ნაწარმოების სხვაგვარი (ამავე მუხლით განსაზღვრული შემთხვევების გარდა) გამოყენება. მოხმობილი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ავტორს ან განსაკუთრებული საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს მიიღოს საავტორო ჰონორარი მისი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის.

5. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, უდავოა, რომ მოპასუხემ (აპელანტმა) მოსარჩელის თანაავტორობით გამოცემული ნიგნიდან „ლოგიკა“ თეორიული მასალა გამოიყენა ავტორის თანხმობის გარეშე.

6. მოპასუხემ მიუთითა სპეციალური კანონის 23-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე და განმარტა, რომ მის მიერ გამოცემულ ნიგნში ციტირება მოხდა, შესაბამისად, ასეთ დროს ავტორის თანხმობა არ მოითხოვება; რაც შეეხება დასესხების წყაროს მითითებას, „თვითმასწავლებელში“ წყარო 18-ჯერ არის დასახელებული, მათ შორის შესავალში, სადაც მითითებულია, რომ ტერმინოლოგიური და თეორიული მითითებების გადმოსაცემად ავტორი დაეყრდნო ძირითადად [14] ნიგნს, ასევე წყარო მითითებულია გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში.

7. აპელანტის (მოპასუხის) მტკიცების საწინააღმდეგოდ სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხის მიერ გამოყენებული ტექსტების მოცულობა და

ფორმატი ცდება ციტატის ფარგლებს. სპეციალური კანონის 23-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს მითითებით ციტირება დასაშვებია სამეცნიერო, კვლევითი პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის, ამასთან მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში წიგნიდან „ლოგიკა“ ტექსტების ამგვარი გამოყენება (გადმოტანა) არ შეესაბამება მოყვანილი ნორმით განსაზღვრულ მიზნებს და არც ციტირების მიზნითაა გამართლებული. ციტატა განიმარტება, როგორც ნაშრომში სხვა ტექსტიდან სიტყვასიტყვით, უცვლელად გადმოტანილი მონაკვეთი და, როგორც წესი, ნაშრომის ავტორის მოსაზრების გასამყარებლად, დასამონმებლად, საწინააღმდეგო თვალსაზრისით მოსაყვანად, თვალსაჩინოებისათვის და ა.შ. გამოიყენება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხის მიერ „თვითმასწავლებელში“ წიგნიდან „ლოგიკიდან“ ტექსტების გადმოტანა, გადმოტანილი ფრაგმენტების მოცულობისა და რაოდენობის გათვალისწინებით, ამასთან ისე, რომ არ ჩანს გადმოტანილი ფრაგმენტით თავად ავტორის მოსაზრების გამყარების, დამონმების ან სხვა მიზანი, ვერ ჩაითვლება ციტირებად. ასევე, დასაბუთებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა ციტირების ფორმალური მხარის დარღვევასთან დაკავშირებით. არ არის გასაზიარებელი აპელანტის (მოპასუხის) მტკიცება, რომ ციტირების წესები დაცულია, რადგან „თვითმასწავლებელში“ 18-ჯერ არის მითითება დასესხების წყაროზე. სპეციალური კანონის 23-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილია სხვა ავტორის ნაწარმოების გამოყენების დასაშვებობა ციტატის სახით. ციტირების წესები ნორმატიულად განსაზღვრული და დადგენილი არ არის, სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო დაწესებულება თვითონ განსაზღვრავს ციტირების მისთვის მისაღებ წესებსა და სტანდარტებს, თუმცა, ყველგან ხაზგასმულია წყაროდ მოყვანილი ციტატების თუ იდეების მკაფიოდ გამოყოფის აუცილებლობა, იქნება ეს ბრჭყალების, განსხვავებული შრიფტის (დახრილი, გამუქებული) თუ სქოლიოს მეშვეობით (მაგალითისთვის იხ. აპელანტის მიერვე მითითებული <https://erasmusplus.ogr.ge/files/publications/plagiati.pdf>), ამასთან, ბიბლიოგრაფიასა და შესავალში წყაროს მითითება არ ათავისუფლებს ავტორს ვალდებულებისაგან, რომ ყოველი ციტატა მკაფიოდ გამოყოს და მიუთითოს დასესხების წყაროზე.

8. განსახილველ შემთხვევაში წყაროდან აღებული ტექსტები, უმეტეს შემთხვევაში, გამოყენებულია გამოყოფისა და დასესხების წყაროს მითითების გარეშე (იხ. წინამდებარე განჩინების 3.4 ქვეპუნქტი),

ზოგიერთ შემთხვევაში წყარო მითითებულია, თუმცა, იმგვარად, რომ არ ირკვევა, ტექსტის რა ნაწილს მიემართება (მაგალითად: გვ. 88, 231, 288), ზოგჯერ კი მითითებულია, რომ მაგალითები აღებულია წყაროდან, თუმცა, გარდა მაგალითებისა, თეორიული მასალაც არის წყაროდან აღებული. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოპასუხის მიერ „თვითმასწავლებელში“ ნ. ი-ძისა და ლ. მ-ის თანაავტორობით გამოცემული წიგნიდან „ლოგიკა“ ტექსტების გამოყენება არ შეესაბამება სპეციალური კანონის 23-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევას და საჭიროება ავტორის თანხმობას. ამდენად, გაზიარებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხემ მისი ავტორობით სადავო სახელმძღვანელოს გამოცემით დაარღვია მოსარჩელის საავტორო უფლება; მოპასუხემ გამოსცა წიგნი სხვისი კუთვნილი ნაწარმოების უნებართვო გამოყენებით.

9. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის (მოპასუხის) მტკიცება, რომ მას არ ევალუბოდა წყაროს მითითება, რადგან ფაქტების, ასევე საყოველთაოდ მიღებული ცოდნის, დარგში აღიარებული დებულებების მითითება საჭირო არ არის, ხოლო ლოგიკის კანონები ზუსტად ასეთი საყოველთაოდ აღიარებული დებულებებია, ისინი ყალიბდებოდნენ 25 საუკუნის განმავლობაში და უკვე დიდი ხანია სხვადასხვა წიგნში მიიღეს გარკვეული დასრულებული სახე. სააპელაციო სასამართლომ სპეციალური კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი მოიხმომო, რომლის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის 2 (1) მუხლის თანახმად „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები“ მოიცავს ყველა ნამუშევარს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში, როგორი საშუალებითაც და ფორმითაც არ უნდა იყოს იგი გამოხატული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამეცნიერო ნაშრომებზე საავტორო უფლებები ვრცელდება არა ამ დარგში დამკვიდრებულ ცნებებზე, დებულებებსა და განსაზღვრებებზე, არამედ მათი გამოხატვის ფორმებზე: „სამეცნიერო ნაშრომები დაცულია საავტორო უფლებებით არა ნაშრომების სამეცნიერო ხასიათის, არამედ მათი გამოხატვის ფორმის გამო. უნდა ითქვას, რომ დაცვას ექვემდებარება არა ნაწარმოების იდეა და შინაარსი, არამედ მისი გამოხატვის საშუალება (სიტყვები, ნოტები, ნახაზები და ა.შ.), რაც წარმოადგენს ნაწარმოებზე დაცვის გავრცელების ფუნდამენტურ პრინციპს“ (იხ. და-

ვით გაბუნია, გიორგი თაქთაქიშვილი – „საერთაშორისო საავტორო სამართალ“, წიგნი I, 2016, გვ.21; https://www.sakpatenti.gov.ge/media/publication_pdf/Gabunia_book_1_nY4sFAz.pdf).

10. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის (აპელანტის) მტკიცება, რომ წიგნიდან „ლოგიკა“ აღებულ ტექსტებში მის მიერ შეტანილი ცვლილებებით მოხდა „ლოგიკაში“ არსებული შეცდომების გასწორება და ამით შეიცვალა ტექსტი ისე, რომ ტექსტები ერთმანეთისაგან განსხვავებულია ლოგიკურად, ანუ სხვადასხვა აზრის განსხვავებული გამონათქვამებია. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად კი, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხე იყო ვალდებული, თავისი მტკიცების გასამყარებლად წარედგინა სასამართლოსთვის შესაბამისი მტკიცებულებები, რაც მას არ განუხორციელებია, ხოლო მხოლოდ ზეპირი განმარტება, რომ „ლოგიკიდან“ აღებულ ტექსტებში ცვლილებების შეტანით მოპასუხე შეეცადა თავიდან აეცილებინა მაქსიმალური მსგავსება ტექსტებს შორის, არ იქნა დამტკიცებული, რის გამოც სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის შედავაება.

11. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის (აპელანტის) მტკიცება, რომ ნ. ი-ძისა და ლ. მ-ის წიგნში არსებული ტექსტები იდენტურია სხვა ავტორების ტექსტებისა, რის გამოც მოსარჩელეს საავტორო უფლების დარღვევის მოთხოვნის უფლება არ აქვს. სასამართლომ კვლავაც შეჯიბრებითობის პრინციპზე მითითებით განმარტა, რომ მოსარჩელემ შეძლო, დაემტკიცებინა მოპასუხის მიერ მისი ავტორობით გამოცემული ნაწარმოების უნებართვო გამოყენებით მოსარჩელის საავტორო უფლების დარღვევის ფაქტი, შესაბამისად, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მოსარჩელის საავტორო უფლება არ არის დარღვეული (ეს უფლება მას არ ეკუთვნის), რადგან წიგნ

„ლოგიკაში“ მოცემული ტექსტები იდენტურია სხვა ავტორების ტექსტებისა, ეკისრება მოპასუხეს, რაც ამ უკანასკნელმა ვერ დაამტკიცა.

12. სპეციალური კანონის მე-9 მუხლით, რომელიც საავტორო უფლების წარმოშობას არეგულირებს, დადგენილია: 1. საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუქციების საშუალებას იძლევა. 2. საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმალობათა დაცვა. 3. (ამოღებულია). 4. განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელს თავისი უფლების განცხადებისათვის შეუძლია გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან: ა) ლათინური ასო C წრეწირში: ©; ბ) განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელის სახელი (დასახელება); გ) ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის თანავტორობით გამოცემულ ნაწარმოებზე – წიგნზე – დასმულია საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, ნ. ი-ის და ლ. მ-ის საავტორო უფლება შედავებული არ ყოფილა (ასეთზე მოპასუხე ვერ მიუთითებს), შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხის მტკიცება, რომ „თვითმასწავლებელში“ წიგნ „ლოგიკის“ ტექსტზე საავტორო უფლებები მოსარჩელეს არ ეკუთვნის და მისი ფრაგმენტების გამოყენებით მოსარჩელის საავტორო უფლებები არ დარღვეულა, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

13. სპეციალური კანონის 59.1 მუხლით საავტორო უფლების მფლობელს, მომიჯნავე უფლებების მფლობელს ან მონაცემთა ბაზის დამამზადებელს უფლება აქვს, დამრღვევისაგან მოითხოვოს: ბ) უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს; დ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით), თუ დამრღვევმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა საავტორო უფლების, მომიჯნავე უფლებების ან მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების დარღვევის შესახებ; ვ) მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდა. ამასთან, კომპენსაცია არ უნდა იყოს დარღვეული უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში უფლების მფლობელის მიერ მისაღები ფულადი ანაზღაურების ათმაგ ოდენობაზე ნაკლები. 59.7 მუხლით კი ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს უფლების დარღვე-

ვის სიმძიმე, კონტრაფაქციული ასლების რაოდენობა, დამრღვევის განზრახვა ან/და ნებისმიერი სხვა გარემოება, რომელიც კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული. საავტორო უფლების მფლობელს ამავე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების მოთხოვნის უფლება აქვს დამრღვევის მიმართ, ხოლო საავტორო უფლების დამრღვევად კი სპეციალური კანონის 58.2 მუხლით მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ ასრულებს ამ კანონის მოთხოვნებს. კანონის მოთხოვნის შეუსრულებლობად ითვლება საავტორო უფლების ობიექტის უნებართვო გამოყენება. შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელე უფლებამოსილია, მოითხოვოს როგორც მისი ნაწარმოების შემდგომი გამოყენების აკრძალვა „თვითმასწავლებლის“ კვლავ გამოცემის გზით, ასევე – ფულადი კომპენსაცია საავტორო უფლების დარღვევისათვის. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ კომპენსაციის განსაზღვრის ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად დაადგინა, რომ მოსარჩელე, მისი უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში, შეძლებდა ჰონორარის სახით მიეღო 2 500 ლარი, რაც გონივრულ ოდენობაა დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით და ამ თანხის ათმაგი ოდენობით მართებულად დაეკისრა მოპასუხეს კომპენსაცია სპეციალური კანონის საფუძველზე.

14. სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ასევე იმსჯელა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 23 სექტემბრის საოქმო განჩინების გაუქმებაზე, რომლითაც ც. კ. ას (მოსარჩელესთან ერთად თანაავტორ ლ. მ-ის მემკვიდრის) მოსარჩელის მხარეს, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, მესამე პირად ჩაბმის თაობაზე და დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის მოთხოვნა ამ ნაწილშიც. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მესამე პირს მემკვიდრეობით აქვს მიღებული გარდაცვლილი ლ. მ-ის საავტორო უფლებები. სპეციალური კანონის 35-ე მუხლით დადგენილია საავტორო უფლების გადაცემის საფუძველები, კერძოდ: 1. საავტორო უფლება გადაიცემა კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობის წესით ანდა ხელშეკრულებით. 2. კანონით მემკვიდრეებზე საავტორო უფლების მოქმედების ვადის ფარგლებში გადადის ამ კანონის მე-18 მუხლში აღნიშნული ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლებები, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საქმეში წარმოდგენილია 2013 წლის 9 აგვისტოს გაცემული სამკვიდრო მონმობა, რომლითაც ც. კ-ამ მიიღო ლ. მ-ის (გარდაცვალების თარიღია 7.02.2023წ.) სამკვიდრო. სამკვიდრო მონმობის თანახმად, ც. კ-ამ, როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ, მემკვიდრეობით მიიღო შემდეგი სამკვიდრო ქო-

ნება, თავისი აქტივებით (მოძრავი და უძრავი ნივთები, წილები სამე-
ნარმეო საზოგადოებაში, მოთხოვნის უფლება მიუღებელ პენსიაზე, ნე-
ბისმიერ საბანკო დაწესებულებაში განთავსებულ საბანკო ანაბარზე
და სხვა არაპირადი ხასიათის უფლებები, რომელიც ჰქონდა მამკვიდ-
რებელს მესამე პირთა მიმართ (მათი არსებობის შემთხვევაში)) და პა-
სივებით (მამკვიდრებლის შეუსრულებელი ვალდებულებები მესამე
პირთა მიმართ- მიღებული სამკვიდრო ღირებულების ფარგლებში), რო-
მელიც მამკვიდრებელს გააჩნდა გარდაცვალების მომენტისათვის. სა-
ქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 1328-ე მუხლით
სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქო-
ნებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდ-
რო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენ-
ტისათვის. მესამე პირის მიერ სამკვიდროს მიღება იმას ნიშნავს, რომ
მან მემკვიდრეობით მიიღო ნებისმიერი ტიპის აქტივი, მათ შორის –
მამკვიდრებლის საავტორო უფლებები, რომლის მისაღებად სამოქალა-
ქო კოდექსი ან სპეციალური კანონი კანონით მემკვიდრეობის დროს
რაიმე სპეციალურ დათქმებს არ ადგენს. შესაბამისად, საქალაქო სასა-
მართლოს საოქმო განჩინება მოსარჩელის მხარეს დამოუკიდებელი სა-
სარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ც. კ-ას, როგორც ლ. მ-ის
უფლებამონაცვლის (მემკვიდრის), ჩაბმის შესახებ, დასაბუთებულია
და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

15. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

15.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასა-
ჩივრა მოპასუხემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და
საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა შემდეგ ძირი-
თად არეგუმენტებზე დაყრდნობით:

15.1.1. არ არის გამოკვლეული საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელო-
ვანი გარემოებები, მოპასუხის მიერ დაზუსტებულ სააპელაციო საჩი-
ვარში ასახული ფაქტობრივი უზუსტობები უპასუხოდ არის დატოვე-
ბული. გასაჩივრებული განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა პირ-
ველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ძირითადად ეყრდნო-
ბა მოსარჩელის მიერ წიგნის გამოცემას, რომელიც „საავტორო და მო-
მიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-
3 პუნქტით არ განიხილება. სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმეში
წარდგენილი მტკიცებულება – ელ-ფოსტაზე მიმონერა, რომელიც ადას-
ტურებს, რომ მოსარჩელე სთხოვდა მოპასუხეს მის წიგნში არსებული
შეცდომების გასწორებაში დახმარებისთვის წინასწარ შეთანხმებას;

15.1.2. მოსარჩელე მოპასუხეს სდებს პლაგიატში ბრალს, თუმცა, მო-
სარჩელემ უკანონოდ გადაიტანა მის წიგნში მისივე მასწავლებლის კ.
ბ-ძის წიგნებიდან [4] [5], ყოველგვარი მითითების გარეშე. კასატორი

ვრცლად აღწერს საკასაციო საჩივარში პირველი ინსტანციის სამართალწარმების ეტაპზე მის მიერ წარდგენილ სხვადასხვა შუამდგომლობას, მათ შორის სხდომის გადადებებზე უთითებს, ასევე – ადვოკატ გ. ბ-ძე (რომელიც ინფარქტით გარდაიცვალა), რომელმაც „სიკვდილამდე 2019 წლის აგვისტოში მომიყვა ზენოლაზე და ვილაც პარლამენტის მაღალჩინოსანზე, რომელიც კურირებდა სასამართლო პროცესს. რა თქმა უნდა, 29.09.2015წ. მთავარი სხდომა არ ჩატარდა“; საკასაციო საჩივარში ასევე მითითებულია, კასატორის მტკიცებით, „პროცედურული მანიპულაციით“ სხდომების ჩაუტარებლობაზე. კასატორს მიაჩნია, რომ მის მიერ აღწერილი საპროცესო დარღვევები რომ არ მომხდარიყო, საქმეზე სხვა გადანყევტილება იქნებოდა მიღებული და სარჩელი არ დააკმაყოფილებოდა, მისი დაუსაბუთებლობის გამო;

15.1.3. კასატორი უთითებს, რომ გადანყევტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, არასწორად არის დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები;

15.1.4. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სსსკ-ის 162-ე მუხლი და „მარტივი შედარების მეთოდით“ თვითონ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები. პირველი ინსტანციის მოსამართლემ თვითონვე აღიარა ლოგიკის არცოდნა, „ასეთ ვითარებაში მას უნდა მოეწვია სპეციალისტი ან გაეკეთებინა ექსპერტიზა დასესხების შესახებ კანონის შესრულებაზე და დასესხების კანონთან შესაბამისობის დასადგენად, მან გადანყევტილებაში სპეციალურად არ განიხილა ციტირებები, რომელიც 23-ე მუხლის საფუძველზე ადასტურებს კანონის დაცვას მოპასუხის მიერ“. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნაზე და არც თვითონ დანიშნა, რითაც მოსარჩელესთან არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა მოპასუხე;

15.1.5. სასამართლომ არასწორად განმარტა სპეციალური კანონი, 23-ე მუხლი „ა“ ქვეპუნქტის ციტირების თაობაზე;

15.1.6. დაუსაბუთებელია მოპასუხისათვის დაკისრებული კომპენსაცია და მისი გონივრულობა, რადგან მოსარჩელეს არ დაუმტკიცებია მის მიერ განცდილი ზიანი, ხოლო წიგნის დაბეჭდვის იდეა, რომელიც სასამართლომ განიხილა, კანონის დაცვის ობიექტი არ არის (მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი). წიგნის ძველი ტირაჟი მთლიანად გაყიდულია, ხოლო ახალი წიგნის გამოცემის რაიმე ხარჯი არ არის განეული, შესაბამისად, ზიანი არ არსებობს;

15.1.7. კასატორი საკასაციო საჩივარში ვრცლად მსჯელობს კონკრეტულ ცნებებზე, მათ შორის არსებულ განსხვავებებზე.

15.2. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024

ნლის 22 მარტის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი არსებითად განხილვის მიზნით სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შეფასებისა და საკასაციო საჩივრის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობის, მხოლოდ მოცემული დავისათვის სამართლებრივად მნიშვნელობის მქონე შედეგების ფარგლებში, არსებითი განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, სასამართლო არ არის ვალდებული ყველა არარასებით შედეგების შესახებ იმსჯელოს (იხ. ჯლარკვა საქართველოს წინააღმდეგ“ №7932/03; „Van de Hurk v. Netherlands“, პარ.61, „Garcia Ruiz v. Spain [GC]“ პარ.26; „Jahnke and Lenoble v France (dec.)“; „Perez v France [GC]“, პარ. 81); „Boldea v. Romania“, პარ. 30.)

16. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

17. ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განხილვაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება (შეად. სუსგ-ებს: №ას-475-2019, 15.04.2021წ; №ას-1065-2020, 08.04.2021წ; №ას-338-2019, 22.03.2021წ; №ას-156-2023, 24.07.2023წ; №ას-1186-2023, 24.09.2024წ.).

20. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარ-

მოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

21. მტკიცების ტვირთს ანესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძველის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონინალმდევე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

22. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების (იხ. ნინამდებარე განჩინების 3.1-3.4 ქვეპუნქტები) საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორმა ვერ შეძლო მისი მტკიცების ტვირთის რეალიზება სარჩელის უარსაყოფად. დადგენილია, რომ მოპასუხემ მოსარჩელე მხარეს-

თან შეუთანხმებლად გამოიყენა მათი ნაწარმოები, მისი თითქმის ერთი მესამედი ნაწილი, 140-მდე ფრაგმენტის სახით, გადაიტანა (გადანერა) მის მიერ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში, ნაწილი უცვლელი სახით, ნაწილი – გარკვეული, მცირე ცვლილებით (შესწორებებით), თუმცა, ეს შესწორებებიც მოსარჩელის თანხმობის გარეშეა შეტანილი. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და დასკვნას, რომ მოპასუხემ, მისი ავტორობით, სადავო სახელმძღვანელოს გამოცემით დაარღვია მოსარჩელე მხარის საავტორო უფლებები. მოპასუხემ გამოსცა ნიგნი სხვისი კუთვნილი ნაწარმოების უნებართვო გამოყენებით, გადანერით, ამავე დროს, ზოგ შემთხვევაში, გამოყენებულ ტექსტში მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული ცვლილებების შეტანით. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სადავო სახელმძღვანელოში მოპასუხის მიერ მოსარჩელე მხარის ნიგნიდან ტექსტი პრაქტიკულად უცვლელად არის გადატანილი (გამოყენებული), ზოგიერ შემთხვევაში, ერთი ან ორი სიტყვა უმნიშვნელოდ არის შეცვლილი, ამოღებული ან ჩამატებული. მაგალითად, „ლოგის“ I თავის, §2-ში (გვ. 3-4) იკითხება: „აზროვნების ერთ-ერთი მიზანია სინამდვილის შემეცნება, ჭეშმარიტების დადგენა-გარკვევა, მაგრამ რაზე და რა პირობებში ვამბობთ, რომ ის ჭეშმარიტია ან მცდარი? როგორც ჭეშმარიტს, ან მცდარს ვახსიათებთ თხრობით წინადადებაში გამოთქმულ აზრს. სიტყვა „აზრი“ კი, თავის მხრივ, ნიშნავს რაიმე ვითარებას, საზოგადოდ არააზროვნებითი, საგნობრივი ვითარების მოსაზრებას, ცნობიერებაში მის წარმოდგენას (რეპრეზენტაციას), ცნობიერების შინაარსად მის გადაქცევას. საგნობრივი ვითარება არის საგნებისა და მოვლენების მიერ გარკვეული ნიშან-თვისებების ქონის, ან არქონის ვითარება. ცნობიერების შინაარსად მისი გადაქცევა მსჯელობით ხდება. მსჯელობა არის თხრობით წინადადებაში გამოთქმული აზრი, რომლითაც ცნობიერებაში მოცემულია რაიმე საგნობრივი ვითარება და ამ ვითარების სინამდვილეში განხორციელების დასტური, ან უარყოფა. მაგალითად, მსჯელობა „ეს ვარდი ნითელია“ ადასტურებს ამ ვარდის სინითლის გამოხატულებას სინამდვილეში, ხოლო მსჯელობა „მზე არ ბრუნავს დედამიწის გარშემო“ უარყოფს დედამიწის გარშემო მზის ბრუნვის ვითარების არსებობას. თუ მსჯელობა ადასტურებს რაიმე საგნობრივი ვითარების განხორციელებას სინამდვილეში და ეს ვითარება მართლაც არსებობს, ან თუ უარყოფს ამ ვითარების განხორციელებას და იგი მართლაც არ არსებობს, მაშინ მსჯელობა ჭეშმარიტია. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მცდარია. ჭეშმარიტებას და მცდარობას მსჯელობის და მასთან ერთად მისი გამოთქმელი თხრობითი წინადადების ჭეშმარიტების მნიშვნელობები ეწოდება...“. მოპასუხის სახელმძღვანელოში, I თავის §1-ში ვკითხულობთ: „აზროვნების

ერთ-ერთი მიზანია სინამდვილის შემეცნება, ჭეშმარიტობის დადგენა-გარკვევა. მაგრამ რაზე და რა პირობებში ვამბობთ, რომ ის ჭეშმარიტია ან მცდარი? როგორც ჭეშმარიტს, ან მცდარს ვახასიათებთ წინადადებაში გამოთქმულ აზრს. სიტყვა „აზრი“ კი, თავის მხრივ, ნიშნავს რაიმე ვითარების, საზოგადოდ არააზროვნებითი, საგნობრივი ვითარების მოსაზრებას, ცნობიერებაში მის წარმოდგენას, ცნობიერების შინაარსად მის გადაქცევას. საგნობრივი ვითარება არის საგნებისა და მოვლენების მიერ გარკვეული ნიშან-თვისებების ქონა-არქონის ვითარება. ცნობიერების შინაარსად მისი გადაქცევა მსჯელობით ხდება. მსჯელობა არის წინადადებაში გამოთქმული აზრი, რომლითაც ცნობიერებაში მოცემულია რაიმე საგნობრივი ვითარება და ამ ვითარების სინამდვილეში განხორციელების დასტური, ან უარყოფა. მაგალითად, მსჯელობა „ეს ვარდი წითელია“ ადასტურებს ამ ვარდის სინთლის განხორციელებას სინამდვილეში, ხოლო მსჯელობა „მზე არ ბრუნავს დედამიწის გარშემო“ უარყოფს დედამიწის გარშემო მზის ბრუნვის ვითარების არსებობას. თუ მსჯელობა ადასტურებს რაიმე საგნობრივი ვითარების განხორციელებას სინამდვილეში და ეს ვითარება მართლაც არსებობს, ან თუ მსჯელობა უარყოფს რაიმე საგნობრივი ვითარების განხორციელებას და იგი მართლაც არ არსებობს, მაშინ მსჯელობა ჭეშმარიტია. წინააღმდეგ შემთხვევაში მსჯელობა მცდარია... ჭეშმარიტობას და მცდარობას მსჯელობის და მასთან ერთად მისი გამოთქმული თხრობითი წინადადების (გამონათქვამების) ჭეშმარიტების მნიშვნელობები ეწოდება...“. შედარებული წიგნებიდან ამ ორი ფრაგმენტის შედარებითაც კი ცხადი ხდება ტექსტის მოცულობის სიდიდე, ტექსტის მაქსიმალური იგივეობა. ამასთან, იგივეა არა მხოლოდ ცნებათა განმარტებები, არამედ, წიგნებში მოხმობილი მაგალითები, გადმოცემის, მსჯელობის სტილი და ამ დროს გამოყენებული სიტყვები, ფრაზები. განსხვავება კი შემდეგში მდგომარეობს: სიტყვა „ჭეშმარიტების“ ნაცვლად მოპასუხემ ორ ადგილზე გამოიყენა – „ჭეშმარიტობა“, ორ ადგილზე „წინადადებასთან“ მოპასუხემ არ გამოიყენა სიტყვა „თხრობითი“, ამოიღო სიტყვა „რეპრეზენტაცია“, ასევე, „ქონის, ან არქონის“ ნაცვლად გამოიყენა სიტყვა „ქონა-არქონა“;

23. მოპასუხეს/კასატორს სახელმძღვანელოს გამოცემისას, მასში გამოყენებული აქვს (მაქსიმალური იგივეობით, თეორიული ნაწილი სავარჯიშოებით, მსჯელობის სტილით „ლოგიკის“ მასალის, ჯამში – 61 გვერდი, მისი 27%, ფრაგმენტები, შემდეგი თავებიდან: „ლოგიკის“ თავი I-ის § 1; §2; §3; §4; §5; §6; თავი II-ის §1; §2; §3; §4; §5; §6; §7; §8; §9; §10; §11; §12; §14; თავი III-ის §1; §2; §3; §4; §5; §7; §8; §12; თავი IV-ის §1; §2; §3; §4; §5; §6; §7; §8; §9; §10; თავი VI-ის §1; §2; §4; თავი VII-ის §1; §2; თავი VIII-ის §1; §2; §3. „ლოგიკის“ სახელმძღვანელოდან დ. ზ-ძეს

გამოყენებული აქვს ნაშრომი შემდეგი გვერდებიდან: გვ: 3; 4; 6; 9; 10; 11; 12; 13; 14; 16; 17; 18; 20; 23; 25; 26; 27; 28; 29; 30; 31; 37; 38; 42; 43; 46; 47; 48; 49; 52; 53; 54; 55; 60; 71; 74; 75; 76; 77; 78; 79; 80; 81; 82; 83; 89; 90; 91; 92; 93; 94; 102; 103; 104; 105; 108; 109; 110; 111; 112; 113; 114; 115; 116; 117; 118; 119; 120; 121; 122; 128; 129; 130; 132; 133; 134; 135; 136; 137; 138; 151; 152; 153; 154; 157; 159; 167; 168; 169; 170; 171; 193; 194; 195; 200; 201; 202; 203; 204.

23. კასატორის პრეტენზია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმეში წარდგენილი მტკიცებულება – ელ-ფოსტაზე მიმონერა, რომელიც ადასტურებს, რომ მოსარჩელე სთხოვდა მოპასუხეს მის წიგნში არსებული შეცდომების გასწორებაში დახმარებისთვის წინასწარ შეთანხმებას, დაუსაბუთებელია და ვერ აბათილებს სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს. საქმის მასალებში მოთავსებულია მოსარჩელის – ნ. ი-ძის წერილი მოპასუხისადმი (ელ-ფოსტით გადაგზავნილი), რომლის მიხედვით სწორედ ის დგინდება, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის გადაგზავნილი ტექსტი ნ. ი-ძისა და ლ. მ-ის თანაავტორობით გამოცემული წიგნის შევსებაა სავარჯიშოებით. მოსარჩელე ნ. ი-ძე თვითონ აპირებდა „ლოგიკის“ გადამუშავებული სახით გამოცემას. მითითებული წერილის მიხედვით მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მისთვის მოპასუხის მიერ გაგზავნილი ტექსტი არსებითად, „ლოგიკის“ სავარჯიშოების შეკრება იყო და აღნიშნულის საფუძველზე, უარი განაცხადა მოპასუხის წინადადებაზე, ერთობლივად, თანაავტორობით გამოეცათ სახელმძღვანელო, რომელიც ნ. ი-ძისა და ლ. მ-ის თანაავტორობით უკვე გამოცემული წიგნის მოპასუხისეულ შევსებას წარმოადგენდა. 25.12.2013 წლის წერილობით პასუხში მოსარჩელე მოპასუხეს პასუხობს: „მე უკვე არსებითად დავამთავრე ლ. მ-ის და ჩემი ავტორობით შექმნილი ლოგიკის სახელმძღვანელოს გადამუშავება. ნაწილობრივ გავაფართოვე თეორიული ნაწილი და ყოველ თეორიულ მასალას დავურთე სათანადო სავარჯიშოები, რათა სახელმძღვანელომ სრულად უზრუნველყოს ლოგიკის, კრიტიკული აზროვნებისა და კამათის თეორიის კურსის, თეორიული და პრაქტიკული სწავლება. გადამუშავებისას გამოვიყენე როგორც ჩემს მიერ მომზადებული მასალები, ისე ან გარდაცვლილი ჩემი მასწავლებლის და მეგობრის, ლ. მ-ის მიერ სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები. ესეც რომ არ იყოს, რადგან თქვენ მიერ გამოგზავნილი ტექსტი არსებითად ჩვენი წიგნის შევსებაა სავარჯიშოებით, მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ლ. მ-ი დაეთანხმებოდა ჩვენი წიგნის ამგვარ მოდიფიცირებას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვერ მივიღებ წინადადებას, ერთობლივი თანაავტორობით გამოეცეთ ჩვენი სახელმძღვანელოს თქვენეული შევსება“. ეს მტკიცებულება გამოკვლეულია და მხარეთა შორის სა-

დავოდ მიჩნეული გარემოება დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, რაც გაზიარებულია სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (რომლითაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება), ხოლო კასატორს სანინალმდეგო არგუმენტი არ შემოუთავაზებია საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მხარეთა შორის ელ-ფოსტით მიმონერა სწორედ იმას ადასტურებს, რომ მოსარჩელე არ დაეთანხმა მოპასუხეს, რომ თანაავტორობით (მოსარჩელისა და მოპასუხის) გამოცემულიყო სახელმძღვანელო, რომელიც მოსარჩელისა და ლ. მ-ის თანაავტორობით უკვე გამოცემული ნიგნის არსებითად გამეორებას წარმოადგენდა, შევსებულს მოპასუხისეული სავარჯიშოებით. მოსარჩელემ მოპასუხის ამ პრეტენზიასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს წარუდგინა დასაბუთებული განმარტება, ისევე, როგორც მოპასუხეს აქვს წარდგენილი ვრცელი წერილობითი მოსაზრება, რაც გამოკვლეულია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ და შესწავლილია საკასაციო სასამართლოს მიერ. კასატორის პრეტენზია დაუსაბუთებელია.

24. კასატორის მორიგი პრეტენზია პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომების გადადებისა და „მაღალჩინოსნის“ მხრიდან „სასამართლო პროცესის კურირებაზე“ დაუსაბუთებელია. საქმის მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მოპასუხემ სარჩელის პასუხად წარდგენილ წერილობით შესაგებელში, რომელიც სასამართლოში რეგისტრირებულია 2014 წლის 25 აგვისტოს და თავისი შინაარსით, მარტივი შესაგებელია, რადგან მხოლოდ ზოგადი პასუხებია გაცემული სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებზე, მოითხოვა დამატებითი ორკვირიანი ვადა დაზუსტებული შესაგებლის წარსადგენად, რაც არ წარუდგენია დაზუსტებული სახით. მეტიც, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 3 ნოემბრის სხდომის ოქმში მითითებულია, რომ არ იქნა გაზიარებული მოპასუხის პრეტენზია, რომ მის მიერ წარდგენილი, საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები არ მიიღო სასამართლომ. ამავე ოქმში „სასამართლო განმარტავს, რომ ნ. ი-ქმ სარჩელით მომართა სასამართლოს 2014 წლის 6 აგვისტოს. ამავე წლის 25 აგვისტოს მოპასუხემ შემოიტანა შესაგებელი, სადაც მხარე მიუთითებდა, რომ წარმოადგენდა დაზუსტებულ შესაგებელს. შესაგებლის შემოსვლიდან დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში, სასამართლო იმყოფებოდა მოსამზადებელ სტადიაზე. 2015 წლის 24 ივნისს სასამართლომ მიიღო მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ განჩინება. ამ დრომდე მხარეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, წარმოედგინათ მათ ხელთ არსებული და საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები. მოპასუხე მხარემ, მხოლოდ მთავარ სხდომაზე წარმოადგინა მის ხელთ არსებული დოკუმენტები,

რომელთა მოსამზადებელ სტადიაზე წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზის შესახებ ვერ მიუთითა სასამართლოს“. რაც შეეხება საკასაციო პრეტენზიას 29.09.2015 წლის სხდომის ჩაუტარებლობის შესახებ, რომლის თაობაზე, როგორც კასატორი უთითებს 2019 წელს უთხრა მოპასუხის წინა წარმომადგენელმა, საქმის მასალების მიხედვით, პირველი ინსტანციის მოსამართლის სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო 2015 წლის 22 სექტემბერს, საქმე №2/13647-14, რომელიც 29 სექტემბერს უნდა განხილულიყო, გადაეცა სხვა მოსამართლეს. შესაბამისად, საქმის განხილვა გადაიდო. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კვალიფიციური შესაგებლის წარდგენა მოპასუხის საპროცესო ვალდებულებაა მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის გასაბათილებლად. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

25. ასევე დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია სასამართლოს მიერ სსსკ-ის 162-ე მუხლის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ექსპერტის დასკვნა, ესაა მტკიცებულების ერთ-ერთი სახე, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საქმის გარემოებათა დასადგენად. სსსკ-ის 162-ე მუხლის ნორმატიული გაგებით, მტკიცების ამ საშუალებით შესაძლებელია საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტის დადგენა, ხოლო ამგვარი მტკიცებუ-

ლების გარეშე, ზოგიერთ შემთხვევაში, საქმეზე გადანყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ამასთან, ექსპერტი პროცესის მონაწილე სუბიექტია, რომელიც ფლობს სპეციალურ ცოდნას. მის მიერ შედგენილ დასკვნაში გადმოცემულია გამოკვლევის შინაარსი, შედეგები და პასუხი მის წინაშე დასმულ კითხვებზე. ექსპერტის დასკვნა უნდა შეესაბამებოდეს კანონის ნორმებს, შეიცავდეს გამოკვლევის ობიექტურობას, მყარ არგუმენტაციას დასმულ კითხვებზე, მეცნიერულად დასაბუთებულ პასუხებს. საბოლოოდ, სასამართლო განსაზღვრავს ექსპერტის დასკვნის იურიდიულ ძალას და ამ მტკიცებულების შეფასების შედეგად ადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებს (იხ. სუსგ-ები №ას-940-2021, 01.12.2021 წ.; №ას-607-2022, 15.02.2023წ.; №ას-1138-2023, 26.12.2023წ.; №ას-637-2024, 24.07.2024წ.). დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე, ექსპერტი ზის ჩატარება და დასკვნის სასამართლოში წარდგენა მხარის საპროცესო უფლებაა. საბოლოოდ, როგორც სხვა მტკიცებულებების, ასევე, ექსპერტის დასკვნის იურიდიული ძალას აფასებს სასამართლო. რაც შეეხება ექსპერტის დასკვნის იურიდიულ ძალას, იგი თანაბარი იურიდიული ძალის მქონეა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან მიმართებით. ამ შემთხვევაშიც სსსკ-ის 105-ე მუხლის მიხედვით, მოქმედებს მტკიცებულებათა სასამართლოს შინაგანი რწმენის საფუძველზე შეფასების პრინციპი. სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ სასამართლოსათვის არც ერთი მტკიცებულება არ არის წინასწარ სავალდებულო. აღნიშნული ნორმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექსპერტის დასკვნასთან მიმართებით. სსსკ-ის 172-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლე არ არის დამოკიდებული ექსპერტის აზრზე. ექსპერტის დასკვნისათვის, როგორც მტკიცებულების წყაროსათვის, მნიშვნელოვანია, რომ ის წარმოადგენდეს საპროცესო კოდექსით ნორმატიულად დადგენილ წესებს დაქვემდებარებულ დოკუმენტს, ყურადღება უნდა მიექცეს კვლევის მეთოდებს, საკვლევ მასალას და სხვადასხვა სპეციფიკურ დეტალებს, გამომდინარე ჩატარებული ექსპერტიზის სახეობიდან. შესაბამისად, ექსპერტის დასკვნის შეფასება ხდება ზოგადად მტკიცებულებების შეფასებისათვის დადგენილი ყოველმხრივი სრული და ობიექტური განხილვის კრიტერიუმებით. მტკიცებულების სრულყოფილად გამოკვლევა კი, გულისხმობს მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემდეგ – მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სარწმუნოების) შემოწმებას. ექსპერტის დასკვნის მტკიცებულებითი ძალა დამოკიდებულია მთელ რიგ პროცედურულ ასპექტებზე, კერძოდ, სწორად გაიგო თუ არა ექსპერტმა დასმული კითხვა და რამდენად სწორად არის ეს გადმოცემული მის დასკვნაში; რამდენად სწორ საფუძვლებსა და წინაპირობებს ეყრდნობა ექ-

სპერტი; მოყვანილია თუ არა დასკვნაში ის ხერხები და მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ექსპერტი მივიდა შესაბამის შედეგებამდე; იყო თუ არა გამოსაკვლევნი მასალა (ნიმუში) საკმარისი; არის თუ არა გასაგები დასკვნის შედეგი. ამასთან, ერთი მხარის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულებითი მნიშვნელობის შეფასება დამოკიდებულია მეორე მხარის კვალიფიციურ შედაგებაზე“ (იხ., ილონა გაგუა, „მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე“, 2020 წელი, გვ: 97-122; იხ. სუსგები: №ას-1152-2021, 31.01.2022 წ.; №ას-666-2022, 07.07.2022წ.; №ას-1038-2022, 20.07.2023წ.; №ას-687-2021, 16.05.2024წ.; №ას-637-2024, 26.07.2024წ.). სსსკ-ის 162-ე მუხლის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნება და არა მის ვალდებულებას, ამასთან, მოსამართლეს (სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას) საკმარისი კვალიფიკაცია, პროფესიული ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს იმის გადასაწყვეტად, თუ რა შემთხვევაშია საჭირო ექსპერტი-სპეციალისტის ცოდნის გამოყენება.

26. საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებებზე; ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს მიეკუთვნება ლიტერატურული ნაწარმოები (წიგნი, ბროშურა, სტატია და სხვ.). სპეციალური კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, ავტორი არის ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურშემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები; ამავე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, ნაწარმოების გამოცემა არის ავტორის... თანხმობით ნაწარმოების სა მოქალაქო ბრუნვაში გაშვება გაყიდვის ან გაქირავების გზით იმ რაოდენობით, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნებს. მოხმობილი მუხლის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, ნაწარმოების რეპროდუცირება არის ნაწარმოების პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანად ან მისი ნაწილის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით. კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პირი, რომელიც სათანადო წესით აღნიშნულია, როგორც ავტორი, ნაწარმოების ორიგინალზე ან ასლზე, მიიჩნევა ავტორად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საავტორო უფლება ნაწარმოებებზე, რომელიც ერთობლივი ინტელექტუალურშემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნა ორმა ან ორზე მეტმა პირმა (თანაავტორობა), ერთობლი-

ვად ეკუთვნის თანაავტორებს.

27. მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩართული, სახელმძღვანელო „ლოგიკის“ თანაავტორის, ან გარდაცვლილი ლ. მ-ის უფლებამონაცვლე დაეთანხმა თანაავტორის სარჩელს. სპეციალური კანონის 23-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, დაშვებულია ავტორის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, მაგრამ გამოყენებული ავტორის და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითებით, ნაწარმოებიდან ციტირება სამეცნიერო, კვლევითი პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით.

28. საკასაციო სასამართლო საესებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას, რომ მოსარჩელე მხარის წიგნიდან „ლოგიკიდან“ მოპასუხემ ციტირება კი არ განახორციელა, არამედ დაარღვია თანაავტორთა უფლებები, რაც დადასტურებულია მოპასუხის მიერ თავის სახელმძღვანელოში გადმოტანილი ფრაგმენტების დიდი მოცულობით, ამ ფრაგმენტების დიდი რაოდენობით, გადმოტანილი ფრაგმენტით რაიმეს დამონშების მიზნის მიუთითებლად, ამასთან დაუცველია ციტირების ფორმალური მხარეც. ზემოხსენებული სპეციალური კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. კანონის მე-17 მუხლით, ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებია: აღიარებულ იქნეს ნაწარმოების ავტორად და მოითხოვოს ასეთი აღიარება ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით, ავტორობის სახელის მითითების მოთხოვნის უფლების ჩათვლით (ავტორობის უფლება), – „ა“ ქვეპუნქტი; ნება დართოს სხვა პირებს, შეიტანონ ცვლილებები როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში (სათაურში), ავტორის სახელში, აგრეთვე წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას, რაც ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებაა („დ“); დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია („ე“); მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა – ნაწარმოების გამომომბის უფლება („ზ“). სპეციალური კანონის მე-9 მუხლით, რომელიც საავტორო უფლების წარმოშობას არეგულირებს, დადგენილია: 1. საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა. 2. საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცი-

ლებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმალობათა დაცვა. 3. (ამოღებულია). 4. განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელს თავისი უფლების განცხადებისათვის შეუძლია გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან: ა) ლათინური ასო C წრეწირში: ©; ბ) განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელის სახელი (დასახელება); გ) ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის თანაავტორობით გამოცემულ ნაწარმოებზე – წიგნზე – დასმულია საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, ნ. ი-ძის და ლ. მ-ის საავტორო უფლება შედავებული არ ყოფილა (ასეთზე მოპასუხე ვერ მიუთითებს), შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოპასუხის მტკიცება, რომ „თვითმასწავლებელში“ წიგნ „ლოგიკის“ ტექსტზე საავტორო უფლებები მოსარჩელეს არ ეკუთვნის და მისი ფრაგმენტების გამოყენებით მოსარჩელის საავტორო უფლებები არ დარღვეულა, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

29. სპეციალური კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს: ა) ნაწარმოების რეპროდუცირება; ბ) გავრცელების უფლება; თ) ნაწარმოების გადაშუშავება; კ) ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება. მოხმობილი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ავტორს ან განსაკუთრებული საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს მიიღოს საავტორო ჰონორარი მისი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად კი, საავტორო ჰონორარის ოდენობა... ნაწარმოების ნებისმიერი ფორმით გამოყენებისათვის დგინდება, ერთი მხრივ, ავტორს, საავტორო უფლების სხვა მფლობელს ან ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციასა და, მეორე მხრივ, მოსარგებლეს შორის დადებული ხელშეკრულებით. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ მისაღები საავტორო ჰონორარის ოდენობა სავსებით მართებულად და გონივრულად განსაზღვრა.

30. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ლიტერატურული და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის მე-2(1) მუხლის თანახმად, ტერმინი „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებები“ მოიცავს ყველა ნაწარმოებს ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების დარგში, როგორი საშუალებითა და ფორმითაც უნდა იყოს იგი გამოხატული. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ სა-

ქართველოს კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საავტორო უფლებების მფლობელს უფლება აქვს დამრღვევისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს სასამართლო. ამასთან, კომპენსაცია არ უნდა იყოს დარღვეული უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში, უფლების მფლობელის მიერ მისაღები ფულადი ანაზღაურების ათმაგ ოდენობაზე ნაკლები; განსახილველ შემთხვევაში, ავტორის მიერ მისაღები ფულადი ანაზღაურების – 2500 ლარის ათმაგ ოდენობას შეადგენს 25 000 ლარი რისი გადახდაც მოპასუხეს (კასატორს) მართებულად დაეკისრა.

31. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხემ ვერ დაამტკიცა სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გამომრიცხველი ფაქტობრივ-სამართლებრივი გარემოებები, რაც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების, როგორც კანონიერი და დასაბუთებული მართლმსაჯულების აქტის, უცვლელად დატოვების საფუძველია.

32. კასატორის მიერ სახელმწიფო ბაჟი გადახდლია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. დ. ზ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 27 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**2. ნანარმოების საჯარო გაცნობა;
საავტორო უფლებების დარღვევისათვის კომპენსაციის
დაკისრება**

**გადანყვეთილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ს-1443-2021 23 თებერვალი 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის**

**შემადგენლობა: თ. ძიმისტარაშვილი
(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ქორიაშვილი
ა. ძაბუნძიძე**

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოში სს „თ. ბ-ის“ წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელით ქ. პ-მა და ნ. ჩ-მა მოითხოვეს: ი. ჩ-ის მუსიკალური ნაწარმოების საჯაროდ გაცნობისათვის 337 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის კომპენსაციის დაკისრება, სახელისა და გამოსახულების გამოყენებისათვის ზიანის ანაზღაურების სახით 161 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა:

2.1. საავტორო უფლების დარღვევისათვის ერთჯერადი კომპენსაციის სახით 75 000 აშშ დოლარის გადახდა (ეკვივალენტი ლარში გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად);

2.2. პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევით მიყენებული ზიანისთვის 25 000 აშშ დოლარის გადახდა (ეკვივალენტი ლარში გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად);

3. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 სექტემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა, დარჩა უცვლელი.

4. მოპასუხე ბანკმა, საკასაციო საჩივარი წარმოადგინა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით სს „თ. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 სექტემბრის განჩინების შეცვლითა, და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხე სს „თ. ბ-ს“ მოსარჩელების – ქ. პ-ისა და ნ. ჩ-ის სასარგებლოდ, საავტორო უფლებების დარღვევისათვის, ერთჯერადი კომპენსაციის სახით დაეკისრა 30 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა, სს „თ. ბ-ს“ მოსარჩელე ნ. ჩ-ის სასარგებლოდ პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის გამო, მიყენებული ზიანის სახით, დაეკისრა 15 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში დამატებითი გადაწყვეტილების მიღებით სს „თ. ბ-ს“ უნდა დაეკისროს მოსარჩელების სასარგებლოდ იურიდიული მომსახურების ხარჯის გადახდა, შემდეგ გარემოებათა გამო:

6. სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, კერძოდ: ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. მოხმობილი ნორმის დეფინიციიდან გამომდინარეობს, რომ საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ამომწურავ ჩამონათვალს იმ საკითხების განხილვისა და გადაწყვეტისათვის, რომელიც ახასიათებს დამატებითი გადაწყვეტილების ინტიტუტს. მითითებული მუხლი ითვალისწინებს ისეთი ხარვეზის აღმოფხვრის მექანიზმებს, როდესაც, მართალია, მხარემ მოითხოვა პროცესის ხარჯების ანაზღაურება სასამართლოსაგან, მაგრამ სასამართლოს თავისი მიზეზით გამორჩა მხედველობიდან ამ საკითხის გადაწყვეტა (შდრ. სუსგ-ებები: №ას-1054-2019, 30 სექტემბერი, 2019წ., №ას-165-158-2013, 27 იანვარი, 2014წ.). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გვარდება შემთხვევა, როდესაც მხარემ დასვა საპროცესო ხარჯების მონინალმდე-

გისათვის დაკისრების საკითხი, თუმცა სასამართლოს თავისი ბრალით გამორჩა მხედველობიდან ამ საკითხის გადაწყვეტა, ამასთანავე, მითითებული ნორმა ქმნის ე.წ. „ნაკლიანი“ გადაწყვეტილების გასწორების შესაძლებლობას და გულისხმობს მთლიანად სასამართლო ხარჯების საკითხს (როგორც სასამართლო, ისე არასასამართლო ხარჯები) (იხ. სუსგ №ას-658-625-2014, 26 იანვარი, 2015 წელი).

7. სსსკ-ის 261-ე მუხლის 3¹-ე პუნქტის მიხედვით ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვა, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხი უნდა გადაწყდეს ზეპირი მოსმენის გარეშე.

8. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელეთა წარმომადგენელმა წარადგინა იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებები და ამავე მომსახურების განევის სანაცვლოდ მოსარჩელეთა მიერ, ინდივიდუალურად გადახდილი მომსახურების საფასურის დამადასტურებელი ქვითრები, თითოეულზე 5 700 ლარი. ამასთან, განცხადებით იშუამდგომლა დასახელებული თანხების ბანკისთვის დაკისრება, მოსარჩელეთა სასარგებლოდ.

9. სააპელაციო სასამართლომ ბანკის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, ხოლო, მოსარჩელეთა წარმომადგენლის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ბანკს, ქ. პ-ის სასარგებლოდ დააკისრა იურიდიული მომსახურების ხარჯის გადახდა 4 269.3 ლარი, ხოლო, ნ. ჩ-ის სასარგებლოდ 5 700 ლარი.

10. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე წარდგენილი საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით სს „თ. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 სექტემბრის განჩინების შეცვლითა, და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხე სს „თ. ბ-ს“ მოსარჩელების – ქ. პ-ისა და ნ. ჩ-ის სასარგებლოდ, საავტორო უფლებების დარღვევისათვის, ერთჯერადი კომპენსაციის სახით დაეკისრა 30 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა, სს „თ. ბ-ს“ მოსარჩელე ნ. ჩ-ის სასარგებლოდ პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის გამო, მიყენებული ზიანის სახით, დაეკისრა 15 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით სააპელაციო სასამარ-

თლოს გასაჩივრებული განჩინება სრულად გაუქმდა, ხოლო, ახალი გადაწყვეტილების ფარგლებში სასამართლომ არ იმსჯელა კასატორისთვის მონინაალმდევე მხარის სასარგებლოდ იურიდიული მომსახურების ხარჯების დაკისრებაზე.

11. სსსკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისთვის განეული ხარჯები.

12. მოგებული მხარის სასარგებლოდ წაგებული მხარისათვის პროცესის ხარჯების დაკისრების სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია საპროცესო კოდექსის 53-ე და 54-ე მუხლებში. საკასაციო პალატა მიუთითებს 53-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე, რომლის თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომელიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

13. ნორმის დისპოზიცია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ არ ადგენს განეული ხარჯის სანაცვლო ანაზღაურების ერთმნიშვნელოვან ოდენობას, არამედ ამ ოდენობის გონივრულად განსაზღვრის უფლებას უტოვებს სასამართლოებს. კანონმდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ადვოკატის მომსახურებაში გადახდილი ხარჯების სანაცვლო ანაზღაურებამ დაუსაბუთებლად არ უნდა შეზღუდოს პროცესის მონაწილე მხარის უფლება და არ უნდა შექმნას წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის პროცესუალური საფუძველი; ნორმის ამგვარი შინაარსის მიზანია პროცესის მონაწილე მეორე მხარის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის თავიდან აცილება. გონივრულობის კრიტერიუმად კი, კანონმდებელი მიიჩნევს დავის საგნის ღირებულების არაუმეტეს 4%-ს. აღსანიშნავია, რომ დავის საგნის ღირებულების 4% წარმოადგენს ზედა ზღვარს, რომლის ფარგლებშიც ხდება წარმომადგენლის ხარჯების ოდენობის სასამართლოსმიერი განსაზღვრა და ამ თვალსაზრისით, მხედველობაში მიიღება კონკრეტულად რა იურიდიული

მნიშვნელობის მქონე ქმედებები იქნა განხორციელებული ადვოკატის მიერ, რა სახის ადამიანური რესურსი დაიხარჯა, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე პროცესის მონაწილე რომელმაც მხარემ გასწია იგი და სხვა (იხ. სუსგ საქმე №ას-818-784-2016, 2 ნოემბერი, 2016 წელი; საქმე №ას-184-2020 10 ივნისი, 2020 წელი; საქმე №ას-923-889-2016, 3 თებერვალი, 2017 წელი).

14. განუული საადვოკატო ხარჯის დაკისრებისას სასამართლო ხელმძღვანელობს საქმის სირთულით, შესრულებული საპროცესო მოქმედებების მოცულობით, სასამართლო სხდომებში მონაწილეობისათვის დახარჯული დროის, წარმოდგენილი მოსაზრებებისა თუ მტკიცებულებების სიმრავლით და სხვა ამგვარი გარემოებებით, რაც მეორე მხარისათვის დასაკისრებელი საადვოკატო ხარჯის გონივრულობას განაპირობებს.

15. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგნისა და წარმომადგენლის მიერ განხორციელებული იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებების, მომზადებული საპროცესო დოკუმენტების, სასამართლო სხდომებში მონაწილეობისთვის დახარჯული დროის, წარმოდგენილი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების, ასევე დავის საგნის დაკმაყოფილებული ნაწილის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო გონივრულ ოდენობად მიიჩნევს კასატორს ე. პ.-ის სასარგებლოდ დაეკისროს იურიდიული მომსახურების ხარჯი – 3360 ლარი, ხოლო, ნ. ჩ.-ის სასარგებლოდ – 1600 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ბ ა :

1. სს „თ. ბ-ს“ ე. პ.-ის სასარგებლოდ დაეკისროს იურიდიული მომსახურებისთვის განუული ხარჯი – 3360 ლარი;
2. სს „თ. ბ-ს“ ნ. ჩ.-ის სასარგებლოდ დაეკისროს დაეკისროს იურიდიული მომსახურებისთვის განუული ხარჯი – 1600 ლარი;
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ნანარმოების საჯარო შესრულების აკრძალვა

გადაწყვეტილება საქართველოს სსრ-ში

№ა-ს-256-256-2018

18 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიჭაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: მუსიკალური ნანარმოებების საჯაროდ შესრულების აკრძალვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძველები:

1.1. ა(ა)იპ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციამ (შემდგომში – მოსარჩელე, მონინალმდგევე მხარე ან ასოციაცია) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „კ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის რესტორან „ა-ში“ ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნებული ნანარმოების საჯაროდ შესრულების აკრძალვა.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას, საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, დაკისრებული აქვს ვალდებულება, დაიცვას, როგორც ქართველი, ისე – ყველა უცხოელი ავტორისა და საავტორო უფლებების სხვა მფლობელების ქონებრივი ინტერესები. ავტორების უფლებათა დასაცავად, ასოციაცია ნანარმოების მოსარგებლებზე გასცემს ლიცენზიებს ნანარმოების ამა თუ იმ ფორმით გამოყენებაზე, აგროვებს და საავტორო ჰონორარს ანაწილებს შესაბამისი უფლებების მფლობელებზე. მოპასუხე რესტორან „ა-ში“ საჯაროდ ასრულებს მუსიკალურ ნანარმოებებს, თუმცა, მას ასოციაციასთან გაფორმებული არ აქვს სალიცენზიო ხელშეკრულება და, შესაბამისად მუსიკალური ნანარმოების შესრულებისათვის მის ავტორებს არ უხდის ჰონორარს. მიუხედავად მოთხოვნისა, ის თავს არიდებს ხელშეკრულების დადებასა და ჰონორარის გადახდას. მუსიკალური ნანარმოების საჯარო შესრულება, ჰონორარის გადახდის გარეშე, ეწინააღმდეგება ავტორების ინტერესებს და ზიანს აყენებს მათ.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ სარჩელის წინააღმდეგ მოთხოვნის გამომრიცხველი შე-საგებელი წარადგინა და განმარტა, რომ ის არ აწყობს, და არ მართავს მუსიკალურ სადამოებსა და კონცერტებს, საჯაროდ არ ასრულებს მუსიკალურ ნაწარმოებს და შესაბამისად, სალიცენზიო ხელშეკრულებების დადების ვალდებულებაც არ გააჩნია, სარჩელით არ დგინდება რომელიმე ავტორის საავტორო უფლებათა მოპასუხის მხრიდან დარღვევის ფაქტი, ამასთან, შპს „კ-ზე“ არ შეიძლება გავრცელდეს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს აეკრძალა კუთვნილ რესტორან „ა-ში“, სალიცენზიო ხელშეკრულების გარეშე, საჯაროდ შეასრულოს საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნიებული ნაწარმოები.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ასევე, მოპასუხის შუამდგომლობათა დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ შუალედური განჩინებები სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მათი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 18 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების, ასევე, მოპასუხის შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ სარჩელის უარყოფის ნაწილში იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს მოპასუხის მხრიდან საავტორო უფლებათა დარღვევის საკითხი, რომელიც, ქვემდგომი სასამართლოების დასკვნით, გამოწვეულია მოსარჩელე ორგანიზაციაში დაცული საავტორო რეპერტუარს მიკუთვნებული ნაწარმოებების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე საჯარო შესრულებით. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების შეფასებებსა და დასკვნებს და მიიჩნევს, რომ ის არ შეიძლება იყოს სარჩელზე პასუხისმგებელი პირი, უფრო მეტიც, მოპასუხე საერთოდ უარყოფს ნაწარმოების საჯაროდ შესრულების ფაქტს.

1.2. საკასაციო პალატა, საკასაციო საჩივრის ფარგლებში გამოთქმულ შედეგებათა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის კონტექსტში შეფასებამდე, მიიჩნევს, რომ უნდა გამოირკვეს, ხომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები (სსსკ-ის 394-ე მუხლი). ამ მხრივ პალატა განმარტავს, რომ საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე გადაწყვეტილების სამართლებრივი კანონიერება მოწმდება რა საკასაციო საჩივრის ფარგლებში (სსსკ-ის 404.1 მუხლი: საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), სამართლებრივი კვლევა მიმდინარეობს ორი მიმართულებით: სახეზე ხომ არ არის გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით განსაზღვრული რომელიმე წინაპირობა; უარყოფით შემთხვევაში, რამდენად დასაბუთებული შედეგება აქვს წარმოდგენილი კასატორს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმართ ამავე კოდექსის 393-ე მუხლის კონტექსტში.

1.3. საქმის მასალების შესწავლით, სასამართლო დასკვნის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება სამართლებრივად არ არის საკმარისად დასაბუთებული (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ლოგიკური აზროვნებისა და ლოგიკური მსჯელობის ანალიზით, რესტორანში სრულდებოდა მუსიკალური ნაწარმოებები. რესტორანი არის ის ადგილი, სადაც საჯაროდ უნდა შესრულდეს მუსიკალური ნაწარმოები. მისი შესრულება შესაძლებელია, როგორც ცოცხალი შესრულებით ისე – ტექნიკური საშუალებებით. რესტორნის არსებობა თავისთავში მოიცავს გართობას, მათ შორის მუსიკის საჯაროდ გამოყენებას. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, მოპასუხე ის სუბიექტია, ვინც კომერციულ საქმიანობაში იყენებს ავტორთა ნაწარმოებებს. შპს „კ-ს“ აქვს რესტორანი „ა-ი“. ის კლიენტების მო-

ზიდვისათვის რესტორანში ასრულებს მუსიკალურ ნაწარმოებებს. მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისათვის აუცილებელია, მას ავტორისაგან გააჩნდეს მისი გამოყენების უფლება. მოპასუხემ მოსარჩელესთან უნდა დადოს სალიცენზიო ხელშეკრულება და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოიყენოს მუსიკალური ნაწარმოები.

1.4. საკასაციო სასამართლო ქვემდგომი სასამართლოების მიერ მოხმობილ ლოგიკური განსჯის შედეგებს მსგავსი ტიპის სარჩელის დასაკმაყოფილებლად არასაკმარისად მიიჩნევს და განმარტავს, რომ სარჩელის წარმატებისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მისი ფორმალური გამართულობა და საქმის განხილვისათვის დადგენილი წესების უზრუნველყოფა, არამედ, მისი საბოლოო შედეგის მიღწევის შესაძლებლობა. მოქმედი კანონმდებლობა ადგენს რა სარჩელის უფლებას, იგი სწორედ დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვაზეა ორიენტირებული, რაც არ უნდა იქნეს გაგებული მხოლოდ სასამართლო პროცედურების დაცვად, არამედ, დარღვეული უფლება, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ეფექტურად უნდა აღდგეს. ამ მხრივ, საკასაციო სასამართლო, გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, ყურადღებას გაამახვილებს საერთაშორისო სასამართლებრივ სტანდარტებზეც: ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, კონვენციის მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (იხ. *Golder v. Royaume-Uni*, 21 février 1975, §§ 28-36, série A no 18). სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ, ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტური დაცვა და კონონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას, ვინაიდან აღსრულება სასამართლო პროცესის განუყოფელი ნაწილია (*Bourdov v. Russie*, no 59498/00, §34, CEDH 2002-III), პირის უფლება სასამართლო განხილვაზე „სამოქალაქო უფლებათა და ვალდებულებათა“ განსაზღვრისთვის პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების ხელმისაწვდომობასთან ერთად (*Kreuz v. Pologne* (no 1), no 28249/95, §§ 53 et 54, CEDH, 2001-VI), თანაბრად იცავს ამ პირის უფლებას სააღსრულებო წარმოებათა ხელმისაწვდომობაზეც (*mutatis mutandis, Manoilescu et Dobrescu v. Roumanie et Russie* (déc.), no 60861/00, CEDH 2005-VI), ანუ უფლებას, ამგვარი პროცედურის დაწყებაზე.

1.5. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს რამდენი-

მე ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხზე:

1.5.1. შპს „კ-ი“ სამენარმეო სუბიექტად რეგისტრირებულია 2007 წლის 8 მაისიდან. მას ქ. ბათუმში, ხ-ის ქ. № 10-ში აქვს რესტორანი „ა-ი“;

1.5.2. სამენარმეო რეესტრის ამონაწერის, მოსარჩელის წესდებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 17 თებერვლის №585 გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია არის ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია, რომელსაც მინიჭებული აქვს ავტორთა უფლებების დაცვა. საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დაკისრებული აქვს ვალდებულება, დაიცვას, როგორც ქართველი ავტორების, ისე – ყველა უცხოელი ავტორისა და საავტორო უფლებების სხვა მფლობელების ქონებრივი ინტერესები;

1.5.3. შპს „კ-ს“ მოსარჩელესთან ან კონკრეტულად რომელიმე ავტორთან მუსიკალური ნაწარმოების გამოყენებასთან დაკავშირებით გარიგება დადებული არ აქვს (ხსენებული ფაქტები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სავალდებულოა საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებისათვის, რამდენადაც კასატორს მათ წინააღმდეგ დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია);

1.6. ვინაიდან დავის საგანი ავტორის/საავტორო უფლების მფლობელის ქონებრივ ინტერესებს შეეხება, მისი რეგულირება სწორედ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით უნდა განხორციელდეს (კანონის პირველი და მე-3 მუხლების „ა“ ქვეპუნქტების თანახმად, ეს კანონი არეგულირებს იმ საავტორო ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისას და გამოყენებისას (საავტორო უფლებები); ეს კანონი ვრცელდება: ... ხელოვნების ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, რომლებზედაც უფლებათა მფლობელია საქართველოს მოქალაქე, ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე, და იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ადგილსამყოფელი საქართველოს ტერიტორიაზე). სარჩელის შინაარსიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე მოითხოვს მის რეპერტუარს მიკუთვნებული სიმღერის საჯაროდ უნებართვოდ შესრულების აკრძალვას, ამდენად, შეიძლება დავას კვნათ, რომ უფლების სუბიექტი არის ნაწარმოების ავტორი (იხ. ამავე კანონის 5.1. მუხლი, ასევე, 6.1. მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

1.7. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი (ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რაც, მათ შორის, მოიცავს უფლებას, განახორციელოს,

ნება დართოს ან აკრძალოს ნაწარმოების საჯარო შესრულება (საჯარო შესრულების უფლება), საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი ნაწარმოების ნებისმიერი ფორმით გამოყენებისათვის დგინდება, ერთი მხრივ, ავტორს, საავტორო უფლებების სხვა მფლობელს ან ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციასა და, მეორე მხრივ, მოსარგებლეს შორის დადებული ხელშეკრულებით), ფორმალური თვალსაზრისით ადასტურებს დავის საგნის არსებობას, მით უფრო, რომ ამავე კანონის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად (მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორების, შემსრულებლების, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლების, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელების ქონებრივი უფლებების მართვას საქართველოში ახორციელებენ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციები, რომლებმაც ურთიერთწარმომადგენლობის თაობაზე დადეს ხელშეკრულებები უმრავლესი ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან) შექმნილი ორგანიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს ავტორის, მომიჯნავე უფლების მფლობელის, მათი მემკვიდრეების, უფლებამონაცველების, საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელების უფლებათა მართვა კოლექტიურ საფუძველზე (იხ. კანონის 64.2. მუხლი), რაც მოიცავს ორგანიზაციის უფლებას, შეასრულოს ქმედება, რომელიც საჭიროა მისთვის სამართავად გადაცემული უფლებების დასაცავად ან განსახორციელებლად, მათ შორის, წარმოადგინოს უფლების მფლობელი სასამართლოში და ისარგებლოს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებით, განახორციელოს სხვა საქმიანობა საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელების მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ასევე, წარმოადგინოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების ყველა მისთვის უცნობი მფლობელი, ან მფლობელი, რომლის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება და ჩართოს მათი ნაწარმოებები და დაცვის სხვა ობიექტები მოსარგებლეებზე გაცემულ ლიცენზიებში (იხ. კანონის 64.2. მუხლი), თუმცა, როდესაც საუბარია საავტორო უფლების დაცვაზე და მას ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ახორციელებს, ის უფლებამოსილია, აღძრას სარჩელი კონკრეტული დარღვევის თავიდან ასაცილებლად და არა აბსტრაქტულად, დარღვევის ყოველგვარი ფაქტის დადასტურების გარეშე. ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა თავად „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმადაც თუ ადგილი აქვს ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის საჯარო შესრულებას, ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობი-

ექტის კანონიერ გამოყენებაზე პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოსარგებლეს, საჯარო შესრულების ორგანიზატორსა და იმ პირს შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულებით, რომელიც საკუთრების ან სარგებლობის უფლებით ფლობს ადგილს ან შენობას (მოედანი, სცენა, დარბაზი და სხვა), სადაც სრულდება საჯარო შესრულება. აღნიშნული წერილობითი ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის კანონიერ გამოყენებაზე სოლიდარულად ეკისრებათ მოსარგებლეს, საჯარო შესრულების ორგანიზატორსა და იმ პირს, რომელიც საკუთრების ან სარგებლობის უფლებით ფლობს ადგილს ან შენობას (მოედანი, სცენა, დარბაზი და სხვა), სადაც სრულდება საჯარო შესრულება. სწორედ კანონის ზემოხსენებული მიზნის მიღწევის ხელშეწყობას ემსახურება 65-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაშვებული პრეზუმფცია იმის თაობაზე, რომ საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ყველა ნაწარმოები ... რომელიც საჯაროდ სრულდება, ... ან საზოგადოებისათვის სხვაგვარად ხელმისაწვდომი ხდება, ... შედის შესაბამისი კოლექტიური მართვის ორგანიზაციის რეპერტუარში. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარგებლეს. კანონის სხვაგვარი განმარტება, ასევე, სავარაუდო უფლების დარღვევის თაობაზე აღძრული სარჩელის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებას (ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს), რომელიც დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვას მოიაზრებს და არ არის მიმართული უფლების პრევენციული და/ან აბსტრაქტული დაცვისკენ, გარდა ამისა, გაურკვეველია, რა ფორმით უნდა განხორციელდეს უფლების დაცვა, როდესაც ქვემდგომი სასამართლოების მიერ გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ფორმირებულ იქნა იმდენად ბუნდოვნად, რომ შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელი ნაწარმოების შესრულების უფლება აეკრძალა მოპასუხეს.

2. ახალი გადანყვეტილების მიღების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და მიიჩნევს, რომ ამავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები), უფლებამოსილია, თავად გადანყვიტოს დავა: იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე ვერ ასახელებს/ადასტურებს მო-

პასუხის მხრიდან კონკრეტული დარღვევის ფაქტს, არამედ, სარჩელით მოითხოვს მისთვის ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნებული შესრულების აკრძალვას, პალატა მიიჩნევს, რომ ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება კანონის პრინციპებს, ასევე, ეჭვქვეშ აყენებს უფლების რეალურად დაცვის შესაძლებლობას, რაც სარჩელის სრულად უარყოფის საფუძველია.

3. საოქმო განჩინებების გაუქმებაზე, ასევე კასატორის შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დასაბუთება:

3.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს, აგრეთვე, სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

3.2. კასატორი სასამართლოს წინაშე შუამდგომლობს იმ საოქმო განჩინებების გაუქმების თაობაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი შუამდგომლობები (ინფორმაციის წარდგენის დავალდებულება: 2015 და 2016 წლებში მოსარჩელის მიერ განეული საქმიანობის შესახებ; საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე ავტორებისათვის გადახდილი ჰონორარის შესახებ; ასოციაციის წესდების ასლისა და „საქპატენტში“ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, ასევე, ასოციაციის მართვის ორგანოებში შემავალი პირების, ამ ორგანოებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ; სხვა ქვეყნების ანალოგიური საქმიანობით დაკავებულ ორგანიზაციებთან ურთიერთნარმომადგენლობის შესახებ; ბოლო ათი სასამართლოს გადაწყვეტილების თაობაზე იმ დავებზე, სადაც მოსარჩელე მხარის სტატუსით მონაწილეობდა). საკასაციო პალატა არ იზიარებს მხარის ხსენებულ პოზიციას და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, რომლის ფარგლებშიც კასატორს, როგორც მოდავე მხარეს, ევალება არა მხოლოდ მოთხოვნის წარდგენა, არამედ მისი დასაბუთებაც. მოცემულ შემთხვევაში, მხარე აყალიბებს მხოლოდ მოთხოვნას იმგვარად, რომ მისი გაზიარების შემთხვევაშიც კი, ვერ ხსნის რა დადებითი შედეგი შეიძლება დადგეს მის სასარგებლოდ, რაც მოთხოვნის გაზიარებას გამორიცხავს (სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლები);

3.3. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს კასატორის შუამდგომლობას, დავაში მესამე პირად „საქპატენტის“ ჩაბმის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლი ადგენს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ჩაბმის წინაპირობას – გადაწყვეტილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ პირის უფლებებზე. 90-ე მუხლის თანახმად, ამ საპროცესო მოქმედების განხორციელების წინაპირობა, შეიძლება ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობაც კი იყოს, თუმცა, მოცემუ-

ლი დავის ფარგლებში, როდესაც საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია მოითხოვს ავტორის ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით შესრულების აკრძალვას, გაურკვეველია, რა გავლენა უნდა იქონიოს ამ დავამ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ უფლებებზე;

3.4. საკასაციო პალატა ასევე უარყოფს კასატორის შუამდგომლობას მონმის დაკითხვისა და მტკიცებულების საქმისათვის დართვის თაობაზე, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები), საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება, მიიღოს და შეფასოს ახალი მტკიცებულებები, არამედ, იგი შემოიფარგლება საქმეში არსებული დოკუმენტებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების შემოწმებით.

4. სასამართლო ხარჯები:

ვინაიდან საკასაციო სასამართლო წინამდებარე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სარჩელი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად (იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამ მუხლში აღნიშნული წესები უკავშირდება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც), პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 450 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 89-ე, 90-ე, 404-ე, 407-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „კ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 18 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. ა(ა)იპ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის სარჩელი შპს „კ-ის“ მიმართ არ დაკმაყოფილდეს.

4. ა(ა)იპ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას (ს/კ №...) შპს „კ-ის“ (ს/კ №...) სასარგებლოდ დაეკისროს 450 ლარის ანაზღაურება.

5. კასატორის მოთხოვნა მისი შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ყველა საოქმო განჩინების გაუქმების, მტკიცებულებათა გამოთხოვის, მონმის დაკითხვისა და დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. ფონოგრამის უკანონო გამოყენება

სასაქონლო ნიშანი

განმარტება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-613-2020

17 ივნისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეცი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: მომიჯნავე უფლების დარღვევის გამო კომპენსაციის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. OOO „S. M. E.“-მა და შპს „ბ. რ-სმა“ (შემდგომში – პირველი ან მეორე მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარეები) სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს „მ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი) წინააღმდეგ და მოითხოვეს მოპასუხისათვის მათ სასარგებლოდ მოსარჩელეთა მომიჯნავე უფლებების დარღვევის გამო კომპენსაციის 400 000 ევროს დაკისრება.

1.1.1. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2014 წლის 1 ივნისს, შპს „მ-ის“ მიერ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში არაერთგზის განთავსდა შპს „მ-ის“ სარეკლამო რგოლი, რომელშიც გამოყენებულ იქნა Pharell Williams-ის მუსიკალური ნაწარმოები „Get Lucky“ შესრულებული Daft Punk-ის მიერ. ეს მუსიკალური ნაწარმოები წარმოადგენს 2013 წლის (და არა მარტო 2013 წლის) უდიდეს მუსიკალურ ჰიტს და უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც. ამის დადასტურებაა, რომ ზემოაღნიშნულმა მუსიკალურმა ნაწარმოებმა გაიმარჯვა მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული მუსიკალური დაჯილდოების, GRAMMY-ს ნომინაციებში: წლის ალბომი; საუკეთესო საცეკვაო/ელექტრონული მუსიკის ალბომი. აღნიშნული შესრულების/ფონოგრამის სარეკლამო რგოლში გამოყენებისთვის/ჩართვისთვის შპს „მ-ს“ უნდა მოეპოვებინა შესაბამისი ლიცენზია მომიჯნავე უფლების მფლობელისგან. ამ უფლე-

ბის მფლობელი არის Sony Music. ბ. რ-სი კი არის OOO „S. M. E.“-ის (რუსეთის ფედერაცია) სპეციალური წარმომადგენელი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და ყველა იმ ნაწარმოებზე, რომლებზეც მომიჯნავე უფლებათა მფლობელია Sony Music, გაცემს ლიცენზიას ნაწარმოების გამოყენებაზე, მათ შორის ნაწარმოების რეკლამაში გამოყენებაზე.

1.2. მოპასუხის პოზიცია:

1.2.1. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და სასამართლოს წარუდგინა როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო შესაგებელი, კერძოდ, მოპასუხე არ ეთანხმება, რომ: მუსიკალურ ნაწარმოებზე მომიჯნავე უფლების მფლობელია Sony Music და ეს უკანასკნელი სარგებლობს ყველა უფლებით, მათ შორის ლიცენზიის გაცემის ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით (ამ კონტექსტში მოპასუხე სადავოდ ხდის სარჩელზე დართული დოკუმენტების ნამდვილობას იმ თვალსაზრისით, რომ დოკუმენტები წარმოდგენილია ასლების სახით და არ დგინდება ხელმოწერი პირების უფლებამოსილება); სარეკლამო რგოლში გამოყენებულ იქნა სადავო ფონოგრამა; შპს „ბ. რ-სი“ წარმოადგენს სათანადო მოსარჩელეს, რადგან იგი Sony Music-თან იმყოფება დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობაში და საკუთარი სახელით ვერ გამოვა მოსარჩელედ, ამასთან დავალების ხელშეკრულება შპს „ბ. რ-სთან“ გაფორმდა მას შედეგ, რაც სავარაუდო დარღვევას ქონდა ადგილი; მოპასუხე სათანადო მხარეა, რადგან სარეკლამო რგოლი დაამზადა შპს „კ-მა“, ეს უკანასკნელი იყო პასუხისმგებელი ნაწარმოების შერჩევაზე, რომელმაც სარეკლამო რგოლში გამოიყენა სულ სხვა ნაწარმოები (ი. კოსკელაინენის ე.წ. ქავერ ვერსია). მოპასუხე ასევე სადავოდ ხდის კომპენსაციის გამოანგარიშების საფუძველს და აცხადებს, რომ მოთხოვნილ თანხასა და რეკლამის დამზადება/განთავსების საფასურს შორის არის აშკარა დისპროპორცია (სარეკლამო რგოლის დამზადებაში გადახდილ იქნა 880 ლარი, ხოლო ტელეკომპანიაში განთავსების საფასურმა შეადგინა 200 აშშ დოლარი).

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით OOO „S. M. E.“-ისა და შპს „ბ. რ-სის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შპს „მ-ს“ მოსარჩელების სასარგებლოდ კომპენსაციის სახით დაეკისრა 200 000 ევროს (ექვივალენტი ლარში) გადახდა, მხარეთა შორის განაწილთა პროცესის ხარჯები.

3. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაა-

საჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

4. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 12 თებერვლის განჩინებით შპს „მ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

5. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება:

1.1. საკასაციო პრეტენზიების მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მომიჯნავე უფლებების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების დაკისრების კანონიერება. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნით, მოპასუხემ დაარღვია მოსარჩელეთა მომიჯნავე უფლება, რის გამოც არსებობდა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის მატერიალური ნორმით განსაზღვრული ყველა წინაპირობა. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს და პრეტენზიას აცხადებს სასამართლოს მხრიდან, როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას საკასაციო საჩივარში გამოთქმული შემდეგი პრეტენზიების ფარგლებში შეამოწმებს:

ა) მოსარჩელები არ წარმოადგენენ სპეციალური კანონის სუბიექტებს, მით უფრო მეორე მოსარჩელეს პირველისაგან არანაირი მომიჯნავე უფლება არ შეუძენია (მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება თავისი შინაარსით დავალების ხელშეკრულებაა და არა სალიცენზიო), შესაბამისად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მათი საპროცესო მხარის სტატუსი;

ბ) მოპასუხემ კვალიფიციური შედაგება წარადგინა ფონოგრამის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით, აქედან გამომდინარე მოსარჩელეს უნდა ემტკიცებინა სადავო ფონოგრამის არსებობა, რაც შეიძლებოდა დადასტურებულიყო ექსპერტის დაკვნით, ასეთი კი საქმეში წარმოდგენილი არ არის;

გ) სადავო ქმედება, თუკი ასეთს ექნებოდა ადგილი, უნდა შეერაცხოს შპს „კ-ს“ და არა მოპასუხეს, რადგან სავარაუდო უფლება შეიძლებოდა დარღვეულიყო მხოლოდ ვიდეორგოლის შექმნის სტადიაზე, იგივე ქმედება კასატორსაც შეიძლება შეერაცხოს იმ პირობით, თუ შპს „კ-ი“ სადავო ფონოგრამის უნებართვო ჩართვაზე კასატორმა დაიყოლია. ასეთი ფაქტი არცერთი ინსტანციის სასამართლოს არ დაუდგენია;

დ) მოსარჩელებს მიუღებელი შემოსავლის ოდენობის დამადასტურებელი პირდაპირი ხასიათის არც ერთი მტკიცებულება არ წარმოდგენიათ. საქმეზე წარმოდგენილი არ არის ასევე ექსპერტის დასკვნა, რომლითაც საქართველოში (ან ტერიტორიით, მოსახლეობის რაოდენობითა და ეკონომიკით მსგავს სხვა ქვეყანაში) სადავო ფონოგრამის რეკლამაში ჩართვის უფლების ღირებულება იქნებოდა დადგენილი;

ე) კომპენსაციის ოდენობა აშკარად გადაჭარბებულია და იგი არ შესაბამეა საქართველოში მოქმედ ტარიფებს (ფონოგრამის ვიდეორგოლში სინქრონიზაციის ღირებულება 442.50 ლარს შეადგენს და არა 20 000 ევროს).

1.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედაგება). სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დაადგინა დავის გადანყევტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.2.1. Daft Punk-ის მიერ შესრულებულ მუსიკალურ ნაწარმოებზე „Get Lucky“ საავტორო და მომიჯნავე უფლებები ეკუთვნის S. M. E.-ს, რომელიც წარმოდგენილია საკუთარი განყოფილების, Columbia records-ის სა-

ბით;

1.2.2. ООО „S. M. E.“ (რუსეთის ფედერაცია) არ არის S. M. E.-ის ფილიალი, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე სალიცენზიო შეთანხმებაში მოხსენიებულია როგორც ფილიალი, უდავოა და მხარეებიც აღიარებენ, რომ ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი იურიდიული პირები არიან და ამ შემთხვევაში „ფილიალი“ არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული S. M. E.-ის წარმომადგენლობა კონკრეტულ ქვეყანაში;

1.2.3. მოსარჩელები არიან მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები, ვინაიდან, S. M. E.-მა მის საკუთრებაში არსებული მომიჯნავე უფლებები 2012 წლის 1 აპრილის სალიცენზიო შეთანხმებით გადასცა მოსარჩელეს ООО „S. M. E.“ (რუსეთის ფედერაცია), სალიცენზიო შეთანხმება აკმაყოფილებდა ამ შეთანხმების დადების ყველა პირობას და კანონის მოთხოვნებს. აღნიშნულ ხელშეკრულებაში მოგვიანებით შევიდა ცვლილებები, რომელსაც ხელს აწერს ი. ჰ-ნი, მისი უფლებამოსილება დასტურდება, S. M. E.-ის წევრთა 2013 წლის 15 ივლისის რიგგარეშე საერთო კრების ოქმით, რომლის თანახმადაც, ვადამდე შეუწყდა საზოგადოების გენერალურ დირექტორს ი. ჰ-ნს შრომითი ხელშეკრულება და იგი გათავისუფლდა 2013 წლის 5 სექტემბრიდან, მის ნაცვლად კი 2013 წლის 6 სექტემბრიდან არჩეულ იქნა ა. დ-ვა. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სალიცენზიო შეთანხმების დადებისას და მასში ცვლილებების შეტანას ხელს აწერდა უფლებამოსილი პირი, ამ მტკიცებულებების გასაბათილებლად კი მოპასუხეს არაფერი წარმოუდგენია;

1.2.4. პირველმა მოსარჩელემ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დადო ხელშეკრულება შპს „ბ. რ-თან“, რომლითაც მეორე მოსარჩელე ვალდებული იყო განეხორციელებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული იურიდიული მოქმედებები Sony Music-ის კატალოგიდან შესრულებებისა და ფონოგრამების დაცვისა და მათთან მიმართებით სამართალდარღვევათა აღკვეთისათვის საქართველოს ტერიტორიაზე;

1.2.5. შპს „მ-ის“ მიერ მომიჯნავე უფლება დაირღვა, რაც გამოიხატა იმაში, რომ კომპანიის სარეკლამო აქტივობებში გამოყენებულია Pharell Williams-ის მუსიკალური ნაწარმოები. მოპასუხის ამ ქმედების გამო, მოსარჩელებს მიადგა ზიანი. მოსარჩელებმა წარმოადგინეს დისკი, სადაც ჩანერილია „მ-ის“ სარეკლამო რგოლი, რომელშიც გამოყენებულია Pharell Williams-ის მუსიკალური ნაწარმოები „Get Lucky“ შესრულებული Daft Punk-ის მიერ, ასევე წარმოდგენილია სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმადაც, 2014 წლის 1 ივნისს ეთერში განთავსდა კომპანია „მ-ის“ 10 წამიანი სარეკლამო რგოლი შემდეგი პერიოდულობით: 05:00:51; 09:07:26; 10:25:53; 13:23:11;

17:21:23; 18:40:09; 19:01:55; 19:09:22; 19:25:35; 19:32:59; 19:48:21. შპს „მ-მა“ სასამართლოს ვერ წარუდგინა მტკიცებულება, რომელიც გააბათილებდა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს;

1.2.6. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 პუნქტით და სამართლებრივად დასაბუთებულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა საავტორო უფლების დარღვევის საკომპენსაციო თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით იმ ოდენობის ფარგლებში, რომელიც დადგენილ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია, რომ საავტორო/მომიჯნავე უფლების კანონიერად გამოყენების საფასური განისაზღვრება არა რუსეთის ფედერაციაში ან ნებისმიერ სხვა მესამე ქვეყანაში, არამედ საქართველოში არსებული ფასებით და გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება დადგენილ სასამართლო პრაქტიკას.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

ვიდრე საკასაციო სასამართლო უპასუხებდეს საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებულ პრეტენზიებს, მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს რამდენიმე თეორიულ და პრაქტიკულ საკითხზე:

1.3.1. სარჩელის ფორმალური დასაბუთებულობა მოწმდება მოსარჩელის სტადიაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, იძლევა თუ არა მოსარჩელის მიერ თავის ახსნა-განმარტებაში მითითებული ფაქტები და გარემოებები იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ მას მართლაც აქვს მოთხოვნის დაყენების უფლება. მოთხოვნის დაყენების უფლება უკავშირდება სათანადო მოსარჩელის საპროცესო სტატუსს, შესაბამისად მოსარჩელის განმარტებები ისეთი შინაარსით უნდა იქნეს გადმოცემული, რომ სასამართლოსთვის ნათელი და გასაგები გახდეს, რომ სწორედ მოთხოვნის აღმძვრელი პირია ის, ვისი უფლებაც დაირღვა და არა სხვა პირი. მართალია არ გამოირიცხება ამ საკითხის კვლავ დღის წესრიგში დაყენება მოპასუხის სტადიაზე, თუმცა ეს არ ათავისუფლებს მოსარჩელეს საკუთარი მოვალეობის შესრულებისაგან, ფორმალურად გამართოს სარჩელი. მოსარჩელის სტადიაზე მოწმდება კონკრეტულ საქმესა და მოსარჩელის პიროვნებას (იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიულ პირს) შორის კავშირი, ხოლო ამის პარალელურად მოთხოვნის წარმოშობისათვის ნორმით გათვალისწინებული ყველა წინაპირობის არსებობა. სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს: ვინ?, ვის?, რას?, რის საფუძველზე სთხოვს?, ამასთან პირველი ორი კითხვა სათანადო მხარესთან დაკავშირებით იძლევა პასუხს, მესამე – დავის საგანთან, ხოლო მეოთხე მოთხოვნის სა-

მართლებრივ საფუძველთან მიმართებაში. სარჩელის ფორმალური და-საბუთებულობის (გამართულობის) შემდეგ მოწმდება შესაგებლის შინაარსი, კერძოდ მოპასუხემ როგორი შესაგებელი წარმოადგინა, ამის მიხედვით ხდება შესაგებლის კლასიფიკაცია. იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში განვითარებული შეხედულებების მიხედვით, შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია ასეთია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მარტივი და არსებითი (კვალიფიციური) შესაგებელი. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, პირველ რიგში, საპროცესო, ხოლო შემდეგ მატერიალურ შესაგებელს. მატერიალური შესაგებელი მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მითითებას, რომლებიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს (განუხორციელებელს ხდის) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დადგომას.

1.3.2. განსახილველ საქმეს თუ დავუბრუნდებით, სარჩელი მოსარჩელის სტადიაზე ერთი შეხედვით გამართულია: მოსარჩელე აცხადებს, რომ წარმოადგენს მომიჯნავე უფლების მფლობელს (აქვე უთითებს უფლების მოპოვების საფუძველს, თუმცა მითითების დონეზე საკმარისი იქნებოდა მხოლოდ ის განმარტება, რომ მას ეკუთვნის სადავო უფლება); მოპასუხემ თავისი აქტიური მოქმედებით ხელყო მოსარჩელის მომიჯნავე უფლება; უფლების დარღვევას შედეგად მოჰყვა ზიანი; ზიანი გამოწვეულია მოპასუხის ქმედების შედეგად (შესაბამისად მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმებია: „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 46(1); 48(1)(2,„ა“); 58(1)(2)(3,„ა“); 59(1,„ე“)(3). მიუხედავად ამისა, სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს უფლების მოპოვების ნამდვილობაზე (თავის მხრივ ეს საკითხი მნიშვნელოვანია სათანადო მოსარჩელის დადგენისათვის) თითოეულ მოსარჩელესთან მიმართებაში, კერძოდ, პირველი მოსარჩელე განმარტავს, რომ მან მომიჯნავე უფლება მოიპოვა 2012 წლის 1 აპრილის სალიცენზიო შეთანხმებით, რომლის მიხედვითაც S. M. E.-მა ფილიალს გადასცა მის კატალოგში შესული ფონოგრამებისა და აუდიოვიზუალური მასალების გამოყენების ექსკლუზიური ლიცენზია, საავტორო უფლებების დაცვის უზრუნველყოფით (2(2.1,„ა“)), ფილიალისთვის ლიცენზიის გაცემა მოიცავს შემოსავლის მიღების უფლებას, ფილიალს აქვს ფონოგრამის სინქრონიზაციის უფლება, ასევე ფილიალს აქვს სარჩელის აღძვრის უფლება დამრღვევი მხარის მიმართ (6.2.). რაც შეეხება მეორე მოსარჩელეს, სარჩელის თანახმად, მისი უფლებამოსილება შემოიფარგლება პირველ მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იურიდიული მოქმედებების განხორციე-

ელეებით, რომელიც უკავშირდება Sony Music-ის კატალოგიდან შესრულებებისა და ფონოგრამების დაცვასა და მათთან მიმართებით სამართალდარღვევათა აღკვეთისათვის მიმართულ ღონისძიებებს საქართველოს ტერიტორიაზე (წარმომადგენლობა, სასამართლოსთვის მიმართვა), ამასთან მეორე მოსარჩელე უფლებამოსილია გასცეს ლიცენზია. საგულისხმოა, რომ შპს „ბ. რ-თან“ ხელშეკრულება გაფორმდა 2014 წლის სექტემბერში, მაშინ როდესაც უფლების სავარაუდო დარღვევას ადგილი ჰქონდა 2014 წლის ივნისში. ამდენად, განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკამათოა მეორე მოსარჩელის, როგორც უფლების მფლობელის საკითხი, ამ თვალსაზრისით მოპასუხემ წარადგინა საპროცესო შესაგებელი, ხოლო ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა არ არის დამაჯერებელი და სათანადოდ არგუმენტირებული, რაც მიუთითებს სასამართლოს მხრიდან საპროცესო ნორმების დარღვევაზე.

1.3.3. მას შემდეგ, რაც დავადგინეთ პირველ მოსარჩელესთან მიმართებაში მისი სარჩელის ფორმალური გამართულობა, მნიშვნელოვანია შემოწმდეს შესაგებლის არსებითობა. პროცესუალური თვალსაზრისით, როგორც 1.3.2. პუნქტში ვახსენეთ, მოპასუხე არ ეთანხმება, რომ მეორე მოსარჩელეს აქვს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, ასევე თუკი ასეთი იარსებებს, უფლების მოპოვების დროიდან გამომდინარე, რაც სავსებით გასაზიარებელია, და საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ მხრივ კასატორმა წარმოადგინა დასაბუთებული შედავება. კასატორი ასევე მიიჩნევს, რომ მან არ უნდა აგოს პასუხი სავარაუდო დარღვევისათვის, არამედ შპს „კ-მა“, როგორც აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელმა. საკასაციო პალატა ამ მხრივ ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ 2014 წლის 22 მაისის ხელშეკრულებაზე (შპს „კ-სა“ სა შპს „მ-ს“ შორის), რომლის 3.1. პუნქტის მიხედვით, შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს დამკვეთის მიერ წარდგენილი მოთხოვნის შესაბამისად ვიდეო რგოლის შემუშავება. მართალია ხელშეკრულების შინაარსი არ მოიცავს შეთანხმებას კონკრეტული ფონოგრამის რეპროდუქცირებაზე/სინქრონიზაციაზე, თუმცა ივარაუდება, რომ შემსრულებელი, როგორც რეკლამის დამამზადებელი და გამოცდილი ამ სფეროში, აკეთებს შეთავაზებებს დამკვეთისადმი, ხოლო დამკვეთის მიერ შესრულებული სამუშაოს მიღებით პრეზუმირებულია, რომ დამკვეთმა მოიწონა შესრულებული სამუშაო და ამით მიიღო კიდევ სარგებელი. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, კასატორის პრეტენზია მისი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გაზიარებული. თეორიული თვალსაზრისით შეიძლება შპს „კ-ი“ სოლიდარულ მოვალედაც კი მივიჩნიოთ, თუმცა სამოქალაქო კოდექ-

სის 465-ე მუხლის მიხედვით, კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილი-სამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება.

1.3.4. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოსთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გაცემს დადებით პასუხს, იგი ამოწმებს, რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ. თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედავება და მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე. შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა აქვს კვალიფიციურ შედავებას. კვალიფიციური შედავება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოდ ხდის მოსარჩელის მოხსენებას. კვალიფიციური შედავებისას, მოსამართლემ უნდა შეამოწმოს რას პასუხობს მოპასუხის ვერსიას მოსარჩელე და ეს პროცესი გრძელდება, ვიდრე არ დასრულდება მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე გადასვლა და პირიქით. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე სადავოდ ხდის სარეკლამო რგოლში, Pharell Williams-ის მუსიკალური ნაწარმოების „Get Lucky“-ის გამოყენების ფაქტს, რომელიც შესრულებულია Daft Punk-ის მიერ და აცხადებს, რომ სარეკლამო რგოლში გამოყენებულია ი. კ-ნის ე.წ. ინსტრუმენტალური ქავერ ვერსია. მოხმობილი მსჯელობიდან გამომდინარე პირველადი ვარაუდის მტკიცება იმისა, რომ სარეკლამო რგოლში ნამდვილად ის ფონოგრამა იქნა გამოყენებული, რომელზეც მომიჯნავე უფლების მფლობელია მოსარჩელე მხარე, ეკისრებოდა ამ უკანასკნელს. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა ამ მხრივ ისე გაიზიარეს მოსარჩელის ვერსია, რომ დაეყრდნენ CD დისკს და მოსარჩელის ახსნა-განმარტებას, ამასთან ეს საკითხი სპეციალისტის/ექსპერტის კვლევის საგანი არ გამხდარა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამ სფეროში მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, აქედან გამომდინარე საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ სასამართლოს მიერ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საპროცესო ნორმებით გათვალისწინებული პროცედურების სრულყოფილად განხორციელებიდან (სსსკ-ის 105-ე, 162-ე და 172-ე მუხლები). თუკი საქმის ხელახლა განხილვის შემდეგ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო

მივა დასკვნამდე, რომ მოსარჩელემ დაძლია პირველადი ვარაუდის დამტკიცების ტვირთი, მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, რომ სარეკლამო რგოლში გამოყენებული იყო ი. კ-ნის ე.წ. ინსრუმენტალური ქავერ ვერსია.

1.3.5. ბოლოს საკასაციო პალატა შეეხება დაკისრებული თანხის საფუძვლიანობას და ამ კონტექსტში კასატორის პრეტენზიების არსებობას. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი ითვალისწინებს მომიჯნავე უფლებების დაცვის რამდენიმე გზას, მათ შორისაა აღიარებითი სარჩელი; სარჩელი პირველადი მდგომარეობის აღდგენის, მოქმედების აღკვეთის შესახებ; სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ; სარჩელი შემოსავლის ჩამორთმევის შესახებ; მოპასუხისათვის კომპენსაციის გადახდის დაკისრება. როგორც სარჩელის შინაარსიდან დგინდება, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა. საკასაციო პალატა იზიარებს მოსარჩელის განმარტებას იმის თაობაზე, რომ იგი ითხოვს ე.წ. სადამსჯელო თანხას (Punitive damages), რომელიც თავის თავში მოიცავს, როგორც ფაქტობრივი ზიანის ელემენტს, ისე სანქციის ელემენტს (კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს დარღვეული უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში უფლების მფლობელის მიერ მისაღები ფულადი ანაზღაურების ათმაგ ოდენობაზე ნაკლები). როგორც წესი, დამრღვევისათვის პასუხისმგებლობის ამგვარი ზომის დაკისრების მიზანია შემაკავებელი ეფექტის მიღება, ამასთან ასეთი ტიპის სარჩელებში მნიშვნელოვანია ბრალის ელემენტის არსებობა, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს, რომ მოპასუხე მოქმედებდა წინასწარი განზრახვით ან სულ მცირე უხეში გაუფრთხილებლობით მაინც. ამას მოწმობს სავარაუდო დარღვევის შემდეგ კანონში განხორციელებული ცვლილებები, კერძოდ 59(7) მუხლის თანახმად, ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათ შორის დამრღვევის განზრახვა. ე.წ. Punitive damages-სგან განსხვავდება Compensatory damages, რა დროსაც ხდება დაზარალებულის სრული ფაქტობრივი ანაზღაურება და მისი მიზანი არ არის დამრღვევის დასჯა. ამ კონტექსტში საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გამოყენებული სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი, ასევე არასწორად იქნა განმარტებული „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის დებულებები, შესაბამისად კასატორის პრეტენზია გასაზიარებელია. რაც შეეხება კომპენსაციის იმ ელემენტს, რომელიც ეხება ფაქტობრივ ზიანს, საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებუ-

ლი რეკლამის დამზადება/განთავსების საფასური, სარეკლამო დრო და რეკლამის გავრცელების ტერიტორია. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ფაქტობრივი ზიანის ელემენტის დასადგენად ათვლის წერტილი უნდა იყოს ქართული ბაზარი ან საქართველოს ტერიტორიით, მოსახლეობის რაოდენობითა და ეკონომიკით მსგავსი ქვეყანა და არა რუსეთის ფედერაცია, ხოლო იმის მიხედვით, თუ როგორია დარღვევის მასშტაბი, დამრღვევის ქმედების ხასიათი და ის სარგებელი, რაც მან მიიღო უფლების ხელყოფის შედეგად, უნდა გაიზარდოს სადამსჯელო სანქციის ელემენტის ოდენობა.

1.4. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესუალური დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 ნაწილისა და 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და ვინაიდან საჭიროა საპროცესო საკითხების გადაწყვეტა, ასევე მტკიცებულებათა გამოკვლევა, ამავე კოდექსის 412(1) მუხლის საფუძველზე, საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს.

2. პროცესის ხარჯები:

ვინაიდან საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს, პროცესის ხარჯების საკითხი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 53-ე, 284-ე, 285-ე 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „მ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 12 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა
აღრევაზი მსგავსი სასაქონლო ნიშანი

განცხადება
საქართველოს სახელმწიფო

№ას-1502-2023

06 მარტი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**
**შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
ვ. კაკაბაძე**

დავის საგანი: სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრ – საქპატენტში, შპს „მ.პ.კ.ლ-ის“ (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) სახელზე რეგისტრირებულია კომბინირებული ნიშანი, რომლის გამოსახულებითი ელემენტია ორი შავის ფერის ჩანთა. მარცხენა ჩანთის გამოსახულებაში, თეთრი ფერის ლათინური ასოებით ჩანერილია სიტყვიერი აღნიშვნა – „MINISO“ და ღიმილი, ხოლო მარჯვენა ფიგურაში დატანილია იეროგლიფები (სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ნომერი – 29064). მოსარჩელეს სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებული აქვს ნიცის კლასიფიკაციის 03,09,14,18,21,25,28,25 კლასებში გათვალისწინებული საქონლის და მომსახურების მიმართ.

2. შპს „ა და ა ი. ჯ-იას“ (შემდეგში: მოპასუხე, მონინააღმდეგე მხარე) ქალაქ თბილისში რამდენიმე მისამართზე და ქალაქ ბათუმში გახსნილი აქვს მაღაზიები, სადაც ახორციელებს სხვადასხვა დასახელების საქონლის საცალო ვაჭრობას, სასაქონლო ნიშნის – MUMUSO.KR – გამოყენებით. მაღაზიების შესასვლელებზე განთავსებულია აბრები – MUMUSO.KR. მოპასუხეს სოციალურ ქსელში – „facebook“ შექმნილი აქვს გვერდი – M – მ-სო. მოპასუხე ფლობს ვებ-გვერდს დომენით mumuso.ge, სადაც იყენებს სასაქონლო ნიშანს – MUMUSO.KR.

3. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის 2018 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებით მოპასუხის საერთაშორისო კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს MUMUSO.KR (საერთაშორისო რეგისტრაციის № 1390392, საიდ. №96665/3, განმცხადებელი MUMUSO CO.LTD) მიენიჭა დაცვა საქონლისა და მომსახურების

მთლიანი განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. [დღეის მდგომარეობით, კომბინირებული სასაქონლო ნიშნის MUMUSO.KR (№96665/3) რეგისტრაცია შეწყვეტილია.

4. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ საქპატენტის სააპელაციო პალატის 2020 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეფასდა მოდავე მხარეთა სასაქონლო ნიშნების მსგავსება და დადგინდა, რომ ნიშნები განსხვავებულია ვიზუალური თვალსაზრისით, კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ აპელანტის ნიშნის დომინანტი ელემენტი და გასაჩივრებული ნიშანი შედგება ექვსი ასოსგან და შესრულებულია ლათინური ასოებით და იდენტურია პირველი, მეხუთე და მეექვსე ასოები, აპელანტის ნიშნის შესრულების ფორმა სრულიად განსხვავებულია გასაჩივრებული ნიშნის შესრულების ფორმისაგან. კერძოდ, აპელანტის ნიშანი კომბინირებულია, შეიცავს ორი ჩანთის გამოსახულებას, „ლიმილს“, იეროგლიფებსა და ორ ხაზზე, ლათინური ასოებით შესრულებულ სიტყვიერ ელემენტს „MINISO“. აღნიშნული ქმნის ნიშნებს შორის განსხვავებულ ვიზუალურ შთაბეჭდილებას. კოლეგიამ მიიჩნია, რომ ნიშნები მსგავსია ფონეტიკური კრიტერიუმით, რაც ქმნის ნიშნებს შორის დაბალი დონის მსგავსებას. კოლეგიამ ასევე მიიჩნია, რომ ნიშნები წარმოადგენენ ფანტაზიურ აღნიშვნებს, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ სემანტიკური მნიშვნელობა, შესაბამისად, ნიშნებს არ გააჩნიათ მსგავსი შინაარსობრივი დატვირთვა და შესაბამისად ნიშნების შედარებისას შინაარსობრივი კრიტერიუმში მხედველობაში არ მიიღება. ზემოთმითითებულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე, რადგანაც არ დადგინდა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის წინაპირობები.

5. სასარჩელო მოთხოვნა

5.1. „მ.პ.კ.ლ“-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე შპს „ა და ა ი.ჯ-იას“ მიმართ და მოითხოვა შპს „ა და ა ი.ჯ-იასთვის“ „მ.პ.კ.ლ-ის“ კუთვნილი სასაქონლო ნიშნის ან მისი აღრევამდე მსგავსი ნიშნების საქართველოს ტერიტორიაზე გამოყენების აკრძალვა, მათ შორის: – სასაქონლო ნიშნის MUMUSO.KR მაღაზიის სახელწოდებად და ინტერნეტში გამოყენების აკრძალვა; – სასაქონლო ნიშნის MUMUSO.KR საქონელზე, მათ შორის საქონლისა და მომსახურების ნიშნის საერთაშორისო კლასიფიკატორის 03,09,14,18,21,25,28 კლასებში შემავალი საქონლის მიმართ გამოყენების აკრძალვა; – სასაქონლო ნიშნის MUMUSO.KR ქ. თბილისში და ქ. ბათუმში მდებარე მაღაზიების აბრად გამოყენების აკრძალვა; – სასა-

ქონლო ნიშნის MUMUSO.KR სოციალურ ქსელ „facebook“-ში თავისი გვერდის სახელწოდებად და რეკლამისთვის გამოყენების აკრძალვა; – სასაქონლო ნიშნის MUMUSO.KR ვებგვერდზე www.mumuso.ge ნებისმიერი ფორმით განთავსებისა და გამოყენების აკრძალვა.

5.2. მოსარჩელის მითითებით, მისი და მოპასუხის სასაქონლო ნიშნებში დომინანტი ელემენტების (MINISO, MUMUSO.KR) საწყისი ასოა „M“, ხოლო საბოლოო „SO“, ნიშნები შედგება თანაბარი რაოდენობის ასოებისგან, ორასოიანი სამი მარცვლისგან, რომელთაგან სამივე ღია მარცვალია. შესაბამისად, მსგავსია მათი ყლერადობა. ნიშნებში განსხვავებულია მხოლოდ შუა მარცვლის თანხმონები „მ“ და „ნ“, რომლებიც მსგავსი ფონეტიკის მქონე თანხმონებია და განეკუთვნებიან მჟღერი თანხმონების ჯგუფს, ამდენად სახეზეა უპირობო ფონეტიკური მსგავსება. მსგავსებას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ იდენტური თანხმონები ნიშნებში ერთსა და იმავე პოზიციაზე არიან განლაგებული.

5.3. მოსარჩელის მოსაზრებით, მის სასაქონლო ნიშანს საქართველოში აქვს კარგი რეპუტაცია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მისი დაცვის ფარგლებს. კარგი რეპუტაციის დამადასტურებელია „მ.ჰ.კ.ლ-ის“ წარმატებული საქმიანობა მსოფლიოს მასშტაბით და 3 500-ზე მეტი მაღაზია 70 ქვეყანაში. საქართველოში მოსარჩელე ოპერირებს 13 მაღაზიით. „მ.ჰ.კ.ლთან“ თანამშრომლობს მრავალი ცნობილი კომპანია. საქართველოში მოსარჩელის საერთო ბრუნვამ 2016-2018 წლებში შეადგინა 21 348 000 ლარი. „MINISO“-ს ნიშნით მარკირებული საქონლის სამოქალაქო ბრუნვაში უწყვეტი და ინტენსიური ჩართვის შედეგად, იგი ფართოდაა გავრცელებული საქართველოში და კარგად არის ცნობილი საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, რაც ადასტურებს მოსარჩელის სასაქონლო ნიშნის რეპუტაციის არსებობას.

6. მოპასუხის შესაგებელი

6.1. წარმოდგენილი შესაგებელით უარყოფილია სასარჩელო მოთხოვნები, სასაქონლო ნიშანი „MUMUSO.KR“ წარმოადგენს სამხრეთ კორეაში რეგისტრირებული კომპანიის MUMUSO.KR Co, LTD-ს ინტელექტუალურ საკუთრებას. აღნიშნულ სასაქონლო ნიშანზე კომპანიის უფლება მსოფლიოს ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციაში რეგისტრირებული იქნა 2017 წლის 04 დეკემბერს. რეგისტრირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი საქართველოში გავრცელების მიზნით გადმოგზავნილ იქნა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ცენტრ – საქპატენტში და საქპატენტის თავმჯდომარის 2018 წლის 24 ოქტომბრის №7291/03 ბრძანებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნისთვის საქართველოში დაცვის მინიჭების თაობაზე, საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მი-

მართ.

6.2. შპს „ა და ა ი.ჯ-იას“ და MUMUSO.KR Co. LTD-ს შორის გაფორმებულია ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, რომელიც მოპასუხე კომპანიას უფლებას აძლევს, საქართველოს ტერიტორიაზე ისარგებლოს MUMUSO.KR Co LTD-ის საკუთრებაში არსებული სასაქონლო ნიშნით.

6.3. MUMUSO.KR LTD-ს დაკვეთით ჩატარებულ იქნა ექსპერტიზა სადავო სასაქონლო ნიშნების აღრევამდე მსგავსებისა და მოსარჩელის ნიშნის რეპუტაციის დასადგენად. ექსპერტის მიერ დადგინდა, რომ სადავო ნიშნები არც ვიზუალურად, არც ჟღერადობით და არც საერთო შთაბეჭდილებით არ არიან მსგავსი. ასევე დადგინდა, რომ სასაქონლო ნიშანს – „MINISO“, არ უდგინდება კარგი რეპუტაცია.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

8. მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა

ხსენებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელე მხარემ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 04 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

10. მოსარჩელის საკასაციო საჩივარი

10.1. განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

10.2. კასატორის მითითებით, სასამართლო ვალდებული იყო ემსჯელა აღრევის შესაძლებლობაზე საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებით, რადგან სასამართლომ აღნიშნა, რომ მსგავსების ხარისხი მცირეა, თუმცა, თუნდაც მცირე მსგავსების შემთხვევაშიც კი სასამართლო ვალდებული იყო სიღრმისეულად შეედარებინა სადავო ობიექტები საქპატენტის სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზის სახელმძღვანელოს მითითებით.

10.3. სასამართლოს სასაქონლო ნიშნები „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე უნდა შეეფასებინა ნიშნებს შორის მსგავსებისა და საქონლის და/ან მომსახურების მსგავსების ხარისხების მიხედვით,

რომლის შედარების საფუძველზეც დადგინდებოდა ნიშნების მსგავსების დონე. ამასთან, თუ კი არსებობს ნიშნებს შორის სულ მცირე გარკვეული დონის მსგავსება და მსგავსია შესაბამისი საქონელი/მომსახურება, აუცილებელია აღრევის შესაძლებლობის შეფასებაც, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების სასაქონლო ნიშნების სახელმძღვანელოს თანახმად. აღნიშნულ საკითხზე კი სასამართლოს არ უმსჯელია. სასამართლოს მსჯელობა მხოლოდ მაშინ იქნებოდა დასაბუთებული, თუ კი ის დაადგენდა ნიშნების სრულად განსხვავებულობას.

10.4. კასატორის მითითებით, თუნდაც დაბალი დონის მსგავსების დადგენისას (რაც დაადგინა სააპელაციო პალატამ) დაშვებულია აღრევის შესაძლებლობასთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღება მსგავსების გაანალიზების გარეშე. თუ კი სასამართლო იმსჯელებდა, დაადგენდა სადავო ნიშნებს შორის დაბალი მსგავსების დონის არსებობის შემთხვევაშიც კი მათ აღრევამდე მსგავსად.

10.5. მხარეები იყენებენ იმ საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც იდენტურია, მოსარჩელის სასაქონლო ნიშანს აქვს მაღალი დონის განმასხვავებელუნარიანობა და სარგებლობს უფრო ფართო დაცვის ფარგლებით, მისი სასაქონლო ნიშანი ფანტაზიური აღნიშვნაა, შესაბამისად, დარღვევის ხარისხი გაცილებით მაღალია.

10.6. სასამართლომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების არასწორი განმარტებით ორივე პუნქტის შინაარსი შეცვალა, რომ თითქოს ამ პუნქტების წინაპირობას წარმოადგენს ნიშნების აღრევის შესაძლებლობამდე მსგავსება. სასამართლოს უნდა ემსჯელა მის მიერვე დადენილი მსგავსების დონე საკმარისია თუ არა იმისთვის, რომ მომხდარიყო არა ნიშნების აღრევა მომხმარებლის თვალში, არამედ სადავო ნიშნის გამოყენებით დაუმსახურებლად ექმნება თუ არა ხელსაყრელი პირობები მოპასუხეს, ზიანი ადგება თუ არა კასატორის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას, ან განმასხვავებელუნარიანობას.

10.7. საქპატენტის სააპელაციო პალატის 2019 წლის 7 ივნისის № 16-3/19 და 2020 წლის 18 მაისის 163-3/2019 გადაწყვეტილებების თანახმად, კასატორის კუთვნილ სასაქონლო ნიშანს დაუდგინდა რეპუტაცია და მოპასუხის სასაქონლო ნიშანთან ჩაითვალა მსგავსად, რის გამოც, ერთ შემთხვევაში, MUMUSO.KR-ს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე აღნიშნული მსგავსების გამო, ხოლო მეორე შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სამი კუმულაციური წინაპირობიდან სახეზეა მხოლოდ ორი (მოსარჩელის სასაქონლო ნიშნის რეპუტაცია და ნიშნების მსგავსება), მაგრამ ის საქონელი, რისთვისაც მოითხოვებოდა მოპასუხის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, იმდენად განსხვავდებოდა მო-

სარჩელის მომსახურებისგან, რომ არ მოხდა მოსარჩელისთვის ზიანის მიყენება და არც განმცხადებელს შეექმნებოდა დაუმსახურებლად ხელსაყრელი პირობები.

10.8. კასატორი მიუთითებს, რომ თუნდაც სახეზე იყოს უფრო ნაკლები დონის მსგავსება სასაქონლო ნიშნებს შორის, საერთაშორისო კანონმდებლობისა და პრაქტიკის საფუძველზე, ეს მსგავსება შეიძლება საკმარისად იქნეს მიჩნეული იმისთვის, რომ მომხმარებელმა ნიშნები დაუკავშიროს ერთმანეთს, რითაც შესაძლებელია ზიანის გამოწვევა.

10.9. კასატორის მოსაზრებით, სახეზეა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის სამივე პირობა: 1. მოპასუხეს დაუმსახურებლად ექმნება ხელსაყრელი პირობები, რაც გამოიხატება კასატორის სასაქონლო ნიშანთან არსებული მსგავსებით შექმნილი კავშირით, შესაბამისად, მონინა-აღმდეგე მხარე დაუმსახურებლად სარგებლობს მოსარჩელის იმიჯით და რეპუტაციით, მოპასუხე მოსარჩელის სახელთან კავშირის შექმნით ადგილს იმკვიდრებს ბაზარზე და უკანონოდ იპოვებს ცნობადობას. 2. ზიანი ადგება კასატორის კუთვნილ სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობას, რაც გამოიხატება სასაქონლო ნიშნის „დასუსტებით“, „შემირებით“ ან „გაბუნდოვანებით“. მოპასუხე მხარის სასაქონლო ნიშანი იწვევს მოსარჩელის სასაქონლო ნიშნის იდენტობის, უნიკალურობისა და განმასხვავებელუნარიანობის გაფანტვას. 3. ზიანი ადგება კასატორის სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას. მხარეები ოპერირებენ შესაბამის ბაზარზე მსგავსი პროდუქციის რეალიზების გზით, შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ ერთმანეთის კონკურენტებს, რის გამოც, მომხმარებლის აღქმაში ამ ორი სასაქონლო ნიშნის დაკავშირებით მოსარჩელე იღებს პირდაპირ ზიანს, რაც ნიშნავს იმას, რომ მოპასუხე ითვისებს მოსარჩელის რეპუტაციას.

11. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 22 თებერვლის განჩინებით, საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

12. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევა, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.

13. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას,

რომლის გადანყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადანყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადანყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადანყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადანყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

14. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არცერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

15. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეში სააპელაციო სასამართლოს საქმის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანი ყველა გარემოება აქვს გამოკვლეული.

17. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებანი, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული

სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

18. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადანყვეტილებაში.

19. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადანყვეტილებაში ან განჩინებაში.

20. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 6.1 მუხლის თანახმად, რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის იდენტურია და საქონელიც იდენტური, ხოლო „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იდენტური ან მსგავსია და დაცულია სასაქონლო ნიშნის საქართველოში კარგი რეპუტაციის გამო, ამ ნიშნის გამოყენება მესამე პირს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს, ან ზიანს აყენებს სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან მის განმასხვავებელუნარიანობას.

21. მე-6 მუხლის ძალით, სასაქონლო ნიშანზე უფლების შექმნისას, ნიშნის მფლობელი იძენს განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი დაცული პროდუქტების/მომსახურებისათვის. ეს დაცვა მოქმედებს პრიორიტეტის პრინციპის მიხედვით უფრო ახალ სასაქონლო ნიშნებთან მიმართებით და დროის პრიორიტეტის მიუხედავად დაცულ სასაქონლო ნიშნებთან მიმართებით. კანონი განსაზღვრავს უფლების დარღვევის შემადგენლობას და ადგენს განსაკუთრებული უფლების მქონე პირის უფლებას, აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც მისი დაცული სასაქონლო ნიშნის მსგავსია.

22. სასაქონლო ნიშნის სარგებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები რეგლამენტირებულია ასევე 1994 წლის 14 აპრილს დადებული საერთაშორისო შეთანხმებით „ინტელექტუალური საკუთრების უფლების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“, რომლის მე-15 მუხლის შესაბამისად, „სასაქონლო ნიშანს შეიძლება წარმოადგენდეს ნებისმიერი სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელსაც უნარი შესწევს ერთი საწარმოს საქონელი და მომსახურება სხვა საწარმოს საქონლისა და მომსახურებისაგან განასხვავოს“. ამავე შეთანხმების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს აქვს განსაკუთრებული უფლება აუკრძალოს ყველა მესამე პირს მისი თანხმობის გარეშე ვაჭრობის პროცესში იდენტური ამ მსგავსი ნიშნის გამოყენება ისეთ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი და როდესაც ასეთმა გამოყენებამ შეიძლება წარმოქმნას აღრევის ალბათობა. აღრევის ალბათობა მტკიცდება მაშინ, როდესაც იდენტური ნიშნის გამოყენება ხდება საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით.

23. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის მფლობელს ენიჭება ერთგვაროვან ან მსგავს საქონელზე ამ ნიშნის ან მისი ვარიანტების გამოყენების განსაკუთრებული უფლება. ამავე კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად კი, სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვებისა და დამცავი დოკუმენტების ძალაში შენარჩუნების წესებს არეგულირებს მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობა. სამოქალაქო საქმეთა პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობიდან და საერთაშორისო აქტების შინაარსიდან გამომდინარე, სასაქონლო ნიშნის მთავარი დანიშნულებაა განასხვავოს საქონელი სხვა საქონლის ან მომსახურებისაგან ან განასხვავოს ერთი მენარმე მეორე მენარმისაგან. იგივე კონვენციის მე-10 ბის მუხლის თანახმად „(1) კავშირის ქვეყნები ვალდებული არიან უზრუნველყონ კავშირის ქვეყნების მოქალაქეები არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტიანი დაცვით. (2) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს შეადგენს კონკურენციის ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება სამენარმეო ან კომერციული საქმიანობის პატიოსან ჩვევებს. (3) კერძოდ, აკრძალულია: 1. ისეთი ხასიათის მქონე ყველა ქმედება, რომელსაც შეუძლია რაიმე გზით გამოიწვიოს აღრევა კონკურენტის დანესებულების, საქონლის, სამენარმეო ან კომერციული საქმიანობის მიმართ; 2. კომერციული საქმიანობისას ისეთი ხასიათის ყალბი განცხადებების გაკეთება, რომლებიც იწვევს კონკურენტის დანესებულების, საქონლის, სამენარმეო ან კომერციულ საქმიანობის დისკრედიტაციას; 3. ისეთი აღნიშვნების გა-

მოყენება ან განცხადებების გაკეთება, რამაც კომერციული საქმიანობისას შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება საქონლის გვარეობის, დამზადების ხერხის, მახასიათებლების, დანიშნულებით გამოსაყენებლად ვარგისიანობის შესაბამისობის, ან რაოდენობის მიმართ“.

24. განსახილველი საქმის მთავარ სამართლებრივ საკითხს წარმოადგენს სასაქონლო ნიშნებს შორის მსგავსების არსებობის დადგენის შემთხვევაში მოპასუხის სასაქონლო ნიშნის აკრძალვის მართლზომიერება.

25. კასატორი მოითხოვს, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მოპასუხეს აეკრძალოს მისი სასაქონლო ნიშნის – „MINISO“ აღრევამდე მსგავსი სასაქონლო ნიშნის, მათ შორის სასაქონლო ნიშნის – MUMUSO.KR. – გამოყენება ნიშნის კლასიფიკაციის იმ კლასებით გათვალისწინებული საქონლის და მომსახურების მიმართ, რომელშიც რეგისტრირებული აქვს სასაქონლო ნიშანი – „MINISO“.

26. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრ – საქპატენტში, მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებულია კომბინირებული ნიშანი, რომლის გამოსახულებითი ელემენტია ორი შავის ფერის ჩანთა. მარცხენა ჩანთის გამოსახულებაში, თეთრი ფერის ლათინური ასოებით ჩანერილია სიტყვიერი აღნიშვნა – „MINISO“ და ღიმილი, ხოლო მარჯვენა ფიგურაში დატანილია იეროგლიფები (რეგისტრაციის №29064). მოსარჩელეს სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებული აქვს ნიშნის კლასიფიკაციის 03,09,14,18,21,25,28,25 კლასებში გათვალისწინებული საქონლის და მომსახურების მიმართ.

27. ქვედა ინსტანციაში დადგინდა, რომ მოპასუხეს ქალაქ თბილისში რამდენიმე მისამართზე და ქალაქ ბათუმში გახსნილი აქვს მაღაზია, სადაც ახორციელებს სხვადასხვა დასახელების საქონლის საცალო ვაჭრობას, სასაქონლო ნიშნის – MUMUSO.KR – გამოყენებით. მაღაზიების შესასვლელებზე განთავსებულია აბრები – MUMUSO.KR. მოპასუხეს სოციალურ ქსელში – „facebook“ შექმნილი აქვს გვერდი – MMUMUSO – მუმუსო. მოპასუხე ფლობს ვებ-გვერდს დომენით mumuso.ge, სადაც იყენებს სასაქონლო ნიშანს – MUMUSO.KR.

28. სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს №05 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შედარების დროს, სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმი შეიძლება იყოს სიმბოლოების

სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას.

29. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით (ექსპერტის დასკვნა, ფოტო-სურათები, „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის გადანყვეტილება) დადასტურდა, რომ შესაძარბელი სასაქონლო ნიშნები არ ხასიათდება ისეთი სახის მსგავსებით, რაც განაპირობებდა მომხარებლის შეცდომაში შეყვანას. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ წარმოდგენილი ორივე სასაქონლო ნიშანი შედგება 6 ასოგან, მათ შორის ხმოვნებისა და თანხმოვნების რაოდენობას თითოეული სიტყვა თანაბრად შეიცავს (თითოეულს 1/2 შეფარდებით), ასევე თანხმოვნებისა და ხმოვნების განლაგება სიტყვებში თანაბარია (ყოველი კენტი ასო თანხმოვანია, ყოველი ლუნი – ხმოვანი, სიტყვა იწყება თანხმოვნით, სრულდება ხმოვნით), ორივე სიტყვა იწყება „M“ და სრულდება „SO“ ასოებით, ხოლო სიტყვების შუაში მოქცეული ხმოვნები ორივეგან მეორდება, თუმცა იმ განსხვავებით, რომ პირველში მეორდება ხმოვანი „I“, ხოლო მეორეში ხმოვანი „U“ სიტყვაში მსგავსი თანმიმდევრობით, რაც შეეხება ცენტრალურ თანხმოვნებს, ისინიც მსგავსი თანმიმდევრობითაა სიტყვაში განლაგებული, თუმცა იმ განსხვავებით, რომ პირველი ცენტრალური თანხმოვნებით არ ემთხვევა სიტყვები – „M“; „N“, ხოლო მეორე ცენტრალური – „S“; „S“ ემთხვევა. აღნიშნული აღწერით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, მართალია, სიტყვებს შორის შესაძლებელია არსებობდეს დაბალი დონის მსგავსება, თუმცა არა ისეთი სახით, რაც ობიექტური დამკვირვებლის თვალში გამოიწვევდა ნიშნების აღრევას. ასეთი ხარისხის ნაწილობრივი ფონეტიკური მსგავსება სავსებით შესაძლებელია არსებობდეს სხვა ორ სიტყვას შორისაც, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ, თუნდაც ასეთი მცირედი მსგავსებების გამო, იქმნება დაუსაბუთებელი სასარჩელო მოთხოვნების დაყენების შესაძლებლობა.

30. რაც შეეხება ვიზუალურ მსგავსებას, მოსარჩელის სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია, რომლის გამოსახულებითი ელემენტია ორი შავის ფერის ჩანთა. ამ ნაწილში, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომლის თანახმად, მარცხენა ჩანთის გამოსახულებაში, თეთრი ფერის ლათინური ასოებით ჩანერილია სიტყვიერი აღნიშვნა – „MINISO“ და ღიმილი, ხოლო მარჯვენა ფიგურაში დატანილია ეროგლიფები. მოსარჩელის სასაქონლო ნიშნის დომინანტი ელემენტია მისი ლათინური ასოებით შესრულებული აღნიშვნა, ვინაიდან ეროგლიფები ქართველი მომხმარებლის ძირითადი ნაწილისთვის აღიქმება, როგორც გამოსახულებითი ელემენტი. ამასთან, კომბინირებული

ნიშნის შემთხვევაში, როგორც ნესი, სიტყვიერ ელემენტზე მოდის ნიშნის განმასხვავებლობის ძირითადი დატვირთვა. მოპასუხის მიერ გამოყენებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერ ნიშანს, რომელიც შესრულებულია სტილიზებული ლათინური ასოებით. მოსარჩელის სასაქონლო ნიშნის დომინანტი ელემენტი და მოპასუხის მიერ გამოყენებული ნიშანი შედგება ექვსი ასოსგან და შესრულებულია ლათინური ასოებით, იდენტურია პირველი, მეხუთე და მეექვსე ასოები. მიუხედავად ამისა, მოსარჩელის სასაქონლო ნიშანი მნიშვნელოვნად განსხვავებულია მოპასუხის მიერ გამოყენებული სასაქონლო ნიშნის შესრულების ფორმისაგან. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსარჩელის სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია, შეიცავს ორი ჩანთის გამოსახულებას, „ლიმილს“, იეროგლიფებს და ორ ხაზზე, ლათინური ასოებით შესრულებულ სიტყვიერ ელემენტს „MINISO“. ჩამოთვლილი კომპონენტები კი ქმნის შესადარებელ ნიშნებს შორის განსხვავებულ ვიზუალურ შთაბეჭდილებას.

31. დასახელებული სასაქონლო ნიშნები არ ხასიათდებიან რამე შინაარსობრივი აღნიშვნის მატარებელ სიტყვებად, შესაბამისად, წარმოადგენენ ფანტაზიურ აღნიშვნებს სემანტიკური დატვირთვის გარეშე, აქედან გამომდინარე, მათი დეფინიციური შედარება საფუძველსმოკლებულია. დამატებით, სააპელაციო პალატამ გამოიკვლია მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ინტელექტუალური საკუთრების ექსპერტის, ს. ჯ-ის დასკვნა, რომლის თანახმად, ექსპერტმა შეაფასა შესადარებელ ნიშნებს შორის მსგავსება ვიზუალურად, ჟღერადობით, საერთო შთაბეჭდილებით და ასკვნის რომ ნიშნები მსგავსი არ არის.

32. რაც შეეხება კასატორის მითითებას კარგი რეპუტაციის შესახებ, აღნიშნული საკითხი კვლევის საგანი ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დადგინდება სადავო ნიშნებს შორის ისეთი სახის მსგავსება, რაც აღრევამდე მსგავსებას ადასტურებს და არსებობს სასაქონლო ნიშნის აკრძალვის საფუძველი. წინაპირობა, რაც გულისხმობს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის პოტენციას, ნიშნებს შორის საკმარისი მსგავსების არარსებობის გამო, საფუძველსმოკლებულია, აქედან გამომდინარე, რეპუტაციის შელახვაც შესაბამისად ვერ იქნება დასაკმაყოფილებლად რელევანტური მოთხოვნა.

33. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი წინაპირობა, რომლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო დასაშვებად ცნობს წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს.

34. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო

ბაჟის 70 პროცენტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3 მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. „მ.ჰ.კ.ლის“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველი;
2. „მ.ჰ.კ.ლს“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გ. ფ-ას (პ.ნ. ...) მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის (საგადახდო დავალება: ... გადახდის თარიღი 06.11.2023;) 70% – 210 ლარი;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**6. სასამართლოს მიერ მესამე პირის მოთხოვნით
სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება**

**უწყვეტად ხუთი წლის განმავლობაში სასაქონლო ნიშნის
გამოუყენებლობა**

**გადანყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ას-156-2023

24 ივლისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
მ. ერემიძე**

დავის საგანი: სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „ს-ის“ (შემდეგში: მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი დაკმაყოფილდა. გაუქმდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტში“ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი – MY FAMILY (საიდენტიფიკაციო ნომერი – ...; რეგისტრაციის ნომერი – ...; რეგისტრაციის თარიღი – 2010-06-14).

2. სასარჩელო მოთხოვნა შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს ეფუძნება:

2.1. სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი – MY FAMILY, МОЯ СЕМЬЯ ნიშნების მონაცემთა ბაზაში, 2010 წლის 14 ივნისიდან, რეგისტრირებულია შპს „გ-პ. კ.“-ის“ (შემდეგში: მოპასუხე ან აპელანტი) სახელზე, საქონლის კლასთა 32, საქონლის ჩამონათვალთა 32 – ლუდი, მინერალური და გაზიანი წყალი და სხვა უალკოჰოლო სასმელები, ხილის სასმელები და ხილის წვენები, ვაჟინები და სასმელების დასამზადებელი სხვა შედგენილობები;

2.2. მოსარჩელის სახელზე 2012 წლის 15 ოქტომბრიდან რეგისტრირებულია იგივე სასაქონლო ნიშანი სხვა მომსახურებისა და საქონლის კლასებთან – 03, 05, 20, 29, 30, 31, 33, 35, 39, 43;

2.3. სასაქონლო ნიშნის – „ჩემი ოჯახი, MY FAMILY, МОЯ СЕМЬЯ“

მფლობელი 2020 წლიდან გახდა მოსარჩელე კომპანია და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „ს-ის“ მიერ გაცემული იქნა მონაშობა – ... დარჩენილია მხოლოდ მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული კლასი 32 – ლუდი, უალკოჰოლო სასმელები და ხილის წვენების წარმოება, რომლის დარეგისტრირება და ამ ნიშნით წარმოება სურს მოსარჩელეს;

2.4. მოსარჩელის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სასაქონლო ნიშანი „MY FAMILY“ მოპასუხის სახელზე დარეგისტრირებულია 2016 წლიდან, მას 6 წლის განმავლობაში არც ერთხელ არ გამოუყენებია ეს ნიშანი. შესაბამისად, არსებობს მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის – MY FAMILY, МОЯ СЕМЬЯ (ს/ნ ..., რეგისტრაციის ..., რეგისტრირებული 2010-06-14) რეგისტრაციის გაუქმების მატერიალური და სამართლებრივი საფუძვლები.

3. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინა და სარჩელის უარყოფა მოითხოვა შემდეგ გარემოებებზე მიითვლით:

3.1. სასაქონლო ნიშნის გამოუყენებლობა განპირობებულია მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზით, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 4 იანვრის განჩინებით სადავო ნიშნით დაცული საქონლის იმპორტზე დანესებულია შეზღუდვები, რაც მოპასუხე საწარმოს არ აძლევს სასაქონლო ნიშნის გამოყენების შესაძლებლობას;

3.2. გარდა ზემოხსენებულისა, მოპასუხემ დამატებით იმაზეც მიუთითა, რომ შპს „ფ.მ.გ-მა“ 2017 წლის 10 იანვარს სარჩელი აღძრა შპს „კ-ს“ მიმართ და მოითხოვა შპს „კ“-სთვის სასაქონლო ნიშნით „MY FAMILY, МОЯ СЕМЬЯ“ დატანილი ხილის წვენების იმპორტის აკრძალვა და უკვე იმპორტირებული საქონლის დაყადაღება იმ მოტივით, რომ აღნიშნული საქონლის შეფუთვა-ჭურჭელი მსგავსი იყო მოსარჩელის კუთვნილი, საქართველოში დაცული მუყაოს კოლოფის დიზაინისა. სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა საქონლის დაყადაღებაზე, რის გამოც დროებით შეწყვეტილ იქნა ამ საქონლის შემდგომი იმპორტი საქართველოში. აღნიშნული საქმე კვლავ განხილვის სტადიაზეა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მერყეობს მისი განხილვა და დამოკიდებულია ადმინისტრაციულ სარჩელზე საქმის განხილვის დასრულებამდე;

3.3. შპს „ფ.მ.გ-ის“ კუთვნილი მუყაოს კოლოფის დიზაინის გამოყენებაზე ლიცენზია ეკუთვნის განსახილველი დავის მოსარჩელე კომპანიას – შპს „ს-ს“;

3.4. უკრაინული კომპანია „ფ.მ.ფ-ს“, მისამართით, ზაკარპატიის ოლქი, ქ. ..., 2010 წლიდან არის სასაქონლო ნიშნის „MY FAMILY, МОЯ СЕМЬЯ“ მფლობელი საქართველოში. 2020 წელს აღნიშნული სასაქონლო ნიშანი უფლებათა დათმობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველ-

ზე გადაეცა მის შვილობილ უნგრულ კომპანიას შპს „ვ-ჰ. კ.“-ს, რომელიც წინამდებარე დავის მოპასუხე მხარეა;

3.5. 2005 წლიდან 2017 წლამდე, ანუ სასამართლოს აკრძალვამდე, კომპანია „ფ.მ.ფ-ს“ ახდენდა საქართველოში ხილის წვენების მიწოდებას სასაქონლო ნიშნით „МОЯ СЕМЬЯ“. წვენების მიმღებს და საქართველოში დისტრიბუტორს წარმოადგენს ქართული კომპანია შპს „კ“. კონტრაქტი ქართულ კომპანიასთან კომერციული თანამშრომლობის შესახებ გაფორმებულია 2014 წელს.

3.6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, სარჩელის აღძვრამდე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, 2017 წლის 4 იანვარს, განცხადებით მიმართა შპს „F.M.G“-მა და მოითხოვა ყადაღის დადება მოპასუხე შპს „კ-ს“ მიერ შემოტანილ საქონელზე – ხილის წვენებზე, სხვადასხვა დიზაინის შეფუთვებით, რომლებზეც დატანილი იყო სადავო სასაქონლო ნიშანი – „MY FAMILY, МОЯ СЕМЬЯ“. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 იანვრის განჩინებით სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის განცხადება დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო შპს „კ-ს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: ...) მიერ შემოტანილ საქონლის ნაწილს, კერძოდ, 33100,33 ლარის საბაჟო ღირებულების 21888 ცალ 0.95 ლიტრიან ხილის ნექტარს, რომლის შეფუთვაზე დატანილი იყო სასაქონლო ნიშანი „MY FAMILY, МОЯ СЕМЬЯ“. საქონლის დაყადაღების შემდეგ მოპასუხემ „საქპატენტში“ შეიტანა განაცხადები დაყადაღებული საქონლის შეფუთვის დიზაინების რეგისტრაციაზე დაჩქარებული წესით. „საქპატენტმა“ არ ჩათვალა განაცხადებული დიზაინები მსგავსად დიზაინისა №... და მიიღო დადებითი გადაწყვეტილებები მათი რეგისტრაციის შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლომ არ გაითვალისწინა ეს გარემოება დიზაინების განსხვავებადობის შესახებ და უცვლელად დატოვა განჩინება საქონლის დაყადაღებაზე სწორედ დიზაინების მსგავსების გამო. უფრო მეტიც, მოსამართლემ შეაჩერა საქმის №... შემდგომი წარმოება დიზაინის D... მფლობელის – „ფ.მ.ფ-ის“ მიერ მცხეთის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში „ს-ის“ წინააღმდეგ შეტანილ სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. მცხეთის სასამართლოში კი ამ საქმის №... განხილვაც კი არ დაწყებულა მიუხედავად იმისა, რომ სარჩელის შეტანიდან გავიდა 3 წელიწადი;

3.7. „ს-ის“ დიზაინის (დიზაინის რეგისტრაციის ნომერი D ...) მოწმობის დანართის №15684 შესაბამისად ლიცენზია „ფ.მ.ფ-ის“ კუთვნილი დიზაინის გამოყენებაზე ეკუთვნის განსახილველი დავის მოსარჩელე მხარეს – შპს „ს-ს“. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერების მიხედვით, მოსარჩელე შპს-ის დირექ-

ტორი და 100% წილის მფლობელია ბატონი ზ. შ-ნი, ხოლო შპს „F.M.G“-ის დირექტორი და 100% წილის მფლობელი კი ბატონი მ. შ-ი. ორივე აღნიშნული კომპანიის იურიდიული მისამართი კი იდენტურია. მხოლოდ ბინის ნომრებია განსხვავებული 5 და 8.

4. მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ უდავოდ მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები

4.1. სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „ს-სი“ მოპასუხე საწარმოს სახელზე 2010 წლის 14 ივნისიდან ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციის 32-ე კლასში (ლუდი, მინერალური და გაზიანი წყალი და სხვა უალკოჰოლო სასმელები, ხილის სასმელები და ხილის წვენები, ვაჟინები და სასმელების დასამზადებელი სხვა შედგენილობები) რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი – MY FAMILY (საიდენტიფიკაციო ნომერი – ...; რეგისტრაციის ნომერი – ...). რეგისტრაციის ვადის გასვლის თარიღია: 2030 წლის 14 ივნისი.

4.2. მოპასუხეს აღნიშნულ სასაქონლო ნიშანზე უფლება გადაეცა 2020 წელს უკრაინული კომპანია ტოვარისტვოს ო.ჯ. „ფ.მ.ფ-გან“.

4.3. „ს-სი“ მოსარჩელის სახელზე 2012 წლის 29 მარტიდან ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციის 29-ე კლასში (ხორცი, თევზი, ფრინველი და ნანადირევი; ხორცის ექსტრაქტები; დაკონსერვებული, გამხმარი და თბურად დამუშავებული ბოსტნეული და ხილი; ყულე, მურაბა, კომპოტი; კვერცხი, მათ შორის, კვერცხის ფხვნილი, კვერცხის გული, კვერცხის ცილა; რძე, სოიოს რძე, რძიანი სასმელები რძის ქარბი შემცველობით, ნაღები, ათქვეფილი, ყველი, თვითნამჟავი მანონი, კეფირი, კუმისი (რძის სასმელი), ხაჭო, არაჟანი, შრატი, დო, იოგურტი) რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი – ჩემი ოჯახი, MY FAMILY, МОЯ СЕМЬЯ (საიდენტიფიკაციო ნომერი – ...; რეგისტრაციის ნომერი – ...). რეგისტრაციის ვადის გასვლის თარიღია: 2022 წლის 29 მარტი. 2021 წლის 19 აგვისტოდან კი, მოსარჩელის სახელზე ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციის 03, 05, 14, 16, 18, 20, 21, 24, 25, 28, 30, 31, 33, 34, 36, 38, 39, 41, 43, 44 კლასებში რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი – ჩემი ოჯახი, MY FAMILY, МОЯ СЕМЬЯ (საიდენტიფიკაციო ნომერი – ...; რეგისტრაციის ნომერი – ...). რეგისტრაციის ვადის გასვლის თარიღია: 2031 წლის 19 აგვისტო. აღნიშნულ სასაქონლო ნიშანზე მოსარჩელის სახელზე გაცემულია №M... მოწმობა;

4.4. მოპასუხე საწარმო ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციის 32-ე კლასში ალკოჰოლიანი სასმელებისათვის (ლუდი, მინერალური და გაზიანი წყალი და სხვა უალკოჰოლო სასმელები, ხილის სასმელები და ხილის წვენები, ვაჟინები და სასმელების დასამზადებელი სხვა შედგენილობები) რეგისტრირებულ ნიშანს – „MY FAMILY“, არ იყენებს საქართველოს ტერიტორიაზე უწყვეტად 5 წლის განმავლობაში.

4.5. საქალაქო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია სარჩელი მოპასუხის წინააღმდეგ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით და დააკმაყოფილა სარჩელი „სამრეწველო საკუთრების დაცვის“ პარიზის კონვენციის პირველი მუხლისა და „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის (სპეციალური კანონის) მე-3, მე-6, 27-ე მუხლების საფუძველზე.

4.5.1. სასამართლომ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მისი რეგისტრაციის მომენტიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცულ „ქონებას“ წარმოადგენს /Anheuser-Busch Inc. v. Portugal [GC], no. 73049/01, §§ 66-72, ECHR 2007-I/. შესაბამისად, რეგისტრაციის პროცედურების დასრულების შემდეგ სასაქონლო ნიშანი ხდება საკუთრების ობიექტი და მასზე ვრცელდება საკუთრების დაცვის ყველა სამართლებრივი რეგულაცია. ზოგიერთ შემთხვევაში არა მხოლოდ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, არამედ თავად რეგისტრაციის განაცხადი და სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მაძიებლის სამართლებრივი სტატუსიც კი უკვე შესაძლებელია წარმოშობდეს ისეთ ქონებრივ უფლებებს, რომლებიც ექცევა პირველი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული „ქონების“ ცნებაში Anheuser-Busch Inc. v. Portugal [GC], no. 73049/01, §§ 73-78, ECHR 2007-I/“ (იხ. სუსგ №ას-1285-1223-2014, 01.12.20156.).

4.5.2. „სამრეწველო საკუთრების დაცვის“ პარიზის კონვენციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებია პატენტები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო დიზაინები, სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, საფირმო სახელწოდებები, წარმოშობის აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები, აგრეთვე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა. ამავდროულად კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვებისა და დამცავი დოკუმენტების ძალაში შენარჩუნების წესებს არეგულირებს მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობა.

4.5.3. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან. ამდენად, სასაქონლო ნიშნად შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი აღნიშვნა, რომელიც ემსახურება კონკრეტული საწარმოს საქონლის ინდივიდუალიზებას, მიუთითებს მისი წარმოშობის წყაროზე და განასხვავებს მას

კონკურენტების საქონლისაგან. სასაქონლო ნიშანი მიეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების ნაირსახეობას და წარმოადგენს პროდუქციის ინდივიდუალური ნაწილის საშუალებას, რომელიც იძლევა იურიდიული ან ფიზიკური პირების საქონლის განსხვავების საშუალებას სხვა პირების იგივე სახის საქონლისაგან (სუსგ №ას-306-2020, 18.11.2020წ.). ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან. სასამართლომ განმარტა, რომ სასაქონლო ნიშნების დაცვის პრაქტიკით მსოფლიოში ჩამოყალიბდა სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვების ორი მეთოდი. პირველის თანახმად, განსაკუთრებული უფლების მოპოვება რაიმე სპეციალურ პროცედურას არ საჭიროებს და მიიღწევა სასაქონლო ნიშნის ფაქტობრივი გამოყენებით, ხოლო მეორის მიხედვით, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მოპოვებისათვის აუცილებელია შესაბამის დანესებულებაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია.

4.5.4. სასაქონლო ნიშნის გამოყენებას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია უფლებათა პრიორიტეტულობის განსაზღვრის თვალსაზრისითაც. უფრო მეტიც, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის დაცვა, იგი უნდა გამოიყენებოდეს იმ საქონლის ჩამონათვლიდან ერთ-ერთისთვის მაინც, რომლისთვისაც არის რეგისტრირებული. გაუმართლებელი გამოუყენებლობის ძირითად შედეგს წარმოადგენს ის, რომ რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს კანონიერი ინტერესის მქონე პირის მოთხოვნით, რაც გათვალისწინებულია სპეციალური კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად – სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ სასაქონლო ნიშანი არ გამოიყენებოდა უწყვეტად 5 წლის განმავლობაში იმ საქონელზე, რომლის მიმართაც არის ეს ნიშანი რეგისტრირებული საქართველოში. თუ ნიშნის გამოყენება დაიწყო ან განახლდა აღნიშნული ხუთწლიანი ვადის გასვლიდან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის შეტანამდე შუალედში, არავის არ აქვს უფლება, მოითხოვოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება. მეტიც, არსებობს ტენდენცია, რომლის თანახმადაც რეგისტრირებულ მფლობელს მოეთხოვება, დაამტკიცოს გამოყენების ფაქტი, რადგან დაინტერესებული მესამე პირისათვის ძალიან ძნელია გამოუყენებლობის ფაქტის დამტკიცება (სუსგ. №ას-306-2020, 18.11.2020წ.);

4.5.5. სპეციალური კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი არ გამოიყენება, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ სასაქონლო ნიშნის გამოუყენებლობა მი-

სინებისაგან დამოუკიდებლად წარმოშობილი გარემოებებით არის განპირობებული. ასეთ გარემოებებად ჩაითვლება, მაგალითად, სასაქონლო ნიშნით დაცულ საქონელთან დაკავშირებით დაწესებული იმპორტის შეზღუდვები ან ხელისუფლების მიერ დადგენილი სხვა მოთხოვნები.

4.6. პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე მხარე არ უარყოფს კანონით დადგენილ 5 წლიან ვადაში სასაქონლო ნიშნის გამოყენებლობას, თუმცა, განმარტავს, რომ აღნიშნული განპირობებულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზით, სასამართლოს მიერ სადავო ნიშნით დაცულ საქონლის იმპორტზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

4.6.1. პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა შპს „F.M.G“-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, ყადაღა დაედო შპს „კ-ს“ მიერ შემოტანილ საქონელს, 2016 წლის 1 დეკემბრის C9602 (20002) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული საქონლის ნაწილს, კერძოდ 32428,87 ლარის საბაჟო ღირებულების, 21504 ცალი 0.95 ლიტრიანი ხილის ნექტარს რომელიც განთავსებულია შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში „თბილისი“ (მდებარე გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ..., თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ.), ასევე აეკრძალა მონინალმდეგე მხარეს იმ პროდუქტის, რომელიც ჩართულია განმცხადებლის დიზაინი, იმპორტი, რეალიზაცია და სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა საქართველოში. სასამართლოს 2017 წლის 4 იანვრის განჩინებით კი, დაკმაყოფილდა შპს „F.M.G“-ის განცხადება სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ და ყადაღა დაედო შპს „კ-ს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: ...) მიერ შემოტანილ, 2016 წლის 1 დეკემბრის C9603 (20002) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული საქონლის ნაწილს, კერძოდ, 33100,33 ლარის საბაჟო ღირებულების 21888 ცალ 0.95 ლიტრიანი ხილის ნექტარს, რომელიც განთავსებულია სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში – „თბილისი“ (მდებარე მისამართზე: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ..., თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ.).

4.6.2. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში, სასამართლოს მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ეხება შემოტანილი საქონლის კონკრეტულ ნაწილს და არა სადავო სასაქონლო ნიშანს – MY FAMILY (რეგისტრაციის თარიღი – 2010-06-14), რაც შეუზღუდავად მოპასუხეს სადავოდ გამხდარი ნიშნით სარგებლობის უფლებას. შესაბამისად, სა-

ხეზე არ არის სასაქონლო ნიშნის გამოუყენებლობა სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ მისი ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოშობილი გარემოებების გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ სარჩელი ექვემდებარებოდა სრულად დაკმაყოფილებას.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

5.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

5.2. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, შესაბამისად, გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5.3. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 4.1-4.4 ქვეპუნქტები) და დაასკვნა, რომ გასაზიარებელია მოპასუხის/აპელანტის მტკიცება, რომელიც ეფუძნება სპეციალური კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის თანახმად, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი არ გამოიყენება, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ სასაქონლო ნიშნის გამოუყენებლობა მისი ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოშობილი გარემოებებით არის განპირობებული. ასეთ გარემოებებზეა ჩაითვლება, მაგალითად, სასაქონლო ნიშნით დაცულ საქონელთან დაკავშირებით დანესებული იმპორტის შეზღუდვები ან ხელისუფლების მიერ დადგენილი სხვა მოთხოვნები. აპელანტი მიუთითებს, რომ სასაქონლო ნიშნის გამოუყენებლობა გამონვეულია მისგან დამოუკიდებელი გარემოებებით, ვინაიდან გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც ფაქტობრივად ნიშნავს სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვას;

5.3.1. სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე გადაწყვეტილების 4.6.1 ქვეპუნქტში ასახულ გარემოებებზე მიუთითა და განმარტა, რომ გასაზიარებელია აპელანტის (მოპასუხე სანარმოს) პოზიცია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ორჯერ და ყადაღის დადება შპს „კ-ს“ მიერ იმპორტირებულ ხილის ნექტარზე წარმოშობს საფრთხეს, რომ მომავალში იმავე სასაქონლო ნიშნის ქვეშ იმპორტირებული საქონელი ასევე იქნება დაყადაღებული. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ეხება შემოტანილი საქონლის კონკრეტულ ნაწილს და არა სადავო სასაქონლო ნიშანს „MY FAMILY“, მოპასუხეს სადავოდ გამხდარი სასა-

ქონლო ნიშნით სარგებლობა აკრძალული არ ჰქონდა;

5.3.2. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვის გარეშეც იმპორტირებულ საქონელზე ყადაღის დადება, როდესაც აკრძალულია მისი რეალიზაცია, გულისხმობს საფრთხეს სხვა იმავე იმპორტირებულ საქონელზეც ყადაღის დადების, რაც ზიანის მომტანი იქნებოდა საწარმოსთვის. ამდენად, გასაზიარებელია აპელანტის მტკიცება, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენებლობა უწყვეტად 5 წლის განმავლობაში გამონვეულია მოპასუხისგან დამოუკიდებლად წარმოშობილი გარემოებებით, რაც უსაფუძვლოს ხდის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებას.

5.3.3. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი: სსსკ) 199¹-ე მუხლზე მითითებით, განმარტა, რომ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 8 ივლისის განჩინებით გამოყენებულია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიება. იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 8 ივლისის განჩინებით (2/25391-21) გამოყენებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე საწარმოს (ს/ნ...) აეკრძალა სასაქონლო ნიშნის MY FAMILY (რეგისტრირებული 2010-06-14 წელს, საქონლის კლასი 32) გასხვისება (სადავო სასაქონლო ნიშანზე უფლებების გადაცემა);

5.4. „სამრეწველო საკუთრების დაცვის“ პარიზის კონვენციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებია პატენტები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო დიზაინები, სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, საფირმო სახელწოდებები, წარმოშობის აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები, აგრეთვე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა. ამავე კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთ-

რებული უფლებების მოპოვებისა და დამცავი დოკუმენტების ძალაში შენარჩუნების წესებს არეგულირებს მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობა. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან (შემდგომ – საქონელი). ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან. ამავე კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ: ა) სასაქონლო ნიშანი არ გამოიყენებოდა უწყვეტად 5 წლის განმავლობაში იმ საქონელზე, რომლის მიმართაც არის ეს ნიშანი რეგისტრირებული საქართველოში. თუ ნიშნის გამოყენება დაიწყო ან განახლდა აღნიშნული ხუთწლიანი ვადის გასვლიდან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის შეტანამდე შუალედში, არავის არ აქვს უფლება, მოითხოვოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება; ბ) სასაქონლო ნიშანი იქცა გვარეობით ცნებად იმ საქონლისთვის, რომლის მიმართაც ის არის რეგისტრირებული; გ) სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი თანხმობით სასაქონლო ნიშნის გამოყენება მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას უქმნის საქონლის სახეობის, თვისების, ხარისხის, ღირებულების ან გეოგრაფიული წარმოშობის ან სხვა მახასიათებლების შესახებ.

6. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

6.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა მოსარჩელე საწარმომ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით, სარჩელის დაკმაყოფილება იმ ძირითად საკასაციო პრეტენზიაზე დაყრდნობით, რომ დაუსაბუთებელია სპეციალური კანონის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სასარჩელო მოთხოვნის უარყოფა იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეს არც შესაგებლით და არც სასამართლოსათვის წარდგენილი სხვა რაიმე სახის მტკიცებულებებით არ გაუბათილებია სარჩელი და არ დაუმტკიცებია, რომ ის იყენებს სასაქონლო ნიშანს;

6.2. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არასწორად განიმარტა სპეციალური კანონის მოთხოვნა, რადგან მისი 27.3 მუხლით „ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი არ გამოიყენება, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ სასაქონლო ნიშნის გამოყენებლობა მისი ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოშობილი

გარემოებებით არის განპირობებული. ასეთ გარემოებებზე ჩაითვლება, მაგალითად, სასაქონლო ნიშნით დაცულ საქონელთან დაკავშირებით დანესებული იმპორტის შეზღუდვები ან ხელისუფლების მიერ დადგენილი სხვა მოთხოვნები“ გათვალისწინებული გამონაკლისი არ შეიძლება იყოს ის გარემოება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და ისიც სხვა საქმის გარემოებებთან დაკავშირებით: „პალატა იზიარებს აპელანტის პოზიციას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ორჯერ და ყადაღის დადება შპს „კ-ს“ მიერ იმპორტირებული ხილის ნექტარზე წარმოშობს საფრთხეს, რომ მომავალში იმავე სასაქონლო ნიშნის ქვეშ იმპორტირებული საქონელი ასევე იქნება დაყადაღებული“, მით უფრო, რომ შპს „კ“ არ არის განსახილველი დავის მონაწილე მხარე და ამ საწარმოს პრობლემები არ შეიძლება მოსარჩელის კანონიერი მოთხოვნის უარყოფის საფუძველი გახდეს. კასატორს მიაჩნია, რომ საკასაციო განაცხადი აკმაყოფილებს დასაშვებობის კანონით გათვალისწინებულ წინაპირობებს.

6.3. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 24 თებერვლის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო 2023 წლის 21 აპრილის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი არსებითად განხილვის მიზნით სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რადგან „საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას“.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შეფასების, მოსარჩელის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემომწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

7. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამომწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოე-

ბები სავალდებულო საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელეს დასაბუთებული საკასაციო შედავება აქვს წარმოდგენილი, ამასთან, საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავსებით საკმარისია სადავო სამართალური ერთობის შეფასებისათვის, არ ქმნის საქმის ხელახლა განსახილველად (ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად ან სხვა მტკიცებულებების ხელახლა გამოსაკვლევადა) ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებულ პროცესუალურ საფუძველს და, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, შესაძლებელია ახალი გადაწყვეტილების მიღება საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე.

8. სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). მოსარჩელის სტადიის შემდეგ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოპასუხის სტადია, რაც მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების პასუხად შესაგებელში შედავებული გარემოებების კვალიფიციურობაზე დამოკიდებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-2016; პუნქტი 201) მითითებულია: „2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი №5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესოსამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდავებლად და, შესაბამისად, დამტკიცებუ-

ლად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება“.

9. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. **სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.**

10. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

11. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს

გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადანყვეტი-სათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქტუალური მოვალეობა. **მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა.** ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. **მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს** (იხ. ჰაინ ბილინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილე-

ბათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, გვ.64; შეად. სუსგ-ებს №ას-1298-2018; 22.03.2019წ; №ას-1329-2018, 22.02.2019წ; №ას-1610-2019, 07.02.2020წ; №ას-804-2019, 19.03.2021წ; №ას-1133-2019, 30.07.2021წ; №ას-754-2021, 02.12.2021წ; №ას-1677-2018, 5.07.2022წ; №ას-309-2022, 7.07.2022წ; №ას-471-2022, – 8.07.2022წ; №ას-582-2022, 16.09.2022წ; №ას-424-2023, 22.06.2023წ; №ას-1257-2023, 26.06.2023წ; №ას-541-2023, 05.07.2023წ.).

12. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის მოთხოვნისა და საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა საფუძველზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 4.1-4.4 ქვეპუნქტები), **საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნის დასაბუთებულობის შემოწმება, ანუ რამდენად არის განხორციელებული „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის წინაპირობა**, რომ „სასაქონლო ნიშანი არ გამოიყენებოდა უწყვეტად 5 წლის განმავლობაში იმ საქონელზე, რომლის მიმართაც არის ეს ნიშანი რეგისტრირებული საქართველოში. თუ ნიშნის გამოყენება დაიწყო ან განახლდა აღნიშნული ხუთწლიანი ვადის გასვლიდან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის შეტანამდე შუალედში, არავის არ აქვს უფლება, მოითხოვოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება“ **და სარჩელის დაკმაყოფილებას ხომ არ აფერხებს ამავე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი გამონაკლისი**, როდესაც „მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი არ გამოიყენება, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ სასაქონლო ნიშნის გამოყენებლობა მისი ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოშობილი გარემოებებით არის განპირობებული. ასეთ გარემოებებზე ჩაითვლება, მაგალითად, სასაქონლო ნიშნით დაცულ საქონელთან დაკავშირებით დანესებული იმპორტის შეზღუდვები ან ხელისუფლების მიერ დადგენილი სხვა მოთხოვნები“.

13. მოცემულ საქმეზე უდავოდ არის დადგენილი, რომ მოპასუხე საწარმო უკანასკნელი 5 წლის მანძილზე არ იყენებს სასაქონლო ნიშანს, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებული იურიდიული კვალიფიკაცია ეფუძნება იმ მსჯელობასა და შეფასებას, რომ სხვა საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის გამოყენებული ორჯერ და შპს „კ-ს“ მიერ იმპორტირებულ ხილის ნექტარზე დადებულია ყადაღა, რაც წარმოშობს საფრთხეს, რომ მომავალში იმავე სასაქონლო ნიშნის ქვეშ იმპორტირებული საქონელი ასევე იქნება დაყადაღებული. შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვის გარემოც იმპორტირებულ საქონელზე ყადაღის დადება, როდესაც აკრძალულია მისი რეალიზაცია, გულისხმობს საფრთხეს სხვა იმავე იმპორტირებულ საქონელზეც

ყადლის დადების, რაც ზიანის მომტანი იქნებოდა სანარმოსთვის. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება, რომ სასაქონლო ნიშნის გამოუყენებლობა უწყვეტად 5 წლის განმავლობაში გამოწვეულია მოპასუხისგან დამოუკიდებლად წარმოშობილი გარემოებებით, რაც უსაფუძვლოს ხდის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 4.6.1, 5.3.1-5.3.2 ქვეპუნქტები).

14. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და დასკვნას, რადგან აღნიშნული არ გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნიდან.

14.1. სპეციალური კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ სასაქონლო ნიშნის გამოუყენებლობა შესაძლებელია მისი ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოშობილი გარემოებებით განპირობებული შეფასდეს, თუ: ა) სასაქონლო ნიშნით დაცულ საქონელთან დაკავშირებით დაწესდა იმპორტის შეზღუდვები; ბ) ან ხელისუფლების მიერ დადგენილია სხვა მოთხოვნები.

14.2. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე თავს იცავს იმ გარემოებით, რომ მისგან დამოუკიდებელი გარემოებებით ვერ იყენებს სასაქონლო ნიშანს, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა შპს „ფ.მ.გ.“-ის მიერ სარჩელის აღძვრამდე, მისი უზრუნველყოფის შესახებ განცხადება შპს „კ-სა“ და სსიპ – შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ, ხოლო იმავე სასამართლოს მეორე განჩინებით, რომელიც მიღებულია 2017 წლის 4 იანვარს, ასევე დაკმაყოფილდა შპს „ფ.მ.გ.“-ის მიერ სარჩელის აღძვრამდე, მისი უზრუნველყოფის შესახებ განცხადება შპს „კ-სა“ და სსიპ-შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება მოპასუხის მტკიცებას და სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ გამოვლენილია მოპასუხისაგან დამოუკიდებელი გარემოება სასაქონლო ნიშნის უკანასკნელი 5 წლის მანძილზე, უწყვეტად სარგებლობის შეუძლებლობის თაობაზე და ასეთად უნდა იქნეს მიჩნეული სხვა სასამართლო დავებზე სხვა სუბიექტებს შორის მიმდინარე, ინიცირებული თუ შეჩერებული დავები, რადგან:

14.2.1. სხვა სასამართლო დავები მათ მონაწილეთა მიერ თავიანთი მატერიალური უფლებების საპროცესო სასამართლებრივი დაცვის გზით არის დაწყებული და იმყოფება სასამართლოს წარმოებაში, ამასთან არ აქვს კავშირი მიმდინარე დავას;

14.2.2. წინასასარჩელო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, ნებისმიერი ჯერადობით (ერთხელ, ორჯერ თუ მეტჯერ) ვერ გაუტოლდება იმპორტის შეზღუდვების დაწესებას. საკასაციო სასამართლო საქართველოს საგადასახადო კოდექსს მოიხმობს, რომლის თა-

ნახმად, იმპორტი განიმარტება, როგორც საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევა, ამასთან, საქალაქო სასამართლოს მიერ წინასასარჩელო უზრუნველყოფის თაობაზე განჩინებების (იხ. 14.2 ქვეპუნქტი) მიღების დროს მოქმედი საქართველოს საბაჟო კოდექსის 63.1 მუხლი ადგენს, რომ „საკანონმდებლო აქტით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანაზე ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან მის გატანაზე შეიძლება დაწესდეს შეზღუდვები ან/და აკრძალვები“. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქონელთან დაკავშირებით იმპორტის შეზღუდვა, როგორც ეკონომიკური კატეგორია, საკანონმდებლო აქტით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ხორციელდება, ხოლო წინასასარჩელო, თუ სარჩელის აღძვრის შემდეგ, მისი უზრუნველყოფის სამართლებრივი ინსტიტუტის გამოყენების წინაპირობა განსაზღვრულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით;

14.2.3. სასამართლო პრაქტიკით არაერთხელ განიმარტა, რომ სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. **სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.** სსსკ-ის 192-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, **განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე.** დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის **მოსარჩელემ უნდა**

მიუთითოს და დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების სარწმუნო და დამაჯერებელ საფუძველზე, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა, კონკრეტულ გარემოებათა გამო, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება;

14.2.4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მისი რეგისტრაციის მომენტიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცულ „ქონებას“ წარმოადგენს / *Anheuser-Busch Inc. v. Portugal* [GC], no. 73049/01, §§ 66-72, ECHR 2007-I/. შესაბამისად, რეგისტრაციის პროცედურების დასრულების შემდეგ სასაქონლო ნიშანი ხდება საკუთრების ობიექტი და მასზე ვრცელდება საკუთრების დაცვის ყველა სამართლებრივი რეგულაცია. ზოგიერთ შემთხვევაში არა მხოლოდ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, არამედ თავად რეგისტრაციის განაცხადი და სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მადიებლის სამართლებრივი სტატუსიც კი უკვე შესაძლებელია წარმოშობდეს ისეთ ქონებრივ უფლებებს, რომლებიც ექცევა პირველი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული „ქონების“ ცნებაში *Anheuser-Busch Inc. v. Portugal* [GC], no. 73049/01, §§ 73-78, ECHR 2007-I/“ (იხ. სუსგ №ას-1285-1223-2014,01.12.2015წ.). ამდენად, საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს შესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს. აღნიშნული საკითხი

მით უფრო აქტუალურია, როდესაც საუბარია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაზე (სხვა მრავალთა შორის იხ. სუსგ-ები: №ას-997-941-2015, 23.10.2015წ; №ას-1586-2018, 26.10.2018წ; №ას-1665-2019, 10.02.2020წ; №ას-1113-1033-2017, 28.09.2020წ.).

14.2.5. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომელიც იმას ეხება, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვის გარეშე იმპორტირებულ საქონელზე ყადაღის დადება, როდესაც აკრძალულია მისი რეალიზაცია, გულისხმობს სხვა იმავე იმპორტირებულ საქონელზეც ყადაღის დადების საფრთხეს, რაც ზიანის მომტანი იქნებოდა სანარმოსთვის, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, რადგან უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, როგორც უკვე აღინიშნა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, მოსარჩელის მიერ უნდა იყოს დასაბუთებული, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოსეულ კონტროლს ექვემდებარება იმ კონკრეტული კრიტერიუმებისა და მოთხოვნის დასაბუთებულობის ინდივიდუალური შესწავლისა და შეფასების გზით, როგორც ეს კანონით და სასამართლო პრაქტიკითაა განსაზღვრული და არ ზომავს თეორიული, ჰიპოთეტური დაშვებების გზით მოსალოდნელ საფრთხეებს და პოტენციურ ზიანს (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 5.3.1-5.3.2 ქვეპუნქტები).

14.3. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების (TRIPS) მე-19 მუხლი ადგენს: „1. თუ რეგისტრაციის ძალაში შესანარჩუნებლად მოითხოვება გამოყენება, რეგისტრაცია შეიძლება გაუქმებულ იქნეს გამოუყენებლობის მხოლოდ სულ მცირე სამწლიანი უწყვეტი პერიოდის შემდეგ, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ არ იქნება მითითებული გამამართლებელი მიზეზები, რომლებიც ასეთი გამოყენების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობას ეფუძნება. გარემოებანი, რომლებიც სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებისგან დამოუკიდებლად წარმოიშობა და ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენების დამაბრკოლებელია, როგორცაა სასაქონლო ნიშნით დაცულ საქონელს ან მომსახურებასთან დაკავშირებით დანესებული იმპორტის შეზღუდვები ან მთავრობის სხვა მოთხოვნები, ნიშნის გამოუყენებლობის გამამართლებელ მიზეზებად ჩაითვლება. 2. სხვა პირის მიერ სასაქონლო ნიშნის გამოყენება მისი მფლობელის კონტროლის პირობებში რეგისტრაციის ძალაში შენარჩუნების მიზნით სასაქონლო ნიშნის გამოყენებად ჩაითვლება“. საქართველოში მოქმედი სპეციალური კანონი ამ მხრივ უკეთეს წინაპირობას ადგენს და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებას შესაძლებლად მიიჩნევს 5-წლიანი უწყვეტი გამოუყენებლობის შემთხვევაში.

14.4. ზოგადად, სასაქონლო ნიშნის გამოყენების მოთხოვნა სხვა-

დასხვა იურისდიქციაში განსხვავებულად წესრიგდება, თუმცა, სასაქონლო ნიშნის გამოყენებას, შეიძლება ითქვას, უპირატესობა ენიჭება და შესაბამის სამართლებრივ უფლებებს წარმოშობს იმ შემთხვევაშიც, თუ ის რეგისტრირებულიც კი არ აქვს მის მფლობელს. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობით სწორედ ამგვარად არის საკითხი გადაწყვეტილი, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია არ არის აუცილებელი მისი მფლობელისათვის, სავალდებულოა სასაქონლო ნიშნის ფაქტობრივად გამოყენება კომერციული მიზნებისათვის, რაც წარმოშობის მისი კანონით დაცვის წინაპირობას და სახელდება, როგორც სასაქონლო ნიშნების ან სამომხმარებლო ნიშნების საერთო წესი (კანონი). აშშ-ის ფედერალური სასაქონლო კანონმდებლობით სასაქონლო ნიშანზე უფლება წარმოიშობა: 1) მისი ფაქტობრივად გამოყენებით ან 2) შესაბამისი განცხადების სარეგისტრაციოდ წარდგენის გზით აშშ-ის საპატენტო და სასაქონლო ნიშნების ოფისში (USPTO), სადაც განმცხადებელი მიუთითებს, რომ განმცხადებელს კეთილი განზრახვით (*bona fide intention*) სურს გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი კომერციული მიზნებისათვის (იხ. *Use Requirements for Trademarks-Avoidance of Cancellation Actions for Non-Use*; „<https://arellanolaw.edu/alpr/v8n1d.pdf>“).

14.5. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებით, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა დასაბუთებულია და გამომდინარეობს სპეციალური კანონის 27.2 მუხლიდან, ხოლო მოპასუხემ ვერ დაასაბუთა სასაქონლო ნიშნის 5 წლის მანძილზე, უწყვეტად გამოყენებლობის მისი ნებისაგან დამოუკიდებელი გარემოება, რის გამოც საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

14.6. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა (იხ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ვ ი ტ ა :

1. შპს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება, და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ს-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. გაუქმდეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „ს-სი“ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი – MY FAMILY (რეგისტრაციის თარიღი – 2010.06.14);

5. შპს „ვ-ჰ. კ.“-ს შპს „ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს პირველ და მესამე ინსტანციებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 450 ლარი;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უწყვეტად ხუთი წლის განმავლობაში სასაქონლო ნიშნის გამოუყენებლობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1197-2024

17 იანვარი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ა. ძაბუნაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ქოჩიაშვილი,
გ. ჯეირანაშვილი**

დავის საგანი: სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. შპს „შ. ვ-სმა“ (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. ბ-ძის (შემდგომ – მოპასუხე) მიმართ და მოითხოვა მოპასუხის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის „VELISI ველისი“ (რეგისტრაციის თარიღი – 29.02.2016 წ.) რეგისტრაციის გაუქმება.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2016 წლის 29 თებერვლიდან მოპასუხის სახელზე საქართველოში რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი „VELISI ველისი“ 33-ე კლასის საქონლის – ალკოჰოლიანი სასმელების (ლუდის გარდა) მიმართ. მითითებულ სასაქონლო ნიშანს მოპასუხე საქართველოს ტერიტორიაზე არ იყენებს, სულ მცირე, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

3. 2022 წლის 26 აგვისტოს მოსარჩელემ საქპატენტში შეიტანა გა-

ნაცხადი სასაქონლო ნიშნის „VELISI ველისი“ (საიდენტიფიკაციო ...) რეგისტრაციის მოთხოვნით.

4. სადავო სასაქონლო ნიშნის 5 წლის განმავლობაში უწყვეტად გამოყენების შესამოწმებლად მოსარჩელემ მიმართა რამდენიმე მსხვილ კომპანიას, თუმცა მათი პასუხიდან ირკვევა, რომ სასაქონლო ნიშნის „VELISI ველისი“ მქონე პროდუქტის რეალიზაცია აღნიშნულ კომპანიებში არ ხდება. შესაბამისად, არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების წინაპირობა.

მოპასუხის პოზიცია:

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და არ დაეთანხმა მოსარჩელის მითითებას, რომ იგი მის სახელზე რეგისტრირებულ სადავო სასაქონლო ნიშანს არ იყენებს. მოპასუხე ახორციელებდა შესაბამისი სახელწოდებით ლენის ჩამოსხმასა და რეალიზაციას. მოსარჩელემ წარმოადგინა 3 სავაჭრო ობიექტის წერილი, რომელთა განცხადებით მათ ქსელში არ იყიდება პროდუქცია სახელწოდებით „ველისი“, თუმცა მითითებული ინფორმაციით არ დასტურდება, რომ მოპასუხე არ იყენებს მის სახელზე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს. საქპატენტს არ მიუღია გადაწყვეტილება მოსარჩელის განცხადებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი ამ ეტაპზე არ იკვეთება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 2 ივლისის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

8. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2022 წლის 26 აგვისტოს მოსარჩელემ განაცხადი შეიტანა საქპატენტში სასაქონლო ნიშანი „VELISI-ის“ (საიდენტიფიკაციო ...) რეგისტრაციის მოთხოვნით, თუმცა სასაქონლო ნიშანი „VELISI ველისი“ (რეგ. ...) 33-ე კლასის საქონლის – ალკოჰოლიანი სასმელების (ლუდის გარდა) მიმართ 2016 წლის 29 თებერვლიდან რეგისტრირებულია მოპასუხის სახელზე. მოსარჩელე ითხოვს აღნიშნული რეგისტრაციის გაუქმებას.

9. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტი-

ტუციის 20.1 მუხლით, რომლის თანახმად შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება დაცულია.

10. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 363²⁵-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაცული სასაქონლო ნიშანი, მომსახურების ნიშანი ან კოლექტიური ნიშანი, რეგისტრირებული დიზაინი, პატენტით დაცული გამოგონება ან სასარგებლო მოდელი, საავტორო უფლებით ან მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტი.

11. „სამრეწველო საკუთრების დაცვის“ პარიზის კონვენციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებია პატენტები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო დიზაინები, სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, საფირმო სახელწოდებები, წარმოშობის აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები, აგრეთვე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა. ამავ კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვებისა და დამცავი დოკუმენტების ძალაში შენარჩუნების წესებს არეგულირებს მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობა.

12. „სამრეწველო საკუთრების დაცვის“ პარიზის კონვენციის 10-ის მუხლის თანახმად, (1) კავშირის ქვეყნები ვალდებული არიან უზრუნველყონ კავშირის ქვეყნების მოქალაქეები არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტიანი დაცვით. (2) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს შეადგენს კონკურენციის ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის პატიოსან ჩვევებს. (3.1.) ისეთი ხასიათის მქონე ყველა ქმედება, რომელსაც შეუძლია რაიმე გზით გამოიწვიოს აღრევა კონკურენტის დანესებულების, საქონლის, სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის მიმართ.

13. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია სასაქონლო, მომსახურების, კოლექტიური და სასერტიფიკაციო ნიშნების რეგისტრაციასთან, დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება.

14. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლებს ადგენს კანონის 27-ე მუხლი, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-2 პუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ: ა) სასაქონლო ნიშანი რეალურად არ გამოიყენებოდა უწყვეტად 5 წლის განმავლობაში იმ საქონლისთვის, რომლისთვისაც რეგისტრირებულია ეს სასაქონლო ნიშანი საქართველოში.

თუ სასაქონლო ნიშნის გამოყენება დაიწყო ან განახლდა აღნიშნული, 5-წლიანი ვადის გასვლიდან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნამდე პერიოდში, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება დაუშვებელია.

15. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული ნორმის საფუძველზე მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხე არ იყენებს სასაქონლო ნიშანს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, რაც წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს.

16. სსსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის, მე-4 მუხლის პირველი ნაწილის, 102-ე და 105-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლო მტკიცება წარმოადგენს მტკიცებულებათა შეგროვების, შემონახვისა და შეფასებისათვის სასამართლოსა და მხარეების სამართლით მონესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) დადგენა. პირველი, რაც უნდა გააკეთოს მხარემ დამტკიცების მოვალეობის შესასრულებლად – ესაა მტკიცებულებათა წარმოდგენა სასამართლოში იმ ფაქტის დადგენის მიზნით, რომლის დამტკიცების მოვალეობაც მას ეკისრება. წარმოდგენილი მტკიცებულება ისეთ კავშირში უნდა იყოს დასადგენ გარემოებასთან, რომ შეიძლებოდეს ამ გარემოების არსებობა-არარსებობის შესახებ უტყუარი დასკვნის გაკეთება. მხარე საქმის შედეგით დაინტერესებული პირია, რამაც შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მისი ახსნა-განმარტების სისწორესა და უტყუარობაზე. მხარის ყოველი განმარტება ფაქტების შესახებ, რომელიც გაკეთებულია მის სასარგებლოდ, მართალია, მტკიცებულებაა, მაგრამ არასაკმარისია და მოითხოვს დადასტურებას სხვა მტკიცებულების მეშვეობით.

17. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნულ ნორმათა შესაბამისად, ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცების ვალდებულება აკისრიათ მხარეებს, რომლებიც თავის სამართლებრივ მოთხოვნას აფუძნებენ აღნიშნულ გარემოებებს და, შესაბამისად, ისინი მიეთითება მათ მიერ. სსსკ-ი ადგენს მხარეთა მიერ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს. მხარეს, რომელიც თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს აფუძნებს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, ეკისრება მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი. ამასთან, არამართო მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს სარჩელში მოყვანილი გარემოებები, არამედ მოპასუხეცაა ვალდებული, დაამტკიცოს მის მიერ შესაგებელში მოყვანილი გარემოებები.

18. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელემ 5

წლის განმავლობაში მოქასუხის მხრიდან სასაქონლო ნიშნის გამოუყენებლობა ვერ დაადასტურა. სადავო გარემოების დადასტურების მიზნით, მოსარჩელემ წარადგინა შპს „მ.ა.ფ.ჰ.ჯ-ას“ მიერ მომზადებული წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ მას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია სადავო სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქციით ვაჭრობა/რეალიზაცია. საქმის მასალებში დამატებით წარმოდგენილია სს „ფ-ის“ მიერ შედგენილი წერილი, სადაც მითითებულია, რომ სადავო სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქციის რეალიზაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში დასახელებული კომპანიის სავაჭრო ობიექტებში არ ხორციელდება. ასევე, საქმის მასალებს ერთვის კომპანია „8 000 მოსავლის“ წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ სადავო სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქციის რეალიზაციას კომპანია არ ახორციელებს.

19. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი წერილები არ არის ამომწურავი მტკიცებულება სადავო სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქციის რეალიზაციის არარსებობის დადასტურებლად, ვინაიდან შესაძლოა აღნიშნული ობიექტები არ ახორციელებენ პროდუქციის რეალიზაციას, თუმცა პროდუქციის რეალიზაცია ზოგადად ხორციელდება და სასაქონლო ნიშანი გამოყენებადი.

20. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოქასუხე მხარემ წარმოადგინა სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაცია, რომლითაც ცალსახად დგინდება, რომ სადავო სასაქონლო ნიშნით ხორციელდება ალკოჰოლური სასმელის რეალიზაცია. საქმეში წარმოდგენილია 2016 წლის პირველი დეკემბრის ხელშეკრულება, რომლითაც მოქასუხემ შპს „A. K-ს“ გადასცა უფლება, გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი. ასევე, წარმოდგენილია 2017 წლის 24 თებერვლის ხელშეკრულება, რომლითაც დასტურდება, რომ შპს „A. K.“ (უფლების მიმღები) და შპს „დ. ლ. კ-ია“ შეთანხმდნენ ალკოჰოლური პროდუქციის რეალიზაციაზე. აგრეთვე, წარმოდგენილია სავაჭრო ნიშანის ფოტოსურათი, სადაც ასახულია ღვინის ჩამოსხმის ან/და დაფასოების პერიოდი – 2021 წელი. ამდენად, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცალსახად და უტყუარად ადასტურებს 2021 წლის მონაცემებით სასაქონლო ნიშნის გამოყენების ფაქტს. წარმოდგენილი მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ სასაქონლო ნიშნით წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე არ ხდება, არამედ გადის ექსპორტზე.

21. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებას, რომ მოცემულ შემთხვევაში უმნიშვნელოა იმის დადგენა, თუ კონკრეტულად ვინ იყენებს სასაქონლო ნიშანს, – თავად მოქასუხე თუ სხვა პირი, სასაქონლო ნიშნის მფლობელის თანხმობით, ვინაიდან „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე

მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასაქონლო ნიშნის გამოყენებად მიიჩნევა მისი გამოყენება სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ, აგრეთვე ლიცენზიატის მიერ და სასაქონლო ნიშნის მფლობელის თანხმობით მესამე პირის მიერ.

22. აპელანტმა სადავოდ გახადა შპს „A. K-თან“ გაფორმებული ხელშეკრულება, ხელმოწერის სანდოობა, თარიღი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლების გადაცემის ხელშეკრულება ფორმასავალდებულო გარიგებას არ წარმოდგენს, მისი დადება შესაძლებელია სანოტარო წესით დადასტურების გარეშეც. მტკიცებულება სადავოდ არ გამხდარა თავად ხელმომწერი პირების მიერ. ამასთან, თუ მხარე სადავოდ ხდის მტკიცებულებას, სსსკ-ის 137-ე მუხლის საფუძველზე მხარე აღჭურვილია უფლებით, დააყენოს შუამდგომლობა და მოითხოვოს კონკრეტული მტკიცებულების შემოწმება, რომლის გადამოწმების შედეგადაც თუკი დადგინდება, რომ საბუთი ყალბია, ასეთ მტკიცებულებას სასამართლო არ დაეყრდნობა და ამორიცხავს. თუმცა იმ ეტაპამდე, სანამ არ დადგინდება საბუთის სიყალბე, სასამართლო ვერ უგულებელყოფს წარმოდგენილ მტკიცებულებას. ასეთის დაშვების შემთხვევაში დაირღვევა თანასწორობის პრინციპი და მხარე გაუმართლებლად შეიზღუდება მტკიცების სტადიაზე. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს დოკუმენტის სიყალბეზე შესაბამის ეტაპზე არ მიუთითებია. შესაბამისად, არ არსებობს მტკიცებულების სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველი.

23. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს მის მიერ სასაქონლო ნიშნის გამოყენებას.

24. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა სასაქონლო ნიშნის გამოყენების ფარგლებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლების გადაცემა მოიცავს სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლებას არამხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ. პალატამ მიუთითა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც განმარტავს, თუ რას გულისხმობს სასაქონლო ნიშნების გამოყენება. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის სასაქონლო ნიშნის გამოყენებად მიიჩნევა, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიაზე სასაქონლო ნიშნის ექსპორტისთვის განკუთვნილ საქონელზე ან მის შეფუთვაზე დატანა. შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის გამოყენებად, კანონის მიხედვით, ასევე, მიიჩნევა სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქციის გატანა ექსპორტზე. პალატამ ასევე მიუთითა შპს „A. K-სა“ და მოპასუხეს შორის დადებული ხელშეკრულების მე-2 პუნქტზე, რომ-

ლის თანახმად, მფლობელმა სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება შპს „A. K-ს“ გადასცა ნებისმიერ ქვეყანაში.

25. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ აღნიშნული კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი არ აკონკრეტებს სასაქონლო ნიშნის გამოყენების ტერიტორიას და ექსპორტისთვის საქონლის გატანა სასაქონლო ნიშნის მფლობელის მხრიდან ცალკე ნებართვას არ საჭიროებს. ასეთის არსებობის შემთხვევაშიც თანხმობას შეიცავს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება. შესაბამისად, სასაქონლო ნიშანი გამოიყენება მოპასუხის მიერ, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეს მართებულად ეთქვა უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

26. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი დარღვევების გარეშე, სააპელაციო საჩივარი არ შეიცავს იმ გარემოებებზე მითითებას, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდება.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

27. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

28. კასატორის მითითებით, გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვების შემთხვევაში დამკვიდრდება პრაქტიკა, რომლის თანახმად სასაქონლო ნიშნის ნებისმიერი პირის მიერ გამოყენება, სასაქონლო ნიშნის მფლობელთან ამ პირის სამართლებრივ ურთიერთობაში ყოფნისა და მისი ნებართვით მოქმედების მიუხედავად, უთანაბრდება სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ნიშნის გამოყენებას. აღნიშნული მიდგომა ეწინააღმდეგება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველ პუნქტს.

29. მხარის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ საქმეში წარდგენილი ფოტოსურათი, რომელზეც ასახულია ღვინის ჩამოსხმის ან/და დაფასოების პერიოდი – 2021 წელი, ადასტურებს მოპასუხის მიერ სადავო სასაქონლო ნიშნის გამოყენებას. აღნიშნული მტკიცებულება მოპასუხემ 2022 წლის 14 ნოემბრის განცხადებაში მოიხსენია, როგორც „მოსარჩელის მიერ „ვ-ის“ სახელწოდებით ჩამოსხმული ღვინის ბოთლის ფოტოსურათი“. მოპასუხის მიერ წარდგენილი შეტყობინებებით დასტურდება, რომ იგი მოსარჩელის მხრიდან სადავო სასაქონლო ნიშნის გამოყენების წინააღმდეგი იყო. დასახელებულ გარემოებებზე სააპელაციო პალატას არ უმსჯელია.

30. მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით დასტურდე-

ბა, რომ საქართველოში სასაქონლო ნიშან „VELISI-ით“ ნიშანდებულ ღვინოს ასხამს შპს „დ. ლ. კ-ია“. საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება, რომ მითითებულ შპს-ს სასაქონლო ნიშნის მფლობელთან რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა ჰქონდა, მოქმედებს მისი ნებართვით. შესაბამისი თანხმობა არ არის ნახსენები არც ამ შპს-სა და შპს „A. K-ს“ შორის დადებულ ხელშეკრულებაში. მეტიც, აღნიშნული ხელშეკრულება მეტყველებს თანხმობის არარსებობაზე, რადგან 1.3 პუნქტის თანახმად „გამყიდველი (შპს „დ. ლ. კ-ია“) ანიჭებს მყიდველს უფლებას, რათა მან გაყიდოს საქონელი ყაზახეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მყიდველი არ არის უფლებამოსილი, გაყიდოს ან გაასხვიოს საქონელი რაიმე სხვა საშუალებით აღნიშნული სასაქონლო ნიშნით ყაზახეთის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, რადგან ამან შესაძლოა გამოიწვიოს მესამე ქვეყნებიდან მყიდველების ექსკლუზიური უფლებების დარღვევა“. ამდენად, აღნიშნული დათქმით შპს „დ. ლ. კ-ია“ თავად უდგენს შპს „A. K-ს“ მის მიერ წარმოებული ღვინოს სარეალიზაციო ტერიტორიას. ბუნებრივია, იმ შემთხვევაში თუ შპს „დ. ლ. კ-იას“ და შპს „A. K-ს“ შორის ხელშეკრულება დაფუძნებული იქნებოდა ამ უკანასკნელსა და მოპასუხეს შორის არსებულ ხელშეკრულებას, როგორც ამას მოპასუხე უთითებს, შპს „დ. ლ. კ-ია“ ვერ აუკრძალავდა შპს „A. K-ს“ სასაქონლო ნიშნის ყაზახეთის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასხვიებას ზემოხსენებული უფლების დარღვევის საფუძველით. მას ეცოდინებოდა, რომ საქართველოში სასაქონლო ნიშანი დარეგისტრირებული აქვს მოპასუხეს და აღნიშნული ნიშნის გამოყენებაზე მან თანხმობა მისცა შპს „A. K-ს“.

31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 20 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

32. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

33. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს ანებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, კერძოდ, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწ-

ყოფს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც უმეტესად არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას ან/და მის დამატებით ოქმს/ოქმებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

34. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად უნდა ჩაითვალოს შემდეგი გარემოებანი:

35. 2016 წლის 29 თებერვლიდან სასაქონლო ნიშანი „VELISI velisi-სი“ (რეგ. ...) 33-ე კლასის საქონლის – ალკოჰოლიანი სასმელების (ლუდის გარდა) მიმართ რეგისტრირებულია მოპასუხის სახელზე.

36. 2022 წლის 26 აგვისტოს მოსარჩელემ განაცხადი შეიტანა საქპატენტში სასაქონლო ნიშანი „VELISI-ის“ (საიდენტიფიკაციო ...) რეგისტრაციის მოთხოვნით.

37. წინამდებარე სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა აღნიშნული სასაქონლო ნიშნის მოპასუხის სახელზე რეგისტრაციის გაუქმება.

38. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის მფლობელს ენიჭება ერთგვაროვან ან მსგავს საქონელზე ამ ნიშნის ან მისი ვარიანტების გამოყენების განსაკუთრებული უფლება. ამავე კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად კი, სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვებისა და დამცავი დოკუმენტების ძალაში შენარჩუნების წესებს არეგულირებს მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობა.

39. საქართველოს კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვებას მათი „საქპატენტში“ რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებს. რეგისტრაციით ხდება დაცვის ობიექტის ნამ-

დვილი არსობრივი ფარგლების დაფიქსირება. ამასთან ერთად, რეგისტრაციით აღინუსხება საქონლის ის წრე, რომელთა მიმართ გამოსაყენებლად არის განკუთვნილი სასაქონლო ნიშანი. რეგისტრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია „საქპატენტის“ მიერ ყველა რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებაა, რაც ნიშნის მფლობელის კონკურენტებისათვის გაფრთხილებას წარმოადგენს. სპეციალური კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან.

40. საკაცაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მისი რეგისტრაციის მომენტიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცულ „ქონებას“ წარმოადგენს. შესაბამისად, რეგისტრაციის პროცედურების დასრულების შემდეგ, სასაქონლო ნიშანი ხდება საკუთრების ობიექტი და მასზე ვრცელდება საკუთრების დაცვის ყველა სამართლებრივი რეგულაცია. ზოგიერთ შემთხვევაში არა მხოლოდ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, არამედ თავად რეგისტრაციის განაცხადი და სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მაძიებლის სამართლებრივი სტატუსიც კი უკვე შესაძლებელია, წარმოშობდეს ისეთ ქონებრივ უფლებებს, რომლებიც ექვევა პირველი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული „ქონების“ ცნებაში (იხ. სუსგ №ას-1285-1223-2014, 01.12.2015 წ.).

41. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მეორე პუნქტი განსაზღვრავს სასამართლოს მიერ მესამე პირის მოთხოვნით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების წინაპირობებს, რასაც უკავშირებს იმგვარი მოცემულობის დადგენას, რომლის დროსაც სასაქონლო ნიშანი რეალურად არ გამოიყენებოდა უწყვეტად 5 წლის განმავლობაში იმ საქონლისთვის, რომლისთვისაც რეგისტრირებულია ეს სასაქონლო ნიშანი საქართველოში. თუ სასაქონლო ნიშნის გამოყენება დაიწყო ან განახლდა აღნიშნული, 5-წლიანი ვადის გასვლიდან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნამდე პერიოდში, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება დაუშვებელია.

42. ამდენად, კანონის მითითებული დანაწესის თანახმად, მოპასუხის სახელზე რიცხული სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გასაუქმებლად მოსარჩელეს სარწმუნოდ უნდა დაედასტურებინა, რომ სასაქონლო ნიშნის მფლობელს ან მისი სახელით შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურველ პირს 5 წლის განმავლობაში სადავო სასაქონლო ნიშანი არცერთხელ არ გამოუყენებია. ამასთან, მითითებული ვა-

დის გასვლა იმპერატიულად არ იწვევს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებას. კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს სასაქონლო ნიშნის მფლობელს, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეინარჩუნოს მაშინაც, როდესაც 5-წლიანი პერიოდი გავიდა, თუმცა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებამდე მფლობელი გამოიყენებს სასაქონლო ნიშანს. აღნიშნული დათქმა მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ გამოხატავს კანონმდებლის ნებას, მხოლოდ ფორმალური მიზეზის არსებობისას არ გააუქმოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია.

43. საკაცაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების პროცესი, როგორც გაშუალებული შემეცნება, საკმაო სისრულითაა მონესრიგებული კანონით. მაგალითად, სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კანონი განსაზღვრავს, თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაამტკიცოს. კანონი განსაზღვრავს აგრეთვე, თუ რომელ მხარეს ეკისრება ფაქტების მითითებისა და ამ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელი ფაქტები არ საჭიროებენ დამტკიცებას, მტკიცების რა საშუალებები დაიშვება და რა არ დაიშვება, როგორ და რა წესით ხდება მტკიცებულებათა შეგროვება, შემოწმება და ა.შ.

44. სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით. მნიშვნელოვანია, რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მტკიცების საგნის განსაზღვრისას. სარჩელის აღძვრით მოსარჩელეს სურს გარკვეული შედეგის დადგომა (ნივთის მიკუთვნება, ვალის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოშლა და ა.შ.), მისი ეს სურვილი აისახება სარჩელის იმ ელემენტში, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. ამრიგად, სარჩელის საგანს ქმნის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი, მაგრამ მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრემ, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

45. მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუ-

თებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა.

46. „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევია: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა“ (იხ. თომას ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016, გვ.3-4). „მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს“ (იხ. ჰ. ბოლინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 200-, გვ.64). ამრიგად, ფაქტებზე თვითონ მხარეებმა უნდა მიუთითონ. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარე-

თა გამოკითხვისა და შეკითხვების მიცემის გზით ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების სრულად და ზუსტად განსაზღვრას.

47. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი. „მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს მოსარჩელისა და მოპასუხისათვის თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობების მინიჭებას. შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით...“ (მდრ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № 1/8/594; 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № 2/6/746).

48. საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს დამატებით განმარტოს, რომ სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს.

49. განსახილველ შემთხვევაში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მოსარჩელის მოთხოვნა შეეხება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებას იმ საფუძვლით, რომ მოპასუხეს მის სახელზე რეგისტრირებული სადავო სასაქონლო ნიშანი 5 წლის განმავლობაში არ გამოუყენებია.

50. თავისი სასარჩელო მოთხოვნის დასასაბუთებლად მხარემ მიუთითა მშს „მ.ა.ფ.კ.ჯ-ასა“ და სს „ფ-ის“ წერილებზე, რომელთა თანახმად უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში წერილის ავტორები სადავო სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქციით ვაჭრობასა და რეალიზაციას არ ახდენდნენ. ასევე, საქმის მასალებს ერთვის კომპანია „8 000 მოსავლის“ წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ სადავო სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქციის რეალიზაციას კომპანია არ ახორციელებს.

51. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ მითითებული მტკიცებულებები სადავო სასაქონლო ნიშნის მოპასუხის სახელზე რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს – მოპასუხის ან მისგან უფლებამოსილი პირის მიერ 5 წლის განმავლობაში უწყვეტად სასაქონლო ნიშნის გამოუყენებლობის ფაქტს სარწმუნოდ არ ადასტურებს. გარკვეული კომპანიების მხრიდან სადავო სასაქონ-

ლო ნიშნის მქონე პროდუქციის ვაჭრობა-რეალიზების არარსებობა არ გამორიცხავს ასეთი პროდუქციის რეალიზებას სხვა პირთა მეშვეობით. რაიმე სხვა წონადი მტკიცებულების სასამართლოსათვის წარდგენა კი მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო.

52. აღსანიშნავია, რომ მოპასუხემ სასარჩელო მოთხოვნის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებლით მიუთითა სადავო სასაქონლო ნიშნის გამოყენებაზე. ხსენებულის დასტურად მოპასუხემ მიიჩნია საქმეზე დართული ფოტომასალა, ასევე, 2016 წლის პირველი დეკემბრის ხელშეკრულება, რომლითაც შპს „A. K-ს“ გადასცა სადავო სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება. ასევე, წარმოდგენილია 2017 წლის 24 თებერვლის ხელშეკრულება, რომლითაც დასტურდება, რომ შპს „A. K“ (უფლების მიმღები) და შპს „დ. ლ. კ-ია“ შეთანხმდნენ ალკოჰოლური პროდუქციის რეალიზაციაზე. შესაბამისად, დასაბუთებულია და განსახილველ საკასაციო საჩივარში დასაბუთებული შედავებით გაქარწყლებული არ არის სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ სადავო სასაქონლო ნიშნით წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხდებოდა საზღვარგარეთ, რასთან დაკავშირებით რაიმე შეზღუდვას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

53. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედი დისპოზიციურობის ფარგლებში მოსარჩელეს ენიჭება უფლება, თავად აირჩიოს რა სახის მოთხოვნა წარადგინოს მოპასუხის მიმართ და რომელი მტკიცებულებებით გაამყაროს მისი დასაბუთებულება.

54. მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლის ეტაპზე შეამოწმა როგორც მოსარჩელის მიერ სადავო გარემოების დასამტკიცებლად მითითებული მტკიცებულებები, ასევე, მოპასუხის საპასუხო პოზიცია.

55. კასატორმა დასაშვები და მოტივირებული პრეტენზია ვერ დაუპირისპირა სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მოსარჩელემ მოცემულ დავაში მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზება ვერ შეძლო და სარჩელის დაკმაყოფილების ზემოთ მოყვანილი წინაპირობების არსებობა, ისევე, როგორც წინამდებარე საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის საფუძვლების არსებობა სარწმუნოდ ვერ დაასაბუთა.

56. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი მატერიალური ან/და საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

57. კასატორმა ვერ დაასაბუთა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადა-

მიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობაში მოდის.

58. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით და არც იმ საფუძველით, რომ საკასაციო სასამართლოს მსგავს საკითხზე ჯერ არ უმსჯელია და გადაწყვეტილება არ მიუღია. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე არ არსებობს ვარაუდი, რომ საკასაციო საჩივრის განხილვის შემთხვევაში მოსალოდნელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს უკვე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

59. ამავდროულად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკისაგან.

60. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

61. სსსკ-ის 401-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ შემდეგი თარიღით 2024-08-09 № 1723208249 გადახდო დავალებით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. შპს „შ. ვ-ის“ საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორ შპს „შ. ვ-ის“ (საიდენტიფიკაციო კოდი ...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ შემდეგი თარიღით 2024.08.09 № 1723208249 გადახდო დავალებით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**გეოგრაფიული წარმოშობის მცდარი წარმოდგენის
აღმნიშვნელი სასაქონლო ნიშანი**

**ბანჩინება
საქართველოს სახელით**

№ას-307-2021

30 ივნისი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის**

**შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე**

დავის საგანი: სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ზ-ს (შემდეგში – მოპასუხე, პირველი აპელანტი, ნიშნის მფლობელი) საქართველოში დაცული აქვს შემდეგი სასაქონლო ნიშნები, რომლებიც შეიცავს სიტყვიერ აღნიშვნას STOLICHNAYA-ს. ეროვნული პროცედურით დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები სარეგისტრაციო ნომრებით: – 9351 (რეგ. თარიღი 19.05.1998 წ.) – 10929 (რეგ. თარიღი 23.09.1998 წ.) – 10930 (რეგ. თარიღი 23.09.1998 წ.) – 10/31 (რეგ. თარიღი 23.09.1998 წ.) – 10932 (რეგ. თარიღი 23.09.1998 წ.) – 10933 (რეგ. თარიღი 23.09.1998 წ.) – 18430 (რეგ. თარიღი 16.05.2008 წ.) – 18431 (რეგ. თარიღი 16.05.2008 წ.) – 18432 (რეგ. თარიღი 16.05.2008 წ.) – 18433 (რეგ. თარიღი 16.05.2008 წ.) – 18434 (რეგ. თარიღი 16.05.2008 წ.) – 18435 (რეგ. თარიღი 16.05.2008 წ.) – 19946 (რეგ. თარიღი 18.11.2009 წ.) – 19947 (რეგ. თარიღი 18.11.2009 წ.) – 25752 (რეგ. თარიღი 26.03.2015 წ.) – 30288 (რეგ. თარიღი 19.10.2018 წ.); ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე დაცული სასაქონლო ნიშნები საერთაშორისო სარეგისტრაციო ნომრებით: – 735580 G (საერთაშორისო რეგ. თარიღი 27.04.2000 წ.) – 735668 F (საერთაშორისო რეგ. თარიღი 28.04.2000 წ.) – 788522 I (საერთაშორისო რეგ. თარიღი 07.08.2002 წ.) – 788948 K (საერთაშორისო რეგ. თარიღი 07.08.2002 წ.) – 789448 I (საერთაშორისო რეგ. თარიღი 02.08.2002 წ.) – 1046433 B (საერთაშორისო რეგ. თარიღი 28.06.2010 წ.) – 1109469 A (საერთაშორისო რეგ. თარიღი 12.01.2012 წ.) – 1136005 B (საერთაშორისო რეგ. თარიღი 19.09.2012 წ.).

2. ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მოპასუ-

ხეს დაცული აქვს სასაქონლო ნიშანი – STOLI საერთაშორისო სარეგისტრაციო ნომრით 739600 G (საერთაშორისო რეგ. თარიღი 29.06.2000 წ.).

3. არაყი STOLICHNAYA მოპასუხის ნებართვით ინარმოება ლატვიაში, რაზეც მიუთითებს მოსარჩელის მიერ ქ. თბილისში, ..., მალაზია „ჰ-ში“ შექმნილი არყის ბოთლის კონტრეტიკეტზე დატანილი ინფორმაცია.

4. მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს აღნიშვნას S. და წარწერას „established 1938“ ან „est 1938“, ქართულად „დაარსებულია 1938 წელს“.

5. ბრენდი STOLICHNAYA-ს წარმომავლობის კვლევის 2018 წლის 3 მაისის ანგარიშის თანახმად, სახელწოდება STOLICHNAYA-ს წარმომავლობას საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთთან აკავშირებს, 72% აცხადებს (70% ასახელებს მხოლოდ რუსეთს, ხოლო 2% – რუსეთთან ერთად სხვა ქვეყნებსაც, რაც ჯამურად არის 72%), რომ ეს სახელწოდება რუსეთთან ასოცირდება. 21%-ი ვერ ასახელებს ვერცერთ ქვეყანას. რუსეთის შემდეგ ასოცირების ყველაზე მაღალი, 5%-იანი მაჩვენებელი აქვს უკრაინას. S, როგორც არყის ბრენდი, რუსული წარმომავლობის არის საქართველოს მოსახლეობის 67%-ის აზრით (65% ასახელებს მხოლოდ რუსეთს, ხოლო 2% – რუსეთთან ერთად სხვა ქვეყნებსაც, რაც ჯამურად არის 67%), 25%-მა ბრენდის წარმომავლობის ქვეყნის შესახებ არ იცის/არ აქვს მოსაზრება, რუსეთის შემდეგ ცნობადობის ყველაზე მაღალი, 7%-იანი მაჩვენებელი აქვს უკრაინას. არაყი STOLICHNAYA-ს“ მომხმარებლის 71%-ის აზრით (69% ასახელებს მხოლოდ რუსეთს, ხოლო 2% – რუსეთთან ერთად სხვა ქვეყნებსაც, რაც ჯამურად არის 71%) ბრენდი რუსული წარმოშობისაა, რაც 5%-ით აღემატება ჯამურ 67%-იან მაჩვენებელს.

6. წარმომავლობის კვლევის კიდევ ერთი მიდგომა გულისხმობდა რესპონდენტებისთვის STOLICHNAYA-ს სასაქონლო ნიშნის ფოტოს ჩვენებას (ბოთლის ფოტო) და ბრენდისა და პროდუქტის წარმომავლობის შესახებ შესაბამისი კითხვების დასმას. როგორც კვლევამ აჩვენა, ბრენდი STOLICHNAYA რუსულია საქართველოს მოსახლეობის 43%-სათვის, 45.5%-მა არ იცის, თუ სადაური ბრენდია STOLICHNAYA.

7. ქართულ-ევროპული მარკეტინგული ასოციაციის 2019 წლის STOLICHNAYA-ს და ამავე სახელწოდების არყის ბრენდის კუთვნილებითი პოზიციონირების სოციოლოგიური კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სახელწოდებას STOLICHNAYA კონკრეტულის გარეშე აკავშირებს ზოგადად ქვეყნების დედაქალაქთან/ქალაქთან, ხოლო კონკრეტული ბრენდის (არაყი STOLICHNAYA) მთავარ ასოციაციურ და ემოციურ დატვირთვად მიიჩნევს ასევე ქალაქს და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დედაქალაქებს, კერძოდ,

ვლინდება მიღწევადი კავშირი არყის ბრენდ STOLICHNAYA-ს და რომელიმე კონკრეტულ ქალაქს შორის, რაც სრულებით ბუნებრივია, რადგან 21-ე საუკუნეში გლობალიზაციის პირობებში მრავალი ბრენდი მოწყდა თავის რომელიმე რეგიონს და იგი ცხოვრების ფორმის აღმნიშვნელად მოგვევლინა, შესაბამისად, არაყი STOLICHNAYA არის დედაქალაქური/ქალაქური ცხოვრებისა და გართობის სახე, რომლის არქეტიპი გახლავთ დედაქალაქური ცხოვრება და მასთან დაკავშირებული მხიარულება ყოველგვარი კონკრეტული ქალაქისა და დედაქალაქის მინიმუმების გარეშე.

8. მოსარჩელის მოთხოვნა:

8.1. ფედერალური სახაზინო საწარმო ... (შემდეგში – მოსარჩელე, მეორე აპელანტი) სასამართლოს მიმართა სარჩელით, რომლითაც წინამდებარე განჩინების პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის გაუქმება მოითხოვა.

8.1.1. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხე იმგვარად იყენებდა სადავო სასაქონლო ნიშნებს, რომ ქართველ მომხმარებელს ამ ნიშნებით მარკირებული საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ მცდარ წარმოდგენას უქმნიდა. მოსარჩელემ განმარტა, რომ მოპასუხის ნებართვით არაყი STOLICHNAYA ინარმოებოდა ლატვიაში, თუმცა მოპასუხე ლატვიაში წარმოებული არყის ბოთლის ეტიკეტზე არაკეთილსინდისიერად უთითებდა აღნიშვნას – STOLICHNAYA და „ESTABLISHED 1938“, ასევე, იმავე ტექსტის შემოკლებული ვერსიას – „EST 1938“, რაც ქართულად ნიშნავს „დაარსებულია 1938 წელს“, მაშინ, როდესაც 1938 წელს არაყ STOLICHNAYA-ს წარმოება დაიწყო და მრავალი ათწლეულის განმავლობაში გრძელდებოდა რუსეთში, რასთანაც მოპასუხეს რაიმე კავშირი არ ჰქონდა, რადგან მოპასუხის მიერ წარმოებული ლატვიური არყის STOLICHNAYA-ს ისტორია 2003 წელს და არა 1938 წელს დაიწყო. მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის დასასაბუთებლად სასამართლოში კომპანია „ე-ს“ 2018 წლის 3 მაისის STOLICHNAYA-ს ბრენდის წარმომავლობის კვლევის ანგარიში წარადგინა და მიუთითა, რომ სარჩელში აღწერილი გარემოებები „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში – სპეციალური კანონის) 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესატყვისად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა.

9. მოპასუხის პოზიცია:

9.1. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის წარდგენით უარყო სარჩელის საფუძვლიანობა.

9.2. მოპასუხის მტკიცებით, ის წარმოადგენდა სადავო სასაქონლო ნიშნების STOLICHNAYA-ს კანონიერ მესაკუთრეს და, აქედან გამომდინარე, სრული უფლება ჰქონდა, არაყი ეწარმოებინა ლატვიაში.

9.3. მოპასუხის განმარტებით, სასაქონლო ნიშანი – STOLICHNAYA არ შეიცავდა კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილზე მითითებას. შესაბამისად, არ არსებობდა სპეციალური კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გამოყენებისა და მის საფუძველზე სასაქონლო ნიშნის STOLICHNAYA – გაუქმების წინაპირობები. მოპასუხემ ასევე აღნიშნა, რომ STOLICHNAYA-ს რუსეთზე მითითებად ჩათვლის შემთხვევაშიც გამოირიცხებოდა მოხმობილი საფუძველით სადავო სასაქონლო ნიშნის გაუქმება, ვინაიდან არაყი STOLICHNAYA იწარმოებოდა რუსეთში შექმნილი ტექნოლოგიითა და სპირტით, ანუ იკვეთებოდა რუსეთთან საქონლის – არაყ STOLICHNAYA-ს კავშირი (რომლის მესაკუთრეა მოპასუხე), შესაბამისად, შესაძლებელი იყო არაყი ჩამოსხმულიყო ნებისმიერ ადგილზე, მათ შორის – ლატვიაში.

9.4. რაც შეეხება სასაქონლო ნიშან STOLI-ს გაუქმებას, მოპასუხის განმარტებით, სასაქონლო ნიშნის აღრევამდე მსგავსი ნიშნის გაუქმების მოთხოვნის უფლება მხოლოდ სასაქონლო ნიშნის მესაკუთრეს ჰქონდა, მოსარჩელემ კი, სარჩელი აღძრა – როგორც მესამე პირმა. გარდა ამისა, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება (დასკვნა, კვლევა) რომელიც დაადასტურებდა, რომ მომხმარებელი სასაქონლო ნიშანს – STOLI-ს აიგივებდა STOLICHNAYA-სთან.

10. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

10.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სასამართლომ გააუქმა მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სადავო სასაქონლო ნიშნები, რომელიც შეიცავდა სიტყვიერ აღნიშვნას STOLICHNAYA (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი). მოსარჩელეს უარი ეთქვა საქართველოში დაცული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის – STOLI-ის გაუქმებაზე – სარეგისტრაციო ნომრით ... G.

11. მხარეთა სააპელაციო საჩივრები:

აღნიშნულ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა. მოსარჩელემ საქმეზე წარდგინილი სააპელაციო საჩივრით გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მოპასუხემ კი, სიტყვა – STOLICHNAYA-ს შემცველ სასაქონლო ნიშნებზე რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მოითხოვა.

12. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და სამართლებრივი შეფასებები:

12.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 იანვრის განჩინებით, არცერთი აპელანტის სააპე-

ლაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა: უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12.2. სააპელაციო სასამართლომ სადავო სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონლის გეოგრაფიული წარმომავლობის დეფინიციური მნიშვნელობის განსაზღვრის მიზნით, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა (სამრეწველოს საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია, TRIPS შეთანხმება, ლისაბონის შეთანხმება ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ (მოხმობილი აქტები რატიფიცირებულია საქართველოს ტერიტორიაზე) და ეროვნული კანონმდებლობის („სასაქონლო ნიშნების შესახებ“, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ საქართველოს კანონებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1103-ე მუხლის) ერთობლიობაში გაანალიზებას დაეყრდნო.

12.3. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ „წარმოშობის გეოგრაფიული აღნიშვნის“ მნიშვნელობას „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ კანონი განმარტავდა, რომელიც საქონლის წარმოშობის გეოგრაფიულ აღნიშვნაში მოიაზრებდა სახელს ან სხვა რაიმე სიმბოლოს, რომელიც მიუთითებს გეოგრაფიულ ადგილზე და გამოყენებულია იმ საქონლის მოსანიშნად, რომელიც ამ გეოგრაფიულ ადგილად არის წარმოშობილი ან, რომლის სპეციფიკური ხარისხი, რეპუტაცია, ან სხვა მახასიათებელი დაკავშირებულია ამ გეოგრაფიულ ადგილთან, ან რომლის წარმოშობა ან ნედლეულის დამზადება, ან დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

12.4. სააპელაციო პალატის შეფასებით, მოპასუხის მიერ ლატვიაში ჩამოსხმული არყის სასაქონლო ნიშანზე სიტყვა STOLICHNAYA-სთან ერთად ტექსტის – ESTABLISHED 1938, ან/და EST 1938 (რაც ქართულად ნიშნავს „დაარსებულია 1938 წელს) მითითებამ, შპს „ე-ს“ მიერ 2018 წლის 3 მაისს შედგენილი ბრენდის STOLICHNAYA-ს წარმომავლობის კვლევის ანგარიშში არსებულ მონაცემებთან ერთად შეუქმნა რწმენა, რომ სადავო სასაქონლო ნიშნის STOLICHNAYA-ს გამოყენება ქართველ მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას უქმნიდა საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ.

12.5. სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის თაობაზე, რომ ქართველ მომხმარებელთა უმრავლესობამ არ უწყოდა რაიმე კავშირის შესახებ ლატვიასა და არაყ STOLICHNAYA-ს შორის. პალატის დასკვნით, შპს „ე-ს“ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები მიუთითებდა საქონლის წარმოშობის წყაროზე, კერძოდ, დასახელება STOLICHNAYA არ იყო რაიმე გეოგრაფიული სახელწოდება, მაგრამ ამ სახელით ქართველი მომხმარებელი მხოლოდ რუსულ არაყს იც-

ნობდა.

13. საკასაციო მოთხოვნა და მისი საფუძვლები:

13.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

13.2. საკასაციო პრეტენზია შემდეგ გარემოებებს ეფუძნება:

13.2.1 კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, არასწორად არის ინტერპრეტირებული სპეციალური კანონის 27-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი; სასამართლოს სასაქონლო ნიშნის შეფასებისას ყურადღება უნდა გაემახვილებინა 3 ძირითად საკითხზე: 1) შეიცავს თუ არა სასაქონლო ნიშანი კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილზე მითითებას; 2) არსებობს თუ არა კავშირი საქონელსა და სასაქონლო ნიშანზე მითითებულ გეოგრაფიულ ადგილს შორის; 3) მწარმოებელი საქონელს სად ამზადებს. სასამართლოს მიერ არასწორად არის განმარტებული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ორი ცნება – „სასაქონლო ნიშნის გეოგრაფიული წარმომავლობა“ და „იმ საქონლის გეოგრაფიული წარმომავლობა“, რაც მარკირებულია სასაქონლო ნიშნით. კასატორის მტკიცებით, სასაქონლო ნიშნის გეოგრაფიული წარმომავლობის განსხვავება შესაბამისი სასაქონლო ნიშნით მონიშნული საქონლის დამზადების ადგილისგან დღესდღეობით ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევა, რის დასასაბუთებლადაც კასატორი მოიხმობს ბრენდებს: „ჰე-ი“, „ჰა-ი“, „კ-ა“ და ა.შ. კასატორის განსჯით, არცის წარმოება არ არის დაკავშირებული რომელიმე გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივ, ადამიანურ ან სხვა რესურსთან, რის გამოც არცის დამზადების ადგილთან დაკავშირებით მჯელობის სამართლებრივი საჭიროება არ იკვეთება.

13.2.2. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ განჩინების გამოტანისას იხელმძღვანელა „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმებით, რომელიც ეხება ისეთი ცნებების განსაზღვრას, როგორიცაა – „გეოგრაფიული აღნიშვნა“ და „ადგილწარმოშობა“. კასატორის მტკიცებით, არცერთი სასაქონლო ნიშანი არ შეიცავს არც გეოგრაფიულ აღნიშვნას და არც საქონლის ადგილწარმოშობაზე მითითებას. სასამართლომ კი, სასაქონლო ნიშნის შეცდომაში შემყვანი ხასიათის არსებობა დაასაბუთა სწორედ ამ ცნებათა განხილვის შედეგად. კასატორის განმარტებით, STOLICHNAYA ქართულად ნიშნავს, „დედაქალაქურს“, შესაბამისად იგი, რუსეთზე – როგორც გეოგრაფიულ ადგილზე მინიშნებას არ გულისხმობს. STOLICHNAYA, როგორც უცხოური წარმოშობის სიტყვა, ასევე არ წარმოადგენს გეოგრაფიულ ადგილზე

არაპირდაპირ მითითებას. კასატორის მოსაზრებით, სიტყვა (უცხოური თუ ქართული) კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილზე (ქვეყანაზე, ქალაქზე) მითითებად მიიჩნევა მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს სიტყვა განუყოფელად, თავისი არსით, დანიშნულებითა და მნიშვნელობით არის დაკავშირებული და ფაქტობრივად გაიგივებული კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილთან, მის კულტურასა ან ტრადიციასთან, რასაც განსახილველ შემთხვევაში, ადგილი არ აქვს. სიტყვა STOLICHNAYA არის ზოგადი მნიშვნელობის და არ შეიცავს განსაკუთრებულ კუთვნილებას რომელიმე ქვეყნის მიმართ. რუსეთთან ასოციაციის აღქმას არ იწვევს არც წარწერა, ვინაიდან სასაქონლო ნიშანზე სიტყვა STOLICHNAYA დატანილია არა რუსული, არამედ ლათინური ასოებით.

13.2.3. კასატორის განმარტებით, სასამართლომ გააუქმა ისეთი სასაქონლო ნიშნებიც, რომლებიც არ გამოიყენება, მაშინ, როდესაც, სარჩელი დაფუძნებული იყო იმ გარემოებაზე, რომ სადავო სასაქონლო ნიშნის გამოყენება მცდარ წარმოდგენას უქმნიდა მომხმარებელს. კასატორის მოსაზრებით, ის სასაქონლო ნიშნები, რომლებიც რეგისტრირებულია, თუმცა არ იყენებენ, თეორიულად შეუძლებელია მომხმარებელს საქონლის გეოგრაფიული წარმომავლობის თაობაზე მცდარ წარმოდგენას უქმნიდეს.

13.2.4. კასატორი არ ეთანხმება საქმეზე მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგებს და განმარტავს, რომ კვლევის ავტორებმა ჯერ დაიწყეს სახელწოდების წარმომავლობის კვლევა, შემდეგ კი, გადავიდნენ ბრენდის ცნობადობის კვლევაზე, რაც ცალსახად მიუთითებდა კვლევის მიკერძოებულ ხასიათზე. მკვლევარებმა სიტყვა STOLICHNAYA-ს წარმომავლობის თაობაზე დასმული კითხვებით მიმართულება მისცეს გამოკითხულ მოსახლეობას, რომ ბრენდიც რუსული იქნებოდა, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც გამოკითხული 1206 რესპოდენტიდან, მხოლოდ 200 იყო არყის მომხმარებელი.

13.2.5. კასატორის მტკიცებით, სასაქონლო ნიშანი STOLICHNAYA ვერ იქნება შეცდომაში შემყვანი, რადგან, გარდა რუსული სიტყვის არსებობისა, სხვა რაიმე დამაკავშირებელი ნიშანი რუსეთთან არ არსებობს. რაც შეეხება მოსარჩელის აპელირებას აღნიშვნაზე – „დაარსებულია 1938 წელს“, მოსარჩელე არ ასაბუთებს, რატომ მიიჩნევა, რუსეთთან და არა რომელიმე სხვა ქვეყანასთან დამაკავშირებლად ეს კონკრეტული წარწერა. კასატორის მითითებით, მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ მომხმარებელი სწორედ ამ მინიშნებას უკავშირებს სასაქონლო ნიშნის რუსულ წარმომავლობას.

13.2.6. კასატორის მტკიცებით, მას სადავო სასაქონლო ნიშნით მონიშნული არყის ბრენდი საქართველოში შემოაქვს 2011 წლიდან და მის ეტიკეტზე დატანილია ინფორმაცია, რომ საქონელი დამზადებულია

ლატვიაში, შესაბამისად, კომპანია ყოველთვის უზრუნველყოფდა წარმოების ქვეყნის შესახებ მომხმარებლის ინფორმირებას და საქმეში დაცული არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ კასატორი კომპანიის განზრახვა იყო მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. კასატორის განმარტებით, სასამართლოს დავის გადაწყვეტის დროს არ შეუფასებია თუ რატომ არ მიიჩნია საკმარისად საქონლის წარმოშობის ადგილის თაობაზე ეტიკეტზე დატანილი აღნიშვნა.

13.2.7. კასატორის განმარტებით, საქართველოში იმპორტირებული არაყი STOLICHNAYA მზადდება რუსეთში შექმნილი ტექნოლოგიით და რუსეთში შექმნილი სპირტით. ამ გარემოებაზე დაყრდნობით, კასატორი მიიჩნევს, რომ სასაქონლო ნიშანი – STOLICHNAYA კიდევ რომ შეიცავდეს მითითებას რუსეთზე, ეს გამართლებულია, რადგან არყის კავშირი რუსეთთან გამოიხატება არყის დამზადებისას რუსული ნედლეულის გამოყენებით.

13.2.8. კასატორის განმარტებით, სადავო სასაქონლო ნიშნები არის კომბინირებული სასაქონლო ნიშნები, რომლებიც შედგება როგორც სიტყვიერი, ისე – გამოსახულებითი ნაწილებისგან. სასაქონლო ნიშნები სიტყვა STOLICHNAYA-ს გარდა შეიცავს მრავალ სხვა სიტყვას, სიტყვათა წყობას, სიმბოლოებს, ნახატებს, ფერთა გამას, დიზაინის ელემენტებს და ა.შ. კასატორის მოსაზრებით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ სიტყვა STOLICHNAYA-ს შეცდომაში შეყავდა მომხმარებელი, მხოლოდ ეს სიტყვა უნდა მიეჩნია სასაქონლო ნიშნის დაუცველ ნაწილად, ისე რომ არ გაეუქმებინა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. გარდა ამისა, კასატორი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ სადავო სასაქონლო ნიშნები რეგისტრირებულია არამარტო ალკოჰოლური სასმლის 33-ე კლასში, არამედ სხვა კლასებშიც (32-ე კლასი), შესაბამისად, სასამართლოს სარჩელის საფუძვლიანად მიჩნევის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნები უნდა გაეუქმებინა მხოლოდ არყის კლასთან მიმართებით, ვინაიდან 32-ე კლასს, რომელშიც რეგისტრირებულია სადავო სასაქონლო ნიშანთა ნაწილი, მიეკუთვნება ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, მინერალური და გაზიანი წყალი, ხილის სასმელები და წვენები, სიროფები და სასმელების დასამზადებელი სხვა შემადგენლობები.

14. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი:

14.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 26 აპრილის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო, ამავე პალატის 2021 წლის 2 ივნისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევა, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

15. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

16. განსახილველ შემთხვევაში, დავა შეეხება სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის გაუქმებას. საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშნის STOLI-ის რეგისტრაციის გაუქმებაზე უარის თქმის პროცესუალური შედეგი საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე შედავებული არ არის და, შესაბამისად, ამ ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის განსჯის საგანია სასაქონლო ნიშან STOLICHNAYA-ს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე სარჩელის საფუძვლიანობა და ამ ნაწილში ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერება.

17. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში სპეციალური კანონის) 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის (სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ: სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი თანხმობით სასაქონლო ნიშნის გამოყენება მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას უქმნის საქონლის სახეობის, თვისების, ხარისხის, ღირებულების ან გეოგრაფიული წარმოშობის ან სხვა მახასიათებლების შესახებ) დანაწესიდან გამომდინარეობს.

18. უშუალოდ საკასაციო სასამართლოს წინაშე დასმული სადავო საკითხის შეფასებამდე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის სამართლებრივი შედეგს არ წარმოადგენს სამართალური თიერთობის ორ სუბიექტს შორის სასაქონლო ნიშნის კანონიერი მესაკუთრის გამოვლენა. აქედან გამომდინარე, მხარეთა ურთიერთსაპირისპირო მტკიცებას – სასაქონლო ნიშანზე ლეგიტიმური უფლების არსებობის დასაბუთებლად, შესაბამისი მტკიცებულებითურთ, დავის გადაწყვეტისას რაიმე სახის სამართლებრივი მნიშვნელობა ვერ მიენიჭე-

ბა და მხარეთა საპროცესო აქტიურობა ამ მიმართულებით საკასაციო პალატის მიერ განხილულია მოსამართლის შინაგან რწმენაზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობად. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ **დავის გადაწყვეტა ემსახურება მომხმარებლის უფლების დაცვას და, შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების კანონისმიერი მართებულობაც ამ ჭრილში შემონმდება.**

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (consumer law) მიზნად ისახავს დაიცვას ფიზიკური პირის – „მომხმარებლის“ ავტონომია, რომელიც, შემოსავლის მიღების ინტერესის გარეშე, მონაწილეობს სამოქალაქო ბრუნვაში. ასეთ ეკონომიკურ ურთიერთობებში დაცვის სუბიექტია ე.წ. „სუსტ მხარედ“ აღიარებული მომხმარებელი, რომელიც, **შესაბამისი რეგულირების დაწესების გზით, დაცული უნდა იყოს იმ მწარმოებლებისაგან, თუ ბაზრის სხვა მოთამაშეებისაგან, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სამოქალაქო ბრუნვაში მოგების მიღების მიზნით.** დაცვაში კი იგულისხმება მომხმარებლის კანონით გარანტირებული უფლებების საკანონმდებლო რეგულირება და ცხოვრებაში გატარების უზრუნველყოფა (მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამარტალთან ჰარმონიზაციის გზა), თამარ ლაქერბაია, გვ.36; <https://law.ibsu.edu.ge/api/uploads/Consumer-Law.pdf>).

19. სპეციალური კანონის 27.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი სწორედ მომხმარებლის უფლების დაცვის საკანონმდებლო დონეზე მონესრიგების ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს, ხოლო ამ ნორმით დაცული სიკეთის ხელყოფაზე რეაგირება სასამართლოს ევალება. მოხმობილი ნორმის დანაწესის გაანალიზება ქმნის დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ ნორმა, ერთი მხრივ, იმპერატიული ხასიათისაა და სამართლებრივი შედეგის სახით პირდაპირ განსაზღვრავს შეცდომაში შემყვანი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებას, ხოლო, მეორე მხრივ, რეგისტრირებული და სავაჭრო ურთიერთობებში დაშვებული შეცდომაში შემყვანი სასაქონლო ნიშნის (მისი გამომყენებლის) მიმართ სანქციის სახით რეგისტრაციის გაუქმების განსაზღვრა ხაზს უსვამს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართ მკაცრი საკანონმდებლო პოლიტიკის არსებობას.

20. სპეციალური კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დანაწესიდან გამომდინარე, ნორმის შემფარდებელმა ინსტიტუციამ – სასამართლომ უნდა განჭვრიტოს თუ რა მოიაზრება „სასაქონლო ნიშნის გამოყენება მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას უქმნის საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის“ ცნებაში, რასაც საკასაციო პალატა ნორმის ტელეოლოგიური და ლოგიკური განმარტების გზით შეცდება.

21. განსახილველი დავის მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს მოპა-

სუხის მიერ სასაქონლო ნიშნის STOLICHNAYA-ს, (რომლითაც ნიშანდებული საქონელი ჩამოსხმულია ლატვიაში) არსებული სახით გამოყენებას მისი გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ შეცდომაში შეყავს თუ არა მომხმარებელი. ამ საკვანძო საკითხის გამორკვევისთვის განმსაზღვრელია სასაქონლო ნიშან STOLICHNAYA-ს შეფასება საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის ინდიკაციის კუთხით და კანონის შესაბამისი ნორმით ნაგულისხმევი სიტყვათა შეთანხმების „გეოგრაფიული წარმოშობა“ კონტექსტის კანონმდებლის ნების შესატყვისად გააზრება და ინტერპრეტირება. კერძოდ, უნდა განიმარტოს, **არის თუ გეოგრაფიული ადგილის სახელის არსებობა ნიშანში აუცილებელი წინაპირობა, იმისთვის, რომ სასაქონლო ნიშანი ჩაითვალოს შეცდომაში შემყვანად საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობასთან მიმართებით.**

21.1. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს თავად გეოგრაფიული აღნიშვნისა და სასაქონლო ნიშნის ცნებები. **სასაქონლო ნიშნები საქონლის კომერციულ წარმომავლობაზე მიუთითებენ, ხოლო გეოგრაფიული აღნიშვნები კი – გეოგრაფიულ წარმოშობაზე. გეოგრაფიული აღნიშვნა რეალური ადგილის აღწერილობითი ნიშანია და მისი გამოყენების უფლება იმ საქონლისათვის, რომელიც წარმოშობილია შესაბამისი გეოგრაფიული ადგილიდან, აქვს ყველა მენარმეს, რომელიც მოცემულ ტერიტორიაზე მოღვაწეობს.** რაც შეეხება სასაქონლო ნიშანს, იგი კონკრეტული კონკურენტის საქონელსა და მომსახურებას სხვა კონკურენტების საქონლისა და მომსახურებისაგან განასხვავებს. (გუდვილი, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი და მისი ადგილი კონკურენტულ ურთიერთობებში, 2013წ. გ. გუგუშაშვილი, გვ.203) სასაქონლო ნიშნებს მრავალი ეკონომიკური ფუნქცია გააჩნია, რომელთა შორის ერთ-ერთია – **წარმოშობის ფუნქცია – ნიშნების დაცვა იმის გამო ხორციელდება, რომ ისინი წარმოადგენენ სავაჭრო წყაროს ინდიკატორს, რომლიდანაც მომდინარეობს საქონელი, მომსახურება ან ისინი სხვამხრივ არიან დაკავშირებულნი;**

21.2. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როდესაც ვსაუბრობთ გეოგრაფიული აღნიშვნებზე, აქ გარდა გეოგრაფიული დასახელებებისა და გეოგრაფიული ადგილწარმოშობისა, გეოგრაფიულ ტერმინად აღიარებულია ასევე წარმოშობის წყაროც, რომელიც უმეტესწილად პროდუქციაზე ასახულია მინიშნებით, მაგალითად: „დამზადებულია საქართველოში“. „წარმოშობის წყარო“ როგორც გეოგრაფიული ტერმინი უფრო ფართო ცნებაა და თავის თავში მოიცავს როგორც გეოგრაფიულ დასახელებებს, ისე ადგილწარმოშობის ცნებასაც. „წარმოშობის წყარო“ მომხმარებელს უკმნის შთაბეჭდილებას, პროდუქციის წარმომავლობის – გეოგრაფიული არეალის შესახებ (იხ. Model Law for Developing Countries on Marks,

Trade Names and Acts of Unfair Competition, WIPO, Geneva, WIPO; https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_805.pdf, იხ. ასევე INTRODUCTION TO GEOGRAPHICAL INDICATIONS AND RECENT DEVELOPMENTS IN THE WORLD INTELLECTUAL PROPERTY ORGANIZATION (WIPO) WORLDWIDE SYMPOSIUM ON GEOGRAPHICAL INDICATIONS organized by the World Intellectual Property Organization (WIPO) and the United States Patent and Trademark Office (USPTO) San Francisco, California, July 9 to 11, 2003) https://www.wipo.int/edocs/mdocs/geoind/en/wipo_geo_sfo_03/wipo_geo_sfo_03_1-main1.pdf)

21.3. გეოგრაფიული აღნიშვნებისა და სასაქონლო ნიშნების ცნებების გაანალიზება ცხადყოფს, რომ სასაქონლო ნიშანი თავისი არსით უფრო ფართო ცნებაა. სასაქონლო ნიშანში შესაძლებელია ინტეგრირებული იყოს გეოგრაფიული აღნიშვნა კანონით ნებადართულ შემთხვევებში, ამასთან **გეოგრაფიული წარმოშობის მიმანიშნებელი აღნიშვნა პირდაპირი იქნება ეს თუ არაპირდაპირი უშუალოდ გეოგრაფიულ არეალს ან საქონლის ადგილწარმოშობას უნდა უსვამდეს ხაზს.**

21.4. აქედან გამომდინარე, ცხადია, **სასაქონლო ნიშანი STOLICHNAYA არ წარმოადგენს არც გეოგრაფიულ დასახელებას და არც საქონლის ადგილწარმოშობის მინიშვნას.** მათ შორის, სადავო სიმბოლო არ განიხილება არც გეოგრაფიული ტერმინის არაპირდაპირ მითითებად. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას და თავადაც აღნიშნავს, რომ ამ დავის გადაწყვეტის მიზნებისათვის არარელევანტურია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა მიერ „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ საქართველოს კანონის მოხმობა. პალატის განმარტებით, მითითებული კანონის მონესრიგების სფეროს განეკუთვნება კანონმდებლის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე გეოგრაფიული აღნიშვნებისა თუ საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებების მნიშვნელობების, მათი საქპატენტში რეგისტრაციისა და რეგისტრაციის შემდგომი დაცვის წესის განსაზღვრა, რასაც ცხადია სამართლებრივი კავშირი ვერ ექნება იმ გარემოების დადგენასთან, ამა თუ იმ სასაქონლო ნიშნის გამოყენებას საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის თაობაზე შეცდომაში შეყავს თუ არა მომხმარებელი.

22. რაც შეეხება იმ გარემოებას – არის თუ არა აუცილებელი სასაქონლო ნიშანი შეიცავდეს გეოგრაფიულ დასახელებას, იმისათვის რათა სპეციალური კანონით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების სამართლებრივი შედეგი დადგეს, საკასაციო პალატა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების ამ კრიტერიუმს სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველთან ერთობლივად გაანალიზებით, საკანონმდებლო დანაწე-

სის ლოგიკური განმარტების მეთოდის გამოყენებით შეაფასებს. სპეციალური კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც: დ) **აღწერილობითია** იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, **გეოგრაფიული წარმოშობის**, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად; ხოლო ამავე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სასაქონლო ნიშნად ასევე არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც: შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ.

22.1. სპეციალური კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რეგულაცია ცხადყოფს, რომ საქართველოს კანონმდებლობა, სხვა არაერთი ქვეყნის კანონმდებლობის, ევროკავშირის დირექტივებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში ასახული მიდგომების მსგავსად, კრძალავს სასაქონლო ნიშნად (და არა გეოგრაფიულ აღნიშვნად) საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის ამსახველი ტერმინის/სიმბოლოს რეგისტრაციას იმ საქონლისათვის, რომელთა მიმართაც ასეთ აღნიშვნას აღწერილობითი ხასიათი აქვს. ამგვარმა მონესრიგებამ ფაქტობრივად მკაფიოდ დააინეროვა გეოგრაფიული ტერმინების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის შემთხვევები. რაც, თავის მხრივ, გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენებაზე ანტიმონოპოლიური წესრიგის გამყარებას ემსახურება.

22.2. ნიშანდობლივია, რომ კანონმდებელი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლად გეოგრაფიული წარმოშობის აღმნიშვნელი, აღწერილობითი სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის აკრძალვასთან ერთად, რეგისტრაციაზე უარის თქმის სამართლებრივ შედეგს ავრცელებს ისეთ სიმბოლოებზე, რომელთაც შესწევთ უნარი შეცდომაში შეიყვანონ მომხმარებელი საქონლის გეოგრაფიული წარმომავლობის თაობაზე. ერთი ნორმის ფარგლებში ორი ამგვარი დანაწესის ინტეგრირება ნორმის ლოგიკური განმარტების ფარგლებში ქმნის დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ კანონმდებელი ამ უკანასკნელ შემთხვევაში გეოგრაფიული წარმოშობის ცნებაში მოიაზრებს არა გეოგრაფიულ ტერმინს კლასიკური გაგებით, არამედ კონკრეტული გეოგრაფიული არეალიდან საქონლის წარმომავლობის თაობაზე სასაქონლო ნიშნის მომხმარებლისეულ აღქმადობას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, თუკი სასაქონლო ნიშანი პირდაპირ ან არაპირდაპირ მიუთითებს გარკვეულ გეოგრაფიულ ადგილზე და მომხმარებელი ამ გეოგ-

რაფიულ ადგილს უკავშირებს რაიმე პროდუქტის წარმომავლობას, ამ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილობა, როგორც აღწერილობითი სასაქონლო ნიშნის ანუღირება მოექცევა არა „თ“, არამედ „დ“ ქვეპუნქტის მოწესრიგების სფეროში, ვინაიდან თუკი კონკრეტული საქონლის ამა თუ იმ გეოგრაფიული არეალიდან წარმომავლობა მოსალოდნელია და ნაგულისხმევია მომხმარებლის მიერ, ცხადია სასაქონლო ნიშნად გეოგრაფიული ადგილის მითითება შეფასდება აღწერილობით და არა შეცდომაში შემყვან სასაქონლო ნიშნად.

22.3. არაერთ საქმეზე განიმარტა, რომ გეოგრაფიული სახელების სასაქონლო ნიშნებად რეგისტრაცია შეუძლებელია, თუ გეოგრაფიული სახელი უკვე ცნობილია ან ცნობილია საქონლის კატეგორიისთვის და შესაბამისად პირთა შესაბამისი კატეგორიისთვის ასოცირდება აღნიშნულ საქონელთან ან მომსახურებასთან ან გონივრულია დავასკვნათ, რომ ტერმინი, შესაბამისი საზოგადოებისთვის, დაკავშირებული იყოს საქონლის ან მომსახურების გეოგრაფიულ წარმოშობასთან (15/01/2015, T-197/13, MONACO, EU:T:2015:16, § 48; 25/10/2005, T-379/03, Cloppenburg, EU:T:2005:373, § 34). რაც შეეხება თავად იმ ფაქტს, გეოგრაფიული ტერმინი არის თუ არა აღწერილობითი მისით ნიშანდებული საქონლის მიმართ, ეს საკითხი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს ორსაფეხურიანი ტესტით. შეფასების ტესტის პირველ ეტაპზე უნდა განისაზღვროს – არის თუ არა ცნობილი გეოგრაფიული ტერმინი გონივრული მოლოდინის ფარგლებში ინფორმირებული მომხმარებლისათვის, რომელსაც აქვს საკმარისი ზოგადი განათლება, მაგრამ არ არის გეოგრაფიის სპეციალისტი (15/01/2015, T-197/13, MONACO, EU:T:2015:16, § 51). ტესტის მეორე საფეხური კი, გულისხმობს იმის დადგენას, გეოგრაფიული ტერმინი გამოიყენება თუ არა იმ ადგილის აღმნიშვნელად, რომელიც ამჟამად ხალხისათვის ასოცირდება შესაბამის საქონელთან ან სერვისთან ან გონივრულად შეიძლება მიჩნეული იქნეს, რომ მომავალში ის ასოცირებული იქნება აღნიშნულ საქონელთან ან სერვისთან (04/05/1999, C-108/97 & C-109/97, Chiemsee, EU:C:1999:230, § 31) ან აღნიშნული სახელი ხალხის გონებაში შეიძლება თუ არა აღნიშნავდეს საქონლის ან სერვისის კატეგორიის გეოგრაფიულ წარმოშობას (15/01/2015, T-197/13, MONACO, EU:T:2015:16, § 48, T-379/03, Cloppenburg, EU:T:2005:373, § 34).

22.4. აღსანიშნავია, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის ზემოთ განხილული აბსოლუტური საფუძვლების საწინააღმდეგოდ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას, კანონმდებელი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილობის სამართლებრივ შედეგს უკავშირებს (სპეციალურის კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ: სასაქონლო ნიშანი ამ კა-

ნონის მე-4 ან მე-5 მუხლის მოთხოვნათა დარღვევითაა რეგისტრირებული).

22.5. ამრიგად, კანონმდებელი ითვალისწინებს როგორც სასაქონლო ნიშნის ბათილობას, ისე რეგისტრაციის გაუქმების სამართლებრივ შედეგებს საქონლის გეოგრაფიული წარმომავლობის თაობაზე შეცდომაში შემყვანი სასაქონლო ნიშნის მიმართ, თუმცა თითოეულ ამ სამართლებრივ შედეგს განსხვავებული წინაპირობები აქვს. ერთ შემთხვევაში, სასაქონლო ნიშანი იმგვარი სახითაა წამოდგენილი, რომ რეგისტრაციის პროცესშივე იკვეთება მომხმარებლის შეცდომაში შემყვანი გარემოებები, ხოლო, მეორე შემთხვევაში, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებას განაპირობებს სასაქონლო ნიშნის იმგვარი გამოყენება, რომელსაც შეცდომაში შეყავს მომხმარებელი სასაქონლო ნიშნით მონიშნული საქონლის წარმომავლობის თაობაზე. პირობითად, თუკი ლატვიაში წარმოებული არყის სასაქონლო ნიშანი მომხმარებელს უჩენს ალუზიას, მისი რუსული წარმომავლობის თაობაზე, ასეთ შემთხვევაში ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენებამ შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი, თუკი სასაქონლო ნიშნის კომერციული ზაცია იმგვარად ხდება, რომ ინდივიდის მიერ ნაგულისხმევი საქონლის გეოგრაფიული წარმომავლობა არ შეესატყვისება საქონლის ნამდვილ/რეალურ წარმოშობას.

22.6. საკასაციო პალატა ზემოაღნიშნული გარემოებების შეფასება-განალიზების შედეგად ასკვნის, რომ **გეოგრაფიული ადგილის სახელის არსებობა ნიშანში არ არის აუცილებელი წინაპირობა, იმისთვის, რომ სასაქონლო ნიშანი ჩაითვალოს შეცდომაში შემყვანად საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობასთან მიმართებით.**

23. საკასაციო პალატის შემდგომი განსჯის საგანია სადავო სასაქონლო ნიშანს, უფრო კონკრეტულად კი, მისი არსებული სახით გამოყენების წესს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის თაობაზე შეცდომაში შეყავს თუ არა მომხმარებელი.

23.1. სასაქონლო ნიშანი, რომლითაც ეტიკეტირებულია ბაზარზე დაშვებული პროდუქცია არის თუ არა მისი გეოგრაფიული წარმოშობის თაობაზე შეცდომაში შემყვანი, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში და ინდივიდუალურ რეჟიმში, კონკრეტული საქონლისადმი მომხმარებლის დამოკიდებულების ტესტით უნდა შეფასდეს. ტესტის ფარგლებში უნდა განისაზღვროს საშუალო მომხმარებლის ასოციაციური დამოკიდებულება საქონლის გეოგრაფიული წარმომავლობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში საკითხი დაისმის შემდეგნაირად: გონივრულად რამდენად მოსალოდნელია, მომხმარებელი, რომელიც ყიდულობს არაყ STOLICHNAYA-ს მას განიხილავდეს ლატვიური წარმოების/ლატვიაში ჩამოსხმულ ალკოჰოლურ სასმელად?

23.2. აღსანიშნავია, რომ შეფასების ამ მიდგომით, საკასაციო სასამართლო მისდევს საუკეთესო ევროპული სასამართლო პრაქტიკის გამოცდილებას, მაგ საქმეზე 3 U 262/16 19.09.2016 OLG Hamburg სასამართლომ იმ საკითხის გამოსარკვევად GLEN ELS სახელწოდებაში ტერმინი GLEN, რომელიც თვისობრივად არაა გეოგრაფიული დასახელება, ინვევდა თუ არა ალუზიას ევროკავშირის ფარგლებში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის „შოტლანდიური ვისკის“ მიმართ შეაფასა ტესტით: საქონლის დასახელება მომხმარებელში აღძრავდა თუ არა ასოციაციას „შოტლანდიური ვისკის“ დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნასთან, მიუხედავად იმისა, რომ თავად ტერმინი GLEN არ წარმოადგენდა გეოგრაფიულ დასახელებას. ამ საკითხის გამოსარკვევად, სასამართლომ იხელმძღვანელა ევრო კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკით (C-44/17, 7.06.2018), რომლის თანახმად ალუზიის შეფასებისას სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, საქონლის დასახელება მომხმარებლის გონებაში აღძრავს თუ არა ასოციაციას იმ საქონელთან, რომლის სახელწოდება შეიცავს მითითებას დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნაზე. ამ დროს მხედველობაში მიიღება საკმარისად ინფორმირებული, დაკვირვებული და წინდახედული საშუალო ევროპელი მომხმარებლის შეხედულება (<https://openjur.de/u/2305255.html>) ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ასევე C-75/15 21.01.2016; C-210/96, 16.07.1998; C-220/98, 13.01.2000).

23.3. სასაქონლო ნიშნის STOLICHNAYA-ს ამ კონტექსტში შეფასებისას გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა სასაქონლო ნიშანი შეიქმნა 1938 წელს, ყოფილ საბჭოთა კავშირში. ეს ფაქტი მხარეთა შორის სადავო არ არის, მხარეთა ახსნა-განმარტებების ურთიერთშეჯერების შედეგად სასამართლო ასევე ასკვნის, რომ სასაქონლო ნიშნით მოინიშნა რუსული არაყი. (მოპასუხის საპაექრო სიტყვაში აღნიშნულია, რომ ტექნოლოგია, რომელითაც მოპასუხე ამზადებს არაყ STOLICHNAYA-ს, შეიქმნა რუსეთში 1938 წელს, ანუ არაყ STOLICHNAYA-ს კავშირი რუსეთთან გამოიხატება ასევე რუსეთში შექმნილი ტექნოლოგიით არყის დამზადებაში), ამავდროულად, სასაქონლო ნიშანზე სიტყვიერი აღნიშვნა დატანილია რუსულენოვანი სიტყვის (STOLICHNAYA რუსულად ნიშნავს დედაქალაქურს) საერთაშორისო ტრანსლიტერაციის წესით. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გარკვეულ ვითარებაში უცხოენოვანი სიტყვის გამოყენება შეიძლება იყოს შეცდომაში შემყვანი კონკრეტული გეოგრაფიულ ადგილზე რაიმე მითითების გარეშე, მითუმეტეს თუ შესაბამის საზოგადოებაში, უცხო სიტყვა ასოცირებულია განსაზღვრულ ქვეყანასთან. სიტყვას, რომელიც აღებულია კონკრეტული უცხო ენიდან, შეუძლია მომხმარებელს შეუქმნას შთაბეჭდილება, რომ საქონელი თითქოს შესულია იმ ქვეყნიდან, რითაც მომხმარე-

ბელი შეცდომაში იქნება შეყვანილი თუ ამ ქვეყანას გააჩნია კარგი კომერციული რეპუტაცია ამა თუ იმ საქონელთან მიმართებით.

23.4. არაყ STOLICHNAYA-ს საზოგადოებაში გუდვილი მოპოვებული აქვს – როგორც რუსეთში წარმოებულ (რუსული წარმომავლობის) არაყს, შესაბამისად პრეზუმირებულია, რომ მომხმარებელს, რომელსაც არაყ STOLICHNAYA-ს წარმომავლობის შესახებ მისი საქართველოს ბაზარზე (ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში) დაშვების პერიოდიდან მოყოლებული მიეწოდა ინფორმაცია, შექმნილი აქვს წინასწარგანწყობა, რომ ის ყიდულობს სწორედ წლების განმავლობაში კარგი რუსული არყის რეპუტაციის მქონე ალკოჰოლურ სასმელს, რომელიც წარმოებულია არა ლატვიაში, არამედ რუსეთში. მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას უზრუნველყოფს არა მხოლოდ სიმბოლო STOLICHNAYA-ს ისტორიულად რუსული წარმომავლობა, არამედ სასაქონლო ნიშანზე არყის დაარსების თარიღის (დაარსებულია 1938 წელს) მითითებაც, რომელიც სიტყვიერ სიმბოლო STOLICHNAYA-სთან ერთად აღნიშნავს სწორედ საქონლის რუსულ წარმომავლობასთან კომერციულ კავშირს, თავად მოპასუხეც ადასტურებს, რომ მითითებული თარიღი არყის რუსეთში შექმნის წელს აღნიშნავს და ამ თარიღს ლატვიასთან რაიმე სახის კავშირი არ აქვს.

23.5. საკასაციო პალატის შეფასებით ზემოაღნიშნული გარემოებები საქმეზე მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ არაყ STOLICHNAYA-ს წარმომავლობის კვლევის ანგარიშთან ერთობლიობაში, რომელზეც საკასაციო სასამართლო ქვემოთ იმსჯელებს, ქმნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი ალუზიურ წარმოდგენას უქმნის მომხმარებელს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის თაობაზე.

24. საკასაციო პალატა ასევე შეეხება მტკიცების ტვირთის განაწილების წესს და აღნიშნავს, რომ დავის ფარგლებში მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესიდან გამომდინარე (სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია მხარეთა შეჯობრებითობის პრინციპზე, რომლის ფარგლებში მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით დადასტურდება ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ თავიანთი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა), მოსარჩელეს ევალებოდა მისი მტკიცე-

ბის საგანს მიკუთვნებული გარემოების – სადავო სასაქონლო ნიშანს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის თაობაზე შეცდომაში შეყავს მომხმარებელი, დამტკიცება, ხოლო მოპასუხეს მოსარჩელის ამ მტკიცების ქმედითად უარყოფა.

24.1. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ მტკიცებულების სახით წარმოადგინა არაყ STOLICHNAYA-ს წარმომავლობის თაობაზე შპს „ე-ს“ კვლევა, რომლითაც ირკვევა, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა როგორც ტერმინ STOLICHNAYA-ს, ისე ამავე დასახელების არყის ბრენდს რუსული წარმომავლობის საქონლად მიიჩნევს. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას კვლევის მიკერძოებულობის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, გამოკითხულმა საზოგადოებამ STOLICHNAYA მიიჩნია რუსული წარმომავლობის სიტყვად. პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც თავად მოპასუხე სადავოდ ხდის სიტყვა STOLICHNAYA-ს რუსულ წარმომავლობას და მის რუსეთთან ასოცირების აღქმადობას გამორიცხავს, კვლევის ფარგლებში ამ საკითხის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების გამორკვევის საკითხზე, როგორც არყის წარმომავლობის მიმანიშნებელ შეკითხვაზე კასატორის შედავება სამართლებრივ არგუმენტირებულობას მოკლებულია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი კვლევა კომპლექსური ხასიათისაა და ამომწურავ პასუხს იძლევა ამ დავის გადანყვევტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა საკვანძო გარემოებაზე – მათ შორის სიტყვა STOLICHNAYA-ს მნიშვნელობის გეოგრაფიულ ინდიკაციაზე, ბრენდ STOLICHNAYA-ს წარმომავლობასა და მისი წარმოშობის წყაროზე. დასახელებული კვლევის შედეგები ამ განჩინების ფარგლებში განხილულ სხვა არაერთ გარემოებასთან ერთად ადასტურებს, რომ ლატვიაში ჩამოსხმული არაყი STOLICHNAYA, რომლის სასაქონლო ნიშანი ამ სიტყვიერ სიმბოლოსთან ერთად ამავდროულად შეიცავს მითითებას დაარსების თარიღის (დაარსებულია 1938 წელს) თაობაზე, მომხმარებელს ერთმნიშვნელოვნად უქმნის მცდარ ალუზიურ წარმოდგენას საქონლის რუსული წარმომავლობის თაობაზე.

24.2. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ამ კვლევის მონაცემებს ვერ აქარწყლებს მოპასუხის დაკვეთით წარმოებული საპირისპირო კვლევა, ჯერ ერთი, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი კვლევა არ შეიცავს სასაქონლო ნიშან STOLICHNAYA-თი ნიშანდებული არყის გეოგრაფიული წარმომავლობის თაობაზე მომხმარებლის დამოკიდებულების კვლევას და, მეორეც, თვით ამ კვლევის ფარგლებში დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხებიდანაც თვალსაჩინოა, რომ ტერმინ STOLICHNAYA-ს გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა აიგივებს საბჭოთა კავშირის დედაქალაქებთან ან რუსეთის ფედერაციასთან. თავის მხრივ, ეს შედეგი მეტყველებს იმაზე, რომ ქართველი მომხმარებლის ცნობიერება-

ში სიტყვა STOLICHNAYA უმეტესწილად ასოცირებულია საბჭოთა კავშირთან ან რუსეთის დღევანდელ სახელმწიფოსთან, რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით, სწორედ საბჭოთა პერიოდში დაარსებული კარგი კომერციული რეპუტაციის არაყ STOLICHNAYA-ს გავლენით აიხსნება, სავარაუდოა, რომ მომხმარებლისთვის ამ სიტყვის საბჭოთა კავშირთან და რუსეთთან ამგვარი მიჯაჭვულობა, ბრენდ STOLICHNAYA-ს გუდვილმა და საყოველთაოდ ცნობადობამ განაპირობა. არსებითად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ფაქტობრივად გამორიცხავს მომხმარებლის მიერ არაყ STOLICHNAYA-ს წარმოშობის წყაროდ ლატვიის განხილვას ან/და ამ არყის ლატვიურ არაყად კატეგორიზაციას. შესაბამისად, **საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულყოფილად შეფასება, წინამდებარე განჩინების ფარგლებში განხილულ გარემოებებთან ერთად ქმნის დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ საშუალო, გონიერი და სათანადოდ გათვითცნობიერებული მომხმარებელი სასაქონლო ნიშან STOLICHNAYA-თი მარკირებულ ალკოჰოლურ სასმელს რუსულ არაყად მიიჩნევს და ამავედროულად წარმოშობის წყაროდაც რუსეთს მოიაზრებს.** ამ მოცემულობის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა ლატვიაში ჩამოსხმულ შესაბამისი დასახელების ალკოჰოლურ სასმელს, შეცდომაში შეყავს მომხმარებელი მისი გეოგრაფიული წარმომავლობის თაობაზე.

24.3. საკასაციო პალატის განსჯით მოსარჩელემ წარმატებით დაძლია მისი წილი მტკიცების ტვირთი, მოპასუხემ კი ვერ შეძლო საპირწონე მტკიცებულებებით მისი გაქარწყლება. **მოპასუხე ვალდებული იყო დაემტკიცებინა, რომ სადავო სასაქონლო ნიშანს ის ისე იყენებდა კომერციულ ურთიერთობებში, რომ ამით შეცდომაში არ შეყავდა მომხმარებელი.** უფრო კონკრეტულად, მოპასუხეს ევალებოდა სასამართლოში წარმოდგინა მტკიცებულებები, რომლითაც უტყუარად დაადასტურებდა არყის კომერციულიზაციის პროცესში ისეთი ღონისძიებების გატარებას, რაც სადავო სასაქონლო ნიშნის გამოყენების პროცესში უზრუნველყოფდა მომხმარებლის გამჭვირვალედ ინფორმირებას ამ სასაქონლო ნიშნით ბრენდირებული არყის ლატვიური წარმომავლობის თაობაზე და გამორიცხავდა პროდუქტის არასწორი წარმომავლობის თაობაზე მომხმარებლის ასოცირებას. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ თავად მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიც კი, ირიბად ადასტურებს, ერთის მხრივ, არყის რუსულ წარმომავლობას, ხოლო, მეორე მხრივ, არყის წარმოშობის წყაროსა და წარმომავლობის თაობაზე მომხმარებლის ალუზიის ლატვიასთან კავშირის არარსებობას. რაც იმას ნიშნავს, რომ მოპასუხის მიერ იგნორირებულია სა-

ქონლის წარმომავლობის თაობაზე მოხმარებლის გამჭვირვალედ ინფორმირების ვალდებულება. საკასაციო პალატის შეფასებით, ეტიკეტირების საერთაშორისო წესის ფარგლებში STOLICHNAYA-ს სასაქონლო ნიშნით მარკირებული არყის კონტრეტიკეტზე მწარმოებელი ქვეყნის მითითება საკმარისი არ არის სადავო სასაქონლო ნიშნით ბრენდირებული არყის მცდარი გეოგრაფიული წარმომავლობის აღუზიის გამოსარიცხად.

25. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მაშინაც კი, თუკი სასაქონლო ნიშანი, რომელიც ბრუნვაუნარიანი არამატერიალური ქონებრივი სიკეთეა, ერთი ქვეყნის მწარმოებლიდან მეორე ქვეყნის მწარმომის განკარგვის სფეროში გადავა, სასაქონლო ნიშნის შემდგომმა გამოყენებამ შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს მომხმარებელი საქონლის წარმომავლობის თაობაზე. მომხმარებელს გამჭვირვალედ და თვალსაჩინოდ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რა დროსაც არ აქვს მნიშვნელობა ამ მიზნით გატარებულ მარკეტინგულ ღონისძიებებს – ეს იქნება სასაქონლო ნიშანზე წარმოშობის წყაროს დატანა, იმგვარად, რომ მომხმარებლისთვის თვალსაჩინო იყოს მწარმოებელი ქვეყანა, სარეკლამო ღონისძიებების გატარება თუ სხვა, რაც საბოლოო ჯამში, მოხმარებელს მისცემს შესაძლებლობას მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, ეს ქმედებები ერთგვარად დაკავშირებულია სასაქონლო ნიშნის ახალი მფლობელის სამეწარმეო რისკებთან, თუმცა, სასამართლოს შეფასებით, უპირობოდ აუცილებელია მწარმომის კომერციულიზაციის ინტერესსა და მომხმარებლის უფლებებს შორის სამართლიანი ბალანსის პოვნა და დაცვა. სპეციალური კანონის 27.2. მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დანაწესის შემოღებით კანონმდებლის ნებაც სწორედ ამგვარი წონასწორობის უზრუნველყოფას ემსახურება. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ნორმის დისპოზიციის პირველ ნაწილს და აღნიშნავს, რომ მომხმარებლის წინაშე ვალდებულ პირად კანონმდებელი არამხოლოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელს, არამედ იმ მესამე პირებსაც (ლიცენზიატებს) მოიაზრებს, რომლებიც მართლზომიერად – სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვით იყენებენ სასაქონლო ნიშანს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშნის გადაცემა და მისი შემდგომი ექსპლუატაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ ამან შეცდომაში არ შეიყვანოს მომხმარებელი სასაქონლო ნიშნის გეოგრაფიული წარმოშობის თაობაზე. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის შედავებას იმის თაობაზე, რომ მოხმობილი ნორმის დანაწესის იმგვარი განმარტებით, რომელიც გეოგრაფიულად რუსეთთან/რუსულ წარმომავლობასთან ასოცირებული სასაქონლო ნიშნით მონიშნული არყის ლატივიაში ჩამოსხმის გამო, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებას

განაპირობებს, გუდვილის მქონე სასაქონლო ნიშნების მსყიდველობითუნარიანობას საფრთხის ქვეშ აყენებს. საკასაციო პალატის განსჯით, კასატორიული მსჯელობა მიმართულია ერთი კერძო მენარმის ინტერესის დაკმაყოფილებისკენ და ეწინააღმდეგება მომხმარებელთა საერთო ინტერესს და ბაზრის მონაწილეთა შორის საჯარო წესრიგის უზრუნველყოფას. ამ საკითხზე მსჯელობისას პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს აქვე მოიხმოს „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტო №05 ბრძანების 24-ე მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმად, თუ „საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნის გადაცემის შესახებ წარდგენილი საბუთების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სასაქონლო ნიშნის გადაცემამ შეიძლება მომხმარებელს მცდარი წარმოდგენა შეუქმნას იმ საქონლის თვისებების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის, მწარმოებლის ან სხვა მახასიათებლების შესახებ, რომლის მიმართაც ის რეგისტრირებულია, უფლებამონაცველეს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება, საქონლის ჩამონათვლიდან შეცდომაში შემყვანი საქონლის ამოღების თაობაზე „საქპატენტი“ რეესტრში არ შეიტანს ცნობას გადაცემის შესახებ, ვიდრე არ მიიღებს უფლებამონაცვლის თანხმობას ჩამონათვლიდან შეცდომაში შემყვანი საქონლის ამოღების თაობაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც სასაქონლო ნიშანზე უფლების გადაცემამ შეიძლება მომხმარებელს მცდარი წარმოდგენა შეუქმნას საქონლის მთლიანი ჩამონათვლის თვისების, ხარისხის ან გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ, საქპატენტს ცვლილებები რეესტრსა და მონმობაში არ შეაქვს და უფლებამონაცველეს ეგზავნება შესაბამისი წერილობითი შეტყობინება. ინსტრუქციის ეს რეგულაცია ფაქტობრივად ადასტურებს, რომ სასაქონლო ნიშნის გადაცემა შეიძლება შეიცავდეს სასაქონლო ნიშნის შემდგომი გამოყენებისას მომხმარებელთა მიერ მისი გეოგრაფიულად შეცდომაში შემყვანი ფორმით აღქმის რისკს და ნიშნის ახალ მფლობელს ავალდებულებს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რაც ხელს შეუწყობს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის თაობაზე შეცდომაში შემყვანი სასაქონლო ნიშნის გამოყენების პრევენციას. ეს მოწესრიგება კი, თავის მხრივ, თანხვედრაშია პარიზის კონვენციის 6 quater [ნიშნები: ნიშნების გადაცემა] მუხლის რეგულაციასთან, რომლის მიხედვით, (1) როდესაც კავშირის ქვეყნის კანონმდებლობით ნიშნის გადაცემა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხორციელდება ნიშნის მფლობელი საწარმოს ან მისი გუდვილის გადაცემასთან ერთად, მაშინ ასეთი გადაცემის ძალაში შესვლის აღიარებისათვის საკმარისია ამ ქვეყანაში განლაგე-

ბული სანარმოს ნაწილი ან მისი გუდვილი გადაეცეს უფლებამონაცვლეს, გადაცემული ნიშნით მონიშნული GE 2756 B 19 საქონლის აღნიშნულ ქვეყანაში წარმოებისა და გაყიდვის ექსკლუზიურ უფლებასთან ერთად. (2) ზემოხსენებული დებულება კავშირის ქვეყნებს არ აკისრებს რაიმე ვალდებულებას ძალაში შესულად მიიჩნიოს ნებისმიერი ნიშნის გადაცემა, რომლის გამოყენება უფლებამონაცვლის მიერ, ფაქტობრივად, ისეთი ხასიათის იქნებოდა, რომ შეცდომაში შეიყვანდა საზოგადოებას, კერძოდ, ასეთი ნიშნით მონიშნული საქონლის წარმოშობის, ბუნების ან დამახასიათებელი ხარისხის მიმართ.

26. საკასაციო პალატა შეფასებას ვერ მისცემს კასატორის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ არაერთი ბრენდი, რომელიც შესაძლოა მოხმარებლისათვის ასოცირდებოდეს ამა თუ იმ გეოგრაფიულ არეალთან/ქვეყანასთან ინარმოება სხვა ქვეყანაში. ჯერ ერთი, საკასაციო პალატის განსჯით, მთავარია არა ის თუ როგორ მიმოიქცევა სავაჭრო ურთიერთობებში ამა თუ იმ სასაქონლო ნიშნით მარკირებული ბრენდი, არამედ არსებითი მნიშვნელობისაა როგორ უნდა იყოს გამოყენებული სასაქონლო ნიშანი სავაჭრო ურთიერთობებში ისე, რომ მენარმის მიერ საქონლის კომერციული ზაციის ინტერესს არ შეეწიროს მომხმარებლის უფლება იყოს გამჭვირვალედ ინფორმირებული საქონლის წარმომავლობის თაობაზე და საქონლის შესყიდვისას მისი წარმომავლობის თაობაზე გონიერი და გათვითცნობიერებული მომხმარებლის მიერ ნაგულისხმები და რეალური მონაცემები თანხვედრაში იყო ერთმანეთთან; მეორე, სხვა სასაქონლო ნიშნების იმ სახით რა სახითაც ისინი გვხვდება ბაზარზე, შეფასება სცილდება ამ დავის ფარგლებს და მესამეც, განსახილველი დავის ფარგლებში სადავოა არა არაყი STOLICHNAYA-ს ლატვიაში ჩამოსხმის უფლების კანონიერება, არამედ სასაქონლო ნიშნის იმდაგვარად გამოყენება, რომ მომხმარებელს მცდარი წარმოდგენა ექმნება სადავო სასაქონლო ნიშნით მარკირებული არყის წარმომავლობის თაობაზე.

27. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მტიცებას, იმის თაობაზე, რომ სასამართლომ არასწორად გააუქმა ისეთი სასაქონლო ნიშნები, რომელთა გამოყენებაც არ ხდება. კასატორის მიერ წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მფლობელს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ფაქტი ანიჭებს ლეგიტიმურ უფლებას მის ნებას დაუქვემდებაროს სასაქონლო ნიშნის შემდგომი გამოყენების შესაძლებლობა. ასეთ ვითარებაში, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლის დაცვა შემცდომაში შემყვანი სასაქონლო ნიშნის სამომავლოდ გამოყენების პრევენციისგან და გადანყვებილება გაავრცელოს ყველა იმ სადავო სასაქონლო ნიშანზე, რომელიც შეიცავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის რისკებს, მიუხედავად იმისა, მოპასუხე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებს ამჟამინ-

დელი მდგომარეობით იყენებს თუ არა კომერციულ ურთიერთობებში.

28. რაც შეეხება საკასაციო პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სადავო სასაქონლო ნიშნები კომბინირებულია და სასამართლოს მხოლოდ სიტყვიერი სიმბოლო STOLICHNAYA უნდა მიეჩნია სასაქონლო ნიშნის დაუცველ ნაწილად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების გარეშე, ამ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატა კასატორის ყურადღებას მიაპყრობს მის მიერ დავის პროცესში წარმოდგენილ შესაგებელს და აღნიშნავს, რომ მოპასუხეს ეს გარემოება სადავოდ არ გაუხდია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში სამართალწარმოების ეტაპზე, შესაბამისად საკასაციო პალატის მსჯელობის საგანი ვერ იქნება ის საკითხი, რომელსაც სამართალწარმოების შესაბამის ეტაპზე სათანადო წესით არ შედავებია მოპასუხე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოპასუხის სარჩელისაგან თავდაცვის მთავარი ბერკეტი და ინსტრუმენტი დავის პროცესში არის შესაგებელი, სწორედ შესაგებლის ფარგლებში უნდა გახადოს მოპასუხემ სადავო სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კარგავს უფლებას, შემდგომში ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში სასამართლოს განსჯის საგნად აქციოს მის იურიდიულ ინტერესში შემავალი საკითხები.

29. ანალოგიურად საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს კასატორის იმ პრეტენზიაზეც, რომელიც სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მხოლოდ 33-ე კლასის ალკოჰოლურის სასმელების კლასში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების გაუქმების მართებულობას შეეხება, ვინაიდან მოპასუხეს შესაგებლის ფარგლებში არც ამ საკითხზე არ წარმოუდგენია შედავება.

30. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს დასკვნები არსებითად სწორია, რადგანაც კასატორმა ვერ დაძლია გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება დამაჯერებელი და სარწმუნო მტკიცებულებებით, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების კანონისმიერი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ზ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა
სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია არაკეთილსინდისიერი
განზრახვით

განჩინება
საქართველოს სახელმწიფო

№ას-245-2020

29 მარტი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ფ. ბ-მა“ (შემდგომ – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „პ-ის“ (შემდგომ – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი) მიმართ და მოითხოვა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა.

სარჩელის საფუძვლები

2. მოსარჩელემ 2014 წლის 6 ოქტომბერს შეიტანა განაცხადი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტი“ მოსარჩელის სახელზე სასაქონლო ნიშნის – Вечернее რეგისტრაციის მოთხოვნით, რაზეც ეთქვა უარი იმ საფუძველით, რომ დაუპირისპირდა და აღრევამდე მსგავსია მოპასუხის უკვე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის. მოპასუხემ სასაქონლო ნიშანი დაარეგისტრირა არაკეთილსინდისიერი განზრახვით, ვინაიდან იცოდა მოსარჩელის მიერ წლების განმავლობაში საქართველოში გამოყენებული ნიშნის ცნობადობა და რეპუტაცია. რაკი მათი პროდუქტი აღნიშნული ნიშნით გამოყენების შედეგად ბაზარზე დიდი ხანია არსებობდა, ვლინდება მოპასუხის მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძველი.

მოპასუხის შესაგებელი

3. მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სასაქონლო ნიშანი არაკეთილსინდისიერი განზრახვით არ დაურეგისტრირებია. მოსარჩელე ვერ ადასტურებს, რომ მოპასუხეს არ აქვს ლეგიტიმური ინტერესი სადავო საქონლის მიმართ და სასაქონლო

ნიშანი შემუშავებული/მოფიქრებულია მოსარჩელის მიერ და დარეგისტრირებულია, პირველ რიგში, წარმოშობის ქვეყანაში, ხოლო მოპასუხე სხვისი სიკეთის მითვისებას ცდილობს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით – სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 29 ნოემბრის განჩინებით – სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

7. სააპელაციო პალატის მითითებით, აპელანტი განმარტავს, რომ სადავო სასაქონლო ნიშანს – „Вечернее“ იყენებდა 2001 წლიდან რუსეთის ფედერაციის იმავე ქალაქში, სადაც საქმიანობს მონინალმდეგე მხარე და, შესაბამისად, მისთვის ცნობილი იყო მისი საქმიანობის შესახებ. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ შექმნილი ცნობადობისა და რეკუთვაციის ხარჯზე დაასწრო აპელანტს და სასაქონლო ნიშანი დაარეგისტრირა არაკეთილსინდისიერი განზრახვით. აპელანტისვე მტკიცებით, მოცემული დავის პერიოდში, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 14 აგვისტოს სარჩელის უზრუნველყოფაზე შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ განჩინებით ყადაღა დაედო შპს „S“-ის მიერ 2019 წლის 29 ივლისის C – 82107 (1111) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაცხადებულ საქონლის ნაწილს, კერძოდ, სასაქონლო ნიშნით Вечернее Биокор ნიშანდებული 522 750 რუბლის 25 500 საკვებ დანამატს. მოპასუხის ამ ქმედების მიზანი იყო, მოსარჩელის მუშაობა შეეფერხებინა და სწორედ აღნიშნული გარემოებები ადასტურებს მის არაკეთილსინდისიერ განზრახვას.

8. პალატის მითითებით, აპელანტის მტკიცების საგანს შეადგენდა, დაედასტურებინა მონინალმდეგე მხარის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობის წინაპირობა, კერძოდ, მისი არაკეთილსინდისიერი განზრახვა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას, გამომდინარე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიდან. გასაჩივრებული გა-

დანყვეტილებით დადგენილია, რომ სასაქონლო ნიშანი – „Вечернее“ რუსეთის ფედერაციაში საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკატორის მე-5 კლასის მიმართ დარეგისტრირებული აქვს მოპასუხის პარტნიორ კომპანიას შპს „ა. დ-ს“ 2002 წლის 21 ივნისს, რეგისტრაციის №... ასევე, რუსეთის ფედერაციაში დარეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე – „Вечернее“, 2010 წლის 16 მარტს დარეგისტრირდა სალიცენზიო ხელშეკრულება შპს „ა. დ-ს“ და მოპასუხეს შორის, ხოლო სასაქონლო ნიშანი – „Вечернее“ რუსეთის ფედერაციაში საქონლის საერთაშორისო კლასიფიკატორის მე-5 კლასის მიმართ დარეგისტრირებული აქვს მოპასუხის პარტნიორ კომპანიას შპს „ა. დ-ს“ 2011 წლის 10 ნოემბერს, რეგისტრაციის ...

9. ამდენად, მტკიცება იმისა, რომ მოპასუხის ქმედება მოტივირებული იყო არაკეთილსინდისიერებით, ეყრდნობა აპელანტის ვარაუდს იმის შესახებ, რომ მოსარჩელე და მოპასუხე ერთსა და იმავე ქალაქში საქმიანობდნენ, მოპასუხისათვის ცნობილი იყო მოსარჩელის საქმიანობის შესახებ, რაც არის მხარის ვარაუდი და არ არის გამყარებული კონკრეტული მტკიცებულებებით. საქმის მასალებით კი უტყუარად დგინდება, რომ მოპასუხის პარტნიორ კომპანიას – შპს „ა.დ-ს“ სასაქონლო ნიშანი – „Вечернее“ დარეგისტრირებული აქვს 2011 წლის 10 ნოემბრიდან. რაც შეეხება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას, პალატამ განმარტა, რომ ყადაღა დაედო მოპასუხის უფლებების დასაცავად და საკუთარი უფლებების დაცვა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს არაკეთილსინდისიერ განზრახვად. პალატამ აღნიშნა, რომ პირის არაკეთილსინდისიერად მიჩნევისათვის მოითხოვება მტკიცებების მაღალი სტანდარტი, ვინაიდან აღნიშნული შეფასებითი კატეგორიაა და იმისათვის, რომ სასამართლოს ობიექტურად შეექმნას ამა თუ იმ სუბიექტის არაკეთილსინდისიერების რწმენა, არ არის საკმარისი მხარის ზეპირი განცხადება და თუნდაც ლოგიკური ვარაუდი, ასეთი რწმენის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა მაღალი სტანდარტის მტკიცებულება ან მტკიცებულებათა ერთობლიობის წარმოდგენა, რაც მხარეს არ განუხორციელებია.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

10. ზემოაღნიშნული განჩინება მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

11. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა არაკეთილსინდისიერი განზრახვის დადგენის საერთაშორისო პრაქტიკით, კერძოდ, განსახილველ შემთხვევაში, შესრულებულია ის სამივე პირობა, რომელიც აუცილებელია არაკეთილსინდისიერების დასადგენად: მონინალმდევე მხარემ განცხადების შეტანის მო-

მენტისათვის იცოდა, რომ მოსარჩელე 2005 წლიდან იყენებდა აღნიშნულ სასაქონლო ნიშანს საქართველოში; მოწინააღმდეგე მხარე განცხადების შეტანის მომენტისათვის და არც მას შემდგომ 2019 წლამდე არ იყენებდა ამ ნიშანს; სადავო სასაქონლო ნიშნის ცნობადობის ხარისხი მაღალი იყო მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე მხარემ შეიტანა განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე.

12. რუსეთის ფედერაციაში ნიშანი – „Вечернее“ რეგისტრირებული აქვს როგორც კასატორს, ისე შპს „ა. დ-ს“. ეს სასაქონლო ნიშნები თანაარსებობენ რუსეთის ბაზარზე, რამდენადაც სიტყვა Вечернее რუსეთში მიჩნეულია სასაქონლო ნიშნების დაუცველ ნაწილად. ჩვენს შეთავაზებაზე, რომ მოპასუხეს ეს სიტყვა დაუცველ ნაწილად ეცნო, მან თანხმობა არ განაცხადა. უფრო მეტიც, საქპატენტმა დააკმაყოფილა კასატორის საჩივარი და დაუცველ ნაწილად ცნო სიტყვა, რაც მოპასუხემ სასამართლოში გაასაჩივრა.

13. საქპატენტში რეგისტრაციის შემდეგ მოპასუხემ საბაჟო რეესტრშიც დაარეგისტრირა, მაშინ, როცა საქონელი საქართველოს ტერიტორიაზე არ შემოჰქონდა. ამით კასატორის პროდუქცია საზღვარზე შეჩერდა, რითაც ბაზარზე ხელოვნული დეფიციტი შეიქმნა. შესაბამისად, მოპასუხის ერთადერთი მიზანი იყო კასატორის საქმიანობისათვის ხელშეშლა.

14. სასამართლომ არასწორად განმარტა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და მე-6 მუხლები, რადგან სასაქონლო ნიშანზე უფლებები მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზეა დაცული. სასამართლომ საქართველოში გამოყენებად მოპასუხეს ჩაუთვალა რუსეთში სამეწარმეო საქმიანობა და რეგისტრაციები, ანუ ის მცდარი უდავო ფაქტობრივი გარემოებები, თითქოსდა, მას 2002 წლიდან რუსეთში აქვს რეგისტრაციები. რეგისტრაციები აქვს მესამე პირს – შპს „ა. დ-ს“, ხოლო მოპასუხეს მხოლოდ 2010 წლიდან ერთ-ერთ ნიშანზე სალიცენზიო ხელშეკრულება და მხოლოდ ამ ნიშნების უფლებების მოქმედების შეზღუდულ არეალში – რუსეთში.

სამოტივაციო ნაწილი:

15. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

16. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენე-

ბული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებს, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატას კასატორის არგუმენტების გაცნობის შემდეგ გამოაქვს დასკვნა, რომ ამ კუთხით მას დასაბუთებული საკასაციო შედავება არ წარუდგენია.

17. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28.1. „ბ“ ქვეპუნქტიდან (სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ სასაქონლო ნიშნის დარეგისტრირება მოხდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით) გამომდინარეობს.

18. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხემ განცხადება სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე შეიტანა ისე, რომ არ იყენებდა ამ ნიშანს, ამასთან, განცხადების შეტანის მომენტიდან მოყოლებული სადავო სასაქონლო ნიშნის ცნობადობის ხარისხი მაღალი იყო, რამდენადაც მოსარჩელე იყენებდა ნიშანს მრავალი წლის განმავლობაში და ამის შესახებ მოპასუხემ იცოდა.

19. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მართალია, სასაქონლო ნიშნის მფლობელი ვალდებული არ არის, რეგისტრაციისთანავე გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი, თუმცა გამოუყენებლობის ფაქტი, შესაძლოა, მიუთითებდეს არაკეთილსინდისიერ განზრახვაზეც, თუკი მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ ნიშნის მფლობელმა სასაქონლო ნიშანი დაირეგისტრირა მხოლოდ იმ განზრახვით, რათა ხელი შეუშალოს მესამე პირს საკუთარი ნიშნის გამოყენებაში ან მისგან ეკონომიკური სარგებლის მიღებაში. არაკეთილსინდისიერი განზრახვით რეგისტრაცია, შესაძლოა, გამოვლინდეს მაშინაც, როდესაც აპლიკანტმა იცოდა უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე იდენტური ან ალრევამდე მსგავსი ნიშნის არსებობის შესახებ და განზრახული ჰქონდა, მოსარჩელე კომპანიისა და მისი ნაწარმის რეპუტაციის გამოყენებით მოეპოვებინა კომერციული სარგებელი. სწორედ ამ არგუმენტებს აფუძნებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას.

20. სადავო სასაქონლო ნიშნის არაკეთილსინდისიერი განზრახვით რეგისტრაციის მტკიცების ტვირთი, მოსარჩელეს ეკისრება, ხოლო მოპასუხეს ევალება, გააქარწყლოს მისი კეთილსინდისიერების მიმართ გაჩენილი გონივრული და საფუძვლიანი ეჭვები (იხ. სუსგ №ას-645-2020, 4 მაისი, 2022 წელი; №ას-772-772-2018, 24 ივლისი, 2020 წელი). შესაბა-

მისად, მოსარჩელის მიერ საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ სასაქონლო ნიშნის განმცხადებელი მოქმედებდა კეთილსინდისიერად. როდესაც საქმის ობიექტური გარემოებები მიუთითებს კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გაბათილების შესაძლებლობაზე, სასაქონლო ნიშნის მესაკუთრეს ევალება, წარმოადგინოს იმ მიზნების ლოგიკური და დამაჯერებელი ახსნა, რომელსაც ემსახურება სასაქონლო ნიშნის განაცხადის წარდგენა.

21. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ რეგისტრაციის მართლზომიერების ფაქტის თვალსაზრისით, ქვემდგომმა სასამართლოებმა მართებულად შეამოწმეს მოპასუხის კეთილსინდისიერების ფაქტი, კერძოდ, მოპასუხის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას ამ უკანასკნელის ლეგიტიმურ ინტერესთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ, სსსკ-ის 102-ე და 105-ე მუხლის შესაბამისად, სწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და მართებულად მიუთითა, რომ არ დგინდება სასაქონლო ნიშნის არაკეთილსინდისიერად რეგისტრაციის არსებობის ფაქტი. ამ მიმართებით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, სასაქონლო ნიშანი – „Вечернее“ რუსეთის ფედერაციაში საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკატორის მე-5 კლასის მიმართ დარეგისტრირებული აქვს მოპასუხის პარტნიორ კომპანიას შპს „ა.დ-ს“ 2002 წლის 21 ივნისს, რეგისტრაციის ... ასევე, რუსეთის ფედერაციაში დარეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე – „Вечернее“, 2010 წლის 16 მარტს დარეგისტრირდა სალიცენზიო ხელშეკრულება ამ უკანასკნელ კომპანიასა და მოპასუხეს შორის, ხოლო სასაქონლო ნიშანი – „Вечернее“ რუსეთის ფედერაციაში საქონლის საერთაშორისო კლასიფიკატორის მე-5 კლასის მიმართ გაიფორმა მოპასუხის პარტნიორმა კომპანიამ 2011 წლის 10 ნოემბერს, რეგისტრაციის ... საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოპასუხე ფარმაცევტულ საქმიანობას ეწეოდა. მოპასუხემ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე მოიპოვა უფლებები სასაქონლო ნიშანზე მისი ფაქტობრივი გამოყენების შედეგად. ამ ფაქტობრივი გარემოებების საწინააღმდეგოდ მოსარჩელის ზოგადი და მხოლოდ ზეპირსიტყვიერი განმარტებები სათანადო მტკიცებულებების გარეშე, არ ქმნის საკმარის სამართლებრივ საფუძველს მოპასუხის მიერ სასაქონლო ნიშანზე უფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენების ფაქტის დადგენისათვის. ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მართალია, გადამწყვეტია განაცხადების შეტანის მომენტში არსებული ვითარება, თუმცა განაცხადის შეტანის შემდგომი ფაქტები და შემდგომი თარიღის მტკიცებულებები, შესაძლოა, გათვალისწინდეს ნიშნის მფლობელის განზრახვის შესაფასებლად. ამ მიმართებით, პალატა ითვალისწინებს

თავად მოსარჩელის მტკიცებას, რომ ნიშანი რეგისტრაციის შემდეგ მისი მფლობელის მიერ გამოიყენებოდა (მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხე არწმუნებდა მესამე პირებს, რომ პროდუქცია სწორედ მათგან შეეძინათ და არა – მოსარჩელისაგან).

22. მოპასუხის არაკეთილსინდისიერების დასადასტურებლად კასატორი იმაზეც მიუთითებს, რომ მან საბაჟო რეესტრშიც დაარეგისტრირა ნიშანი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სასაზღვრო ღონისძიების გამოყენების მიზანი უფლების მქონე პირის (მათ შორის, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირი) ინტერესების იმგვარი დაცვაა, როდესაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაჯავლი საჯარო სამართლის იურიდიული პირი მიმართავს ამ კანონით განსაზღვრულ შესაბამის ღონისძიებებს, მათ შორის, საქონლის შეჩერებას, შემონმებას, საქონლის ჩამორთმევასა და განადგურებას. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ მითითებული ქმედება, მოპასუხის არაკეთილსინდისიერების დასადასტურებლად არ გამოდგება.

23. საკასაციო პალატა ასკვნის, რომ მოსარჩელემ ვერ დაძლია თავისი უფლების დარღვევის მტკიცების ტვირთი, რაც კანონის ზემოხსენებული ნორმიდან გამომდინარე მის მოთხოვნის დაუსაბუთებლობაზე მიუთითებს. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კი, შესაგებლის ფაქტობრივი დასაბუთების ნაწილში მოპასუხემ წარადგინა განკუთვნილი და დასაშვები მტკიცებულებები, რაც მხარის საპროცესო უფლებების რეალიზებას წარმოადგენს დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების (სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლები) საფუძველზე.

24. ამდენად, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის ძალით სასაქონლო ნიშანზე უფლების შეძენისას ნიშნის მფლობელი იძენს განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი დაცული პროდუქტების/მომსახურებისათვის. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხემ დაადასტურა სასაქონლო ნიშანზე საკუთრების მოპოვება, რომელიც, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დაცვას ექვემდებარება (E.C.H.R.: *Melnychuk v. Ukraine*, Judgment 7 July, 2005) და მოპასუხის მხრიდან სადავო სასაქონლო ნიშნის დარეგისტრირების ლეგიტიმური მიზნისა და კეთილსინდისიერად გამოყენების გამო, სასარჩელო მოთხოვნა წარუმატებელია.

25. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო

სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 410-ე მუხლებით

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ფ. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 29 ნოემბრის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**8. სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული კონტრაფაქციული
საქონლის განადგურება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სსრ-ით**

№ას-1224-1144-2017

3 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტიური სა-
ქონლის მიმართ გამოყენების აკრძალვა, კონტრაფაქციული ტვირთის
განადგურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. კომპანია „ნ.გ.ფ-ო“ (შემდეგში: მოსარჩელე, კომპანია, სასაქონ-
ლო ნიშნის მფლობელი, აპელანტი, კასატორი) 2011 წლის 23 აგვისტო-
დან რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირის (შემ-
დეგში: სსიპ) „საქპატენტის“ მიერ №21722 სასაქონლო ნიშნით „NIKAI“
კლასი 7.9.11.

2. „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2012 წლის 18 მაისის №605/03
ბრძანებით მოსარჩელის მოთხოვნით დარეგისტრირდა სასაზღვრო ლო-
ნისძიებების განხორციელების მოთხოვნა.

3. შემოსავლების სამსახურის გაფორმების დეპარტამენტმა, 2013
წლის 30 მარტს, გამოსცა №21-09 411 ბრძანება, რომლითაც 10 სამუ-
შაო დღით შეჩერდა ი/მ.ა. მ-ის (შემდეგში: მოპასუხე, ინდემნარმე) მიერ
2013 წლის 27 მარტს C14746 (11111) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით
გაცხადებული ტვირთის ნაწილი, რომლის შესაფუთ მასალაზეც, თითო-
ეულ ნივთზე უკანონოდ დატანილია სასაქონლო ნიშანი „NIKAI“, კერ-
ძოდ: 1 ც. ელ. ხორცსაკეპი; 146 ც. ჩოპერი; 280 ც. უთო; 69 ც. წვეცხანუ-
რი; 124 ც. მიქსერი; 323 ც. მტვერსასრუტი; 14 ც. ელ. ჩაიდანა.

4. შემოსავლების სამსახურმა, 2013 წლის 12 აპრილს №15081 ბრძა-
ნების საფუძველზე, ტვირთის შეჩერების ვადა მომდევნო 10 სამუშაო
დღით გააგრძელა.

5. სასაქონლო ნიშნის „NIKAI“-ს მფლობელი კომპანიის იდენტიფი-
ცირების მიზნებისათვის, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისთვის გა-
ნაცხადი „საქპატენტში“, 2010 წლის 15 ივნისს, კომპანიის სახელით

წარდგენილია გ. მ-ის მიერ, რომლის სახელზეც მინდობილობა გაცემულია 2010 წლის 6 ივნისს დუბაიში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში და მას ხელს აწერს პ.რ.დ.შ-ი; მოსარჩელის მიერ საქმის მასალებში წარდგენილია კომპანიის სავაჭრო ლიცენზიის დამონმებული ასლი, რომელიც გაცემულია დუბაის მთავრობის „ჯ.ა.ფ.ზ-ის“ სავაჭრო რეგისტრაციის დეპარტამენტის მიერ, რომლითაც დასტურდება, რომ მოსარჩელე კომპანია ადგილობრივი კანონმდებლობის დაცვით არის რეგისტრირებული და მისი ხელმძღვანელია ინდოეთის მოქალაქე პ.რ.დ.შ-ი.

6. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს სასაქონლო, მომსახურებისა და კოლექტიური ნიშნების რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ამავე კანონით რეგულირდება სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის პროცედურები, კერძოდ, განაცხადის წარდგენის შემდეგ, სსიპ „საქპატენტი“ ატარებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, სადაც დგინდება არის თუ არა განაცხადი გაფორმებული ზემოხსენებული სპეციალური კანონის მოთხოვნების შესაბამისად, რომლის დასრულებიდან 6 თვის ვადაში ატარებს არსობრივ ექსპერტიზას; არსობრივი ექსპერტიზა ამონმებს, არსებობს თუ არა რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები სპეციალური კანონის მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე არსობრივი ექსპერტიზის დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში „საქპატენტი“ აქვეყნებს განაცხადის მონაცემებს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული სპეციალური კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში სააპელაციო საჩივარი არ იქნება შეტანილი, ან მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად შეტანილი საჩივრის საფუძველზე, სააპელაციო პალატა გამოიტანს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ, „საქპატენტი“ ახდენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას სასაქონლო ნიშნების რეესტრში და მონაცემებს რეგისტრირებული ნიშნის შესახებ აქვეყნებს ბიულეტენში.

7. სასაქონლო ნიშნის რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ „საქპატენტი“ გაცემს მოწმობას სასაქონლო ნიშანზე. მოწმობით დასტურდება სიმბოლოს რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნად, სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტის თარიღი, მფლობელის განსაკუთრებული უფლება აღნიშნულ სასაქონლო ნიშანზე და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა.

8. ზემოაღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, სსიპ „საქპატენტის“ მიერ მოსარჩელე კომპანიის სახელზე გაცემულ იქნა მოწმობა

№21722, რომლის საფუძველზეც დასტურდება კომპანიის განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშანზე „NIKAI“, რაც ამ უკანასკნელს უფლებას ანიჭებს, მესამე პირს მისი გამოყენება აუკრძალოს.

9. სარჩელის საფუძველები

9.1. სასაქონლო ნიშნის მფლობელმა კომპანიამ, 2013 წლის 1 მაისს, სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტური საქონლის მიმართ კომპანიის კუთვნილი №21722 სასაქონლო ნიშნის „NIKAI“-ს გამოყენების აკრძალვა და კონტრაფაქციული ტვირთის განადგურება.

9.2. მოსარჩელემ თავისი სასარჩელო მოთხოვნა წინამდებარე გადაწყვეტილების 1-8 პუნქტებში დასახელებულ გარემოებებს დააფუძნა.

10. მოპასუხის შესაგებელი

10.1. მოპასუხემ მის მიერ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელე უკანონოდ ფლობს „საქპატენტში“ 2011 წლის 23 აგვისტოს საქონლისა და მომსახურების კლასიფიკატორის მე-7, მე-9 და მე-11 კლასების მიმართ რეგისტრირებულ №21722 სასაქონლო ნიშანს „NIKAI“-ს. გარდა ამისა, საქმეში არ მოიპოვება მონაცემები, რომ მოპასუხე ინდემნარმემ სწორედ ამ სასაქონლო ნიშნით არსებული პროდუქცია შემოიტანა; არ არის ჩატარებული ექსპერტიზა და არ არის აღებული მხარის თანდასწრებით ტვირთის ნიმუშები. მოპასუხე უთითებს, რომ მისი ინფორმაციით ინდემნარმის მიერ იმპორტის რეჟიმში შემოტანილი პროდუქციის სასაქონლო ნიშანია არა „NIKAI“, არამედ – „PIKAI“.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

11.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კომპანიის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს აუკრძალა მოსარჩელის განცხადების საფუძველზე სსიპ „საქპატენტის“ მიერ 2011 წლის 23 აგვისტოს რეგისტრირებული №21722 სასაქონლო ნიშნის „NIKAI“-ს გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის კუთვნილი და 2013 წლის 30 მარტს შეჩერებული კონტრაფაქციული ტვირთის განადგურების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძველობის გამო.

11.2. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-6, 24-ე, 45-ე, სსკ-ის მე-4, 102-ე, 105-ე, 180-ე მუხლებით და განმარტა, რომ განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია, აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე, სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რო-

მელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.

11.3. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სარჩელზე დართული მტკიცებულებებით დასტურდებოდა იმ სასაქონლო ნიშნების, რომლებიც მოსარჩელე კომპანიის სახელზეა რეგისტრირებული და რომელთა გამოყენების განსაკუთრებული უფლებაც მას გააჩნია, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოპასუხის (ინდემნარმის) მიერ გამოყენება.

11.4. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე კომპანიის მიერ ვერ იქნა წარდგენილი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა მის მიერ მითითებულ გარემოებას, რომ სასაქონლო ნიშნის საქონლისგან გამოცალკევება შეუძლებელია, რის საფუძველზეც სასამართლომ არ გაიზიარა კომპანიის მოთხოვნა კონტრაფაქციული ტვირთის განადგურების შესახებ.

11.5. სასამართლომ განმარტა, რომ კომპანიამ სარჩელის საფუძველიანობა ნაწილობრივ დაასაბუთა, მოპასუხე მხარემ კი ვერ გააქარწყლა თავისი არგუმენტები და მათ სანინალმდეგოდ ვერ დაამტკიცა მოსარჩელის მოთხოვნის დაუსაბუთებულობა, ვერ წარადგინა მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილის უარყოფი მტკიცებულებები.

12. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

12.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა მოითხოვა სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და, ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

12.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან დგინდება, რომ მოსარჩელეს უნდა მიემართა საექსპერტო დანესებულებისთვის შეკითხვით: შეიძლებოდა თუ არა სადავო საქონელზე დატანილი სასაქონლო ნიშნის მოცილება. აპელანტის მტკიცებით, მსგავსი დაშვება საფუძველშივე მცდარია, არ არსებობს საქონელი და სასაქონლო ნიშანი, რომელთა განცალკევებაც შეუძლებელი იყოს ტექნიკური ან ქიმიური საშუალების გამოყენებით. ექსპერტიზის ჩატარება ამ საკითხზე ყოველგვარ აზრს მოკლებულია, რადგან ადამიანის ხელით დატანილი სასაქონლო ნიშნის მოცილება საქონლიდან ნებისმიერ შემთხვევაში შესაძლებელი. ეს საკითხი სასამართლომ შესაძლებელია სრულიად დამოუკიდებლად შეაფასოს, საექსპერტო დასკვნის გარეშე. აპელანტის მოსაზრე-

ბით იმ შემთხვევაში, როდესაც სასაქონლო ნიშანი საქონელზე უშუალოდ ქიმიური (ქიმიური საღებავი, ნებო) ან ტექნიკური საშუალებით (ამოტვიფრულია საქონელზე, ინტეგრირებულია, ჩასმულია საქონელში) არის დატანილი, საქონელი განადგურებას უნდა დაექვემდებაროს. რაც შეეხება იმგვარ შემთხვევებს, როდესაც საქონლიდან სასაქონლო ნიშნის მოცილება შესაძლებელია, დასაშვებია მწარმოებლებისადმი ასეთი მკაცრი მიდგომის არიდება.

12.3. აპელანტის მტკიცებით სასამართლომ არასწორად განმარტა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში არსებული ჩანაწერი: „თუ სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია“, რაც უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ განადგურებას უნდა დაექვემდებაროს ყველა საქონელი, რომელზედაც უშუალოდ და მყარად არის დატანილი სასაქონლო ნიშანი ქიმიური ან ტექნიკური საშუალების გამოყენებით და მათი განცალკევება შეუძლებელია მარტივი მანიპულაციით, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სასაქონლო ნიშანი საქონელზე დატანილია არამყარად და მისი მოცილება არ უკავშირდება ქიმიური და რთული ტექნიკური საშუალების გამოყენებას, შესაძლოა მოხდეს მათი გამოცალკევება და საქონელი განადგურებას არ დაექვემდებაროს.

13. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

13.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 აპრილის განჩინებით, სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

13.2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები და მათი სამართლებრივი შეფასება და მიუთითა მათზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში: სსსკ, 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). დადგენილად იქნა მიჩნეული ტვირთის კონტრაფაქციულობა, შესაბამისად, ინდემნარმეს აეკრძალა 2011 წლის 23 აგვისტოს საქპატენტში რეგისტრირებული №21722 სასაქონლო ნიშნის NIKAI-ს გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხეს კანონით დადგენილი წესით, ანუ სააპელაციო საჩივრის წარდგენის გზით, სადავოდ არ გაუხდია – შესაბამისად, მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ გაუსაჩივრებელ ნაწილში კანონიერ ძალაში შევიდა.

13.3. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოს არ გააჩნდა სპეციალური ცოდნა და 2016 წლის 14 აპრილის განჩინებით საქმეზე დაინიშნა ექსპერტიზა, ხოლო ექსპერტს გადასაწყვეტად დაესვა

შემდეგი კითხვა: შესაძლებელი იყო თუ არა მოპასუხის სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება, ნივთის დაუზიანებლად. მხარეებს დაევალოთ, უზრუნველყოთ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის მიყვანა სსიპ შემოსავლების სამსახურის გაფორმების დეპარტამენტის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში „თბილისი“. საქმე ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან შეუსრულებელი სახით დაბრუნდა სასამართლოში, იმ მოტივით, რომ ბიუროს წინადადების საფუძველზე საექსპერტო მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა მხოლოდ – მოპასუხემ, ხოლო აპელანტმა (მოსარჩელემ) უარი განაცხადა ხელშეკრულების გაფორმებაზე.

13.4. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სადავო საკითხის შეფასება სასამართლოს დამოუკიდებლად, საექსპერტო დასკვნის გარეშე, შეეძლო. სასამართლომ განმარტა, რომ დავის გადანყვეტისათვის გამოკვლევას ექვემდებარებოდა საკითხი იმის შესახებ, იყო თუ არა შესაძლებელი შემოსავლების სამსახურში ინდემნარმის (მოპასუხის) კუთვნილი დაკავებული (გაჩერებული) საქონლისაგან სასაქონლო ნიშნის იმგვარად განცალკევება, რომ საქონელი და სასაქონლო ნიშანი დარჩენილიყო დამოუკიდებელ ნივთებად, რაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვდა, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც საქმეს არ ერთვოდა სადავო საქონელი, რადგან ნივთები დაყადებული და განთავსებული იყო სსიპ შემოსავლების სამსახურის გაფორმების დეპარტამენტის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში; შესაბამისად, ექსპერტიზის დანიშვნის გარეშე, დაკავებული მოძრავი ნივთების ვიზუალური დათვალიერების გარეშე, სადავო საკითხის გადანყვეტა შეუძლებელი იყო, ამასთან, საქმეში მხოლოდ ელ.ხორცსაკეპის და „ჩოპერის“ ფოტოსურათებია წარდგენილი მაშინ, როდესაც სადავო 6 დასახელების და სხვადასხვა რაოდენობის ნივთი. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მარტოოდენ მოსარჩელის განმარტება, სპეციალური ცოდნის გარეშე, სადავო საკითხის გადანყვეტის შესახებ არამართებული იქნებოდა.

13.5. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, აპელანტმა ვერ უზრუნველყო მტკიცების ტვირთის რეალიზება, ხოლო სასამართლოს ინიციატივა, რომ სპეციალური ცოდნის გამოყენებით დაედგინა სადავო საკითხი, ვერ განხორციელდა, რადგან საქმე შეუსრულებელი სახით დაბრუნდა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან იმ მოტივით, რომ აპელანტმა (მოსარჩელემ) არ გააფორმა საექსპერტო მომსახურების ხელშეკრულება. ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა საქონლის განადგურების მოთხოვნის ნაწილში კომპანიის სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი წინაპირობა.

14. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

14.1. კომპანიამ საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 აპრილის განჩინება მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

14.2. საკასაციო საჩივარში მეორდება სააპელაციო საჩივარში გამოთქმული, წინამდებარე გადაწყვეტილების 12.2-12.3 ქვეპუნქტებში მითითებული პრეტენზიები.

15. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

15.1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 დეკემბრის განჩინებით კომპანიის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, რადგან დასახელებული საქმე მნიშვნელოვანია როგორც სამართლის განვითარებისათვის, ისე შეიცავს საპროცესო ხასიათის დარღვევებს, კერძოდ, საქმეზე მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილებას შედეგად მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა მიერ წარდგენილი პოზიციებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

16. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით კასატორს დასაბუთებული საკასაციო შედავება აქვს წარმოდგენილი.

17. პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტობრივი გარემო-

ებების დადგენა: მოსარჩელე კომპანიის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების გამოყენების განსაკუთრებული უფლება მოსარჩელეს გააჩნია, რაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გამოიყენებოდა მოპასუხის (ინდემნარმის) მიერ, შესაბამისად, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-6, 24-ე, 45-ე, სსკ-ის მე-4, 102-ე, 105-ე, 180-ე მუხლების თანახმად, განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია, აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე, სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.

18. სადავო არაა, რომ სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილი (ინდემნარმის მიერ საქართველოში შემოტანილი ტვირთის კონტრაფაქციულობის შესახებ) მოპასუხეს სააპელაციო წესით სადავოდ არ გაუხდია და ამ ნაწილში მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.

19. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხე ინდემნარმემ იმპორტის გზით შემოიტანა კონტრაფაქციული ტვირთი, ამდენად, საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში შესამონმებელია სასარჩელო მოთხოვნის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც კონტრაფაქციული ტვირთის განადგურებას ეხება. ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს მოპასუხე ინდემნარმის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში ასახულ პოზიციაზე, სადაც მოპასუხე არა მტკიცების ფორმით, არამედ ზოგადად აღნიშნავს, რომ მისი ინფორმაციით, ინდემნარმის მიერ იმპორტის რეჟიმში შემოტანილი პროდუქციის სასაქონლო ნიშანია არა „NIKAI“, არამედ – „PIKAI“; ასევე, მოპასუხე უთითებს, რომ საქმეში არ მოიპოვება მონაცემები, რომ მოპასუხე ინდემნარმემ სწორედ ამ სასაქონლო ნიშნით არსებული პროდუქცია შემოიტანა, რადგან არ არის ჩატარებული ექსპერტიზა და არ არის აღებული მხარის თანდასწრებით ტვირთის ნიმუშები. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხის ამგვარი შედავების პირობებში, როდესაც ის არა კონკრეტული მტკიცებულებების საფუძველზე, არამედ მის ხელთ არსებული ინფორმაციის სახით აცხადებს პრეტენზიას, რომ მან შემოიტანა პროდუქცია სასაქონლო ნიშნით „PIKAI“ და არა – „NIKAI“, მხარის პოზიცია არაა დამაჯერებელია და არ აკმაყოფილებს მტკიცების სტანდარტს, რადგან მისივე ინტერესებში იყო, დაედასტურებინა, რომ არა კომპანიის კუთვნილი სასაქონლო ნიშნით, არამედ სულ სხვა სასაქონლო ნიშნით შემოიტანა საქონელი საზღვარზე. მოპასუხეს, გარდა წერილობითი მითითებისა, სხვა სახის მტკიცებულება არ

წარუდგენია, ამასთან, სააპელაციო წესითაც კი არ გაუხდია სადავოდ მის მიერ შემოტანილი საქონლის კონტრაფაქციულობა, ისევე, როგორც არც კი უცდია საკუთარი მოსაზრება წარედგინა საქონელზე დატანილი ნიშნების გამოცალკევების შესახებ, მარტოოდენ თანხმობის გაცემა ექსპერტიზის ჩატარებაზე მოცემულ შემთხვევაში არ არის საკმარისი, რადგან რომელ მხარეს რისი დამტკიცება ევალება, ეს საკითხია შესაფასებელი. აქედან გამომდინარე, მოპასუხის მიერ შემოტანილი კონტრაფაქციული საქონლის განადგურების სასარჩელო მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომელიც წინამდებარე გადაწყვეტილების 13.3-13.5 ქვეპუნტებშია ასახული და განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე კომპანიას სრულიად უმართებულოდ დაეკისრა მტკიცების ტვირთი.

20. მოსარჩელის პირველი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება წარმოშობს მეორე მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობას, რადგან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ფაქტი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს წარმოეშვას საკუთარი „ქონების“ დაცვის უფლება. ის გარემოება, რომ სასაქონლო ნიშანი (სპეციალური კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან“) მოსარჩელე კომპანიას კანონით დადგენილი წესით აქვს რეგისტრირებული სადავო არაა. ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრაციის მომენტიდან სასაქონლო ნიშანი (სპეციალური კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე: „1. რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან. 2. განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის: ა) იდენტურია და საქონელიც იდენტურია; ბ) იდენტურია, ხოლო საქონელი იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა; გ) მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა; დ) იდენტური ან მსგავსია და დაცულია სასაქონლო ნიშნის საქართველოში კარგი რეპუტაციის გამო, ამ ნიშნის გამოყენება მესამე პირს დაუშვასურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან მის განმასხვავებელუნარიან-

ნობას“) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცულ „ქონებას“ განეკუთვნება და მასზე ვრცელდება საკუთრების დაცვის სამართლებრივი რეჟიმი განმარტებულია როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ისე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაშიც (იხ. სუსგ №ას-1285-1223-2014, 01.12.2015).

21. კონტრაფაქციული საქონლის განადგურების შესახებ მოთხოვნის მართებულობის გადასაწყვეტად იმ გარემოებაზე მითითება, რომ მოსარჩელემ არ გააფორმა ხელშეკრულება საექსპერტო დანესებულებასთან, რის გამოც შეუსრულებელი დაბრუნდა ექსპერტიზა, არ არის გასაზიარებელი, რადგან საკასაციო სასამართლოს შეფასებით, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე ითხოვს კონტრაფაქციული საქონლის განადგურებას, ხოლო მოპასუხე თუკი დაინტერესებულია საქონლის შენარჩუნებით, რომელსაც გამოიყენებს მოსარჩელის კუთვნილი დაცული სასაქონლო ნიშნის მოცილების პირობებში, რაც არ გამოიწვევს კონკრეტული წარმოების საქონლის სხვა საქონელთან აღრევას, აქედან გამომდინარე კი – საქონლის პოტენციური მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას, მოპასუხეზე გადანაწილება მტკიცების ტვირთი, რომლითაც ეს უკანასკნელია ვალდებული, ამტკიცოს მისთვის ხელსაყრელი და სასარგებლო გარემოება, კერძოდ ის, რომ უკანონოდ გამოყენებული სასაქონლო ნიშნის მოცილება (საქონლისაგან განცალკევება) შესაძლებელია. სწორედ მოპასუხეა ვალდებული, მისთვის სასარგებლო გარემოება დაამტკიცოს და სადავო სამართალურთიერთობიდან მისთვის (მოპასუხისათვის) შედარებით უკეთესი გამოსავალი გამოიხატოს, რათა უკანონოდ გამოყენებული სასაქონლო ნიშნის გამოცალკევებით შეძლოს საქონლის განკარგვა. იმ მიზნით, რომ დადგინდეს, შესაძლებელია თუ არა საქონლისაგან სპეციალური ნიშნის განცალკევება, მოსარჩელისათვის, რომლის სასაქონლო ნიშანი უკანონოდ იქნა გამოყენებული, ექსპერტიზის ჩატარების დავალდებულება სრულიად დაუსაბუთებელია და არ განეკუთვნება მოსარჩელის მტკიცების საგანს.

22. საკასაციო სასამართლო იმასაც აღნიშნავს, რომ კონტრაფაქციული საქონლის გამოყენება ეწინააღმდეგება მომხმარებლის უფლებასაც, რადგან უმნიშვნელოვანესია, რომ პირი, რომელიც დაინტერესებულია (ან მომავალში დაინტერესდება, რადგან მომხმარებლად განიხილება პოტენციური მომხმარებელიც) ამა თუ იმ საქონლის შექმნით, ზედმინევით ფლობდეს ინფორმაციას საქონლის მწარმოებლის, ხარისხისა და სხვა ისეთი თვისებების შესახებ, რაც მას დაეხმარება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში, შეიძინოს თუ არა ესა თუ ის საქონელი.

23. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასაქონლო ნიშ-

ნის მფლობელი იცავს თავის საკუთრებას, მათ შორის, კონტრაფაქციული საქონლის განადგურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნით. კონტრაფაქციული საქონლის შენარჩუნებითა და, უკანონოდ დატანილი სასაქონლო ნიშნის გამოცალკევების გზით, საქონლის სამომხმარებლო ბაზარზე, სამოქალაქო ბრუნვაში გაშვებით დაინტერესებული პირია არა მოსარჩელე, არამედ – მოპასუხე, რომელსაც თვითონ უნდა წარედგინა უკანონოდ გამოყენებული სასაქონლო ნიშნის გამოცალკევების შესაძლებლობის შესახებ მტკიცებულება (შესაგებელში ასეთი მითითების არქონის შემთხვევაში, სასამართლოს წინაშე შესაბამისი შუამდგომლობის წარდგენის გზით სათანადო საპროცესო ეტაპზე) სასამართლოსათვის, რათა გამოერიცხა კონტრაფაქციული საქონლის განადგურების აუცილებლობა და შეენარჩუნებინა ისეთი საქონელი, რომლის მიმოქცევაში გაშვება შესაძლებელი იქნებოდა და, სამოქალაქო ბრუნვის თვალსაზრისით, საქონელი არც მომხმარებლისათვის იქნებოდა შეცდომაში შემყვანი.

24. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ. მოცემულ საქმეზე მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრის პირობებში, რაც არ უკავშირდება ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საჭიროებას და არც საქმის ხელახლა განსახილველად სასამართლოსათვის დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობებია გამოვლენილი, ამასთან, მოპასუხეს (კრედიტორის მოვალეს) სააპელაციო წესითაც კი არ გაუსაჩივრებია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული და დადგენილია მოპასუხე ინდემნარმის მიერ შემოტანილი საქონლის კონტრაფაქციულობა, შესაბამისად, საკმარისი საფუძველი არსებობს სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილის დასაკმაყოფილებლად, რომელიც კონტრაფაქციულად ცნობილი საქონლის (ტვირთის) განადგურებას ეხება (იხ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი).

25. სსსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციული სახელმწიფო ბაჟის გადახდა მოპასუხეს დაეკისრება კასატორის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 264.3, 254-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანია „ნ.გ.ფ-ოს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. კომპანია „ნ.გ.ფ-ოს“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. მოპასუხეს – ი/მ ა. მ-ს დაევალოს, საკუთარი ხარჯით გაანადგუროს, შემოსავლების სამსახურის გაფორმების დეპარტამენტის 2013 წლის 30 მარტის №21-09-441 ბრძანებაში – ი/მ ა. მ-ის მიერ შემოტანილი საქონლის შეჩერების შესახებ – დასახელებული კონტრაფაქციული საქონელი;
5. მოპასუხე ვალდებულია, სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში მითითებული მოქმედება შეასრულოს ამ გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთ თვეში. თუ ი/მ ა. მ-ი საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ შეასრულებს მითითებულ ვადაში, კომპანია „ნ.გ.ფ-ოს“ უფლება აქვს ეს მოქმედება შეასრულოს მოპასუხისაგან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებით;
6. კომპანია „ნ.გ.ფ-ოს“ სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ პირველი, მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება დაეკისროს ი/მ ა. მ-ს;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული კონტრაფაქციული
საქონლის განადგურება**

**განჩინება
საქართველოს სსრ-ში**

№ას-1637-2018

25 ოქტომბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
მ. ერემაძე**

დავის საგანი: სარჩელში: სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა; კონტრაფაქციული საქონლის განადგურება; შეგებებულ სარჩელში: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

შპს „H. B. B. V.“-მ (პ.ბ. ბ.ვ.) (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“ ან „შეგებებული სარჩელით მოპასუხე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „კ-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“, „შეგებებული სარჩელით მოსარჩელე“ ან „კასატორი“) მიმართ და მოითხოვა:

1.1. მოპასუხისთვის სასაქონლო ნიშან „HEINEKEN“-ით ნიშანდებული კონტრაფაქციული ლუდის იმპორტისა და სამოქალაქო ბრუნვაში შეტანის აკრძალვა;

1.2. მოპასუხისთვის მის მიერ შემოტანილი პროდუქციის, სასაქონლო ნიშან „HEINEKEN“-ით ნიშანდებული ლუდის განადგურების დავალეზა.

2. სარჩელის საფუძვლები:

2.1. მოსარჩელე ფლობს განსაკუთრებულ უფლებას სასაქონლო ნიშან „HEINEKEN“-ზე, რომელიც რეგისტრირებულია საბაჟო დეპარტამენტის 13.11.2014 წლის №47087 ბრძანების საფუძველზე სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრში.

2.2. მოპასუხემ შემოიტანა სასაქონლო ნიშან „HEINEKEN“-ით ნიშანდებული ლუდი (44 352 ცალი 0.33-ლიტრიან ბოთლში და 48 000 0.33-ლიტრიან ქილაში). შემოტანილი საქონელი არის კონტრაფაქციული. ლუდის ქილებიდან და ბოთლიდან სასაქონლო ნიშნის განცალკევება არის

შეუძლებელი. გარდა ამისა, ლუდის ბოთლებს აქვს განსაკუთრებული დიზაინი, რომელიც მისი მწარმოებლის ინტელექტუალური საკუთრებაა. აღნიშნულის გამო, მოსარჩელის განსაკუთრებული უფლების დაცვის ერთადერთი საშუალება პროდუქციის განადგურებაა.

3. მოპასუხის პოზიცია:

3.1. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მან ნამდვილად შემოიტანა სასაქონლო ნიშან „HEINEKEN“-ით ნიშანდებული ლუდი, მაგრამ იგი არ არის კონტრაფაქციული. პროდუქცია დამზადებულია თავად მოსარჩელის მიერ და მასზე სასაქონლო ნიშანი მოთავსებულია კანონიერად.

3.2. მოპასუხემ აღნიშნული პროდუქცია შეიძინა ლეგიტიმური გარეგნის საფუძველზე გერმანიის რეზიდენტი კომპანია „P.A.G“-სგან. პარალელური იმპორტი საქართველოს ტერიტორიაზე ნებადართულია.

4. შეგებებული სარჩელის მოთხოვნა:

მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა მოსარჩელის მიმართ და მოითხოვა შეგებებული სარჩელით მოპასუხისთვის შეგებებული სარჩელით მოსარჩელის სასარგებლოდ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის – 168 769 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის – 22 257 ლარის გადახდის დაკისრება.

5. შეგებებული სარჩელის საფუძველები:

5.1. მოსარჩელის განცხადების საფუძველზე სასამართლოს განჩინებით ყადაღა დაედო მოპასუხის მიერ შემოტანილ სასაქონლო ნიშან „HEINEKEN“-ით ნიშანდებულ 44 352 ბოთლ და 48 000 ქილა ლუდს. აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა, ვინაიდან მოსარჩელემ სასამართლოს მიერ დადგინებულ ვადაში არ განახორციელა მოპასუხისთვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

5.2. უზრუნველყოფის მოხსნისთვის საჭირო პროცედურებისა და დროის გათვალისწინებით ვერ მოხერხდა ყადაღამოხსნილი პროდუქციის რეალიზაცია, რადგან მას გაუვიდა ვარგისიანობის ვადა. პროდუქციის რეალიზაციის შემთხვევაში, მოპასუხე მიიღებდა 168 769 ლარის შემოსავალს. აღნიშნული თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებით კი – სარგებლის სახით მიიღებდა 22 257 ლარს. ამ ზიანის ანაზღაურება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უნდა დაეკისროს მოსარჩელეს.

6. შეგებებული სარჩელით მოპასუხის პოზიცია:

შეგებებული სარჩელით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მის მიერ აღძრული სარჩელი საფუძვლიანია, რაც გამორიცხავს უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 19.12.2017 წლის გადაწყვეტილებით – სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს აეკრძალა სასაქონლო ნიშან „HEINEKEN“-ით ნიშანდებული კონტრაფაქციული ლუდის იმპორტი და სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა; მოპასუხეს დაევალა მის მიერ შემოტანილი პროდუქციის, კერძოდ, სასაქონლო ნიშან „HEINEKEN“-ით ნიშანდებული ლუდის (44 352 ცალი 0,33-ლიტრიან ბოთლში და 48 000 ცალი 0,33-ლიტრიან ქილაში) განადგურება; შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგს:

7.1. მოსარჩელე ფლობს განსაკუთრებულ უფლებას სასაქონლო ნიშანზე „HEINEKEN“, რომელიც რეგისტრირებულია საბაჟო დეპარტამენტის 13.11.2014 წლის №47087 ბრძანების საფუძველზე სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრში.

7.2. მოსარჩელის ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში არის შპს „თ. თ.“, მხარეთა შორის გაფორმებული ექსკლუზიური დისტრიბუციის ხელშეკრულების თანახმად.

7.3. მოსარჩელე 24.10.2014 წლის მინდობილობით შპს „თ. თ.-ს“ ანიჭებს უფლებამოსილებას, დაიცვას მისი ინტელექტუალური საკუთრება, მათ შორის იმოქმედოს მარწმუნებლის სასაქონლო ნიშნების ექსპერტის სახით, გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისა და სასამართლოსთვის მიმართვის გზით.

7.4. მოპასუხეზე შემოიტანა სასაქონლო ნიშან „ჰეინეკენით“ ნიშანდებული ლუდი (44 352 ცალი 0,33-ლიტრიან ბოთლში და 48 000 0,33-ლიტრიან ქილაში). აღნიშნულის შესახებ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტმა შეტყობინა შპს „თ. თ.-ს“.

7.5. მოპასუხის მიერ შემოტანილ სასაქონლო ნიშან „HEINEKEN“-ით ნიშანდებული 44 352 ცალი 0,33-ლიტრიანი ლუდის ბოთლებიდან და 48 000 0,33-ლიტრიანი ლუდის ქილებიდან სასაქონლო ნიშნის განცალკევება არის შეუძლებელი. ლუდის ქილებსა და ბოთლზე ნიშანი დატანილია იმგვარად, რომ სასაქონლო ნიშანი ფაქტობრივად ვერ მოსცილდება.

7.6. სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მოსარჩელის 04.05.2015 წლის განცხადების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 05.05.2015 წლის განჩინებით ყადაღა დაედო მოპასუხის მიერ შემოტანილ სასაქონლო ნიშან „HEINEKEN“-ით ნიშანდებულ 44 352 ცალ 0,33-ლიტრიან ბოთლ და 48 000 0,33-ლიტრიან ქილა ლუდს, რომელიც საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე განთავსებული

იყო მოპასუხის საწყობში რეგისტრაციის ნომრებით – 47087 (HEINEKEN).

7.7. მოპასუხის 13.05.2015 წლის განცხადების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 08.06.2015 წლის განჩინებით მოსარჩელეს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში მოპასუხისთვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე 187 672 ლარის განთავსების ან ამ ოდენობის ფასიანი ქალაქის შეტანის გზით ან საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის ან თავდებობის წარმოდგენით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.07.2015 წლის განჩინებით გაუქმდა 05.05.2015 წლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. აღნიშნული განჩინება ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28.10.2015 წლის განჩინებით.

7.8. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 28.03.2017 წლის ექსპერტიზის №001638517 დასკვნის თანახმად, მოპასუხის საწყობში წარმოდგენილი პროდუქციის გამოკვლევით დადგინდა, რომ ორივე სახეობის ტარით (მინის ბოთლი და ლითონის ქილა) წარმოდგენილ ლუდის პარტიებს გასული აქვთ ვარგისიანობის ვადა. 46 723 ლითონის ქილაში ჩამოსხმულ ლუდს წარწერით: „HEINEKEN“, Heineken LAGER BEER PREMIUM QUALITY. Cont e 33 d-330 ml-11.1FLOZZ alc 5% vol“, მასზე დატანილი მარკირების შესაბამისად, ვარგისიანობის ვადა განსაზღვრული აქვს 2016 წლის თებერვლამდე. 27 491 ცალ მინის ბოთლებში ჩამოსხმულ ლუდს წარწერით: „HEINEKEN“, Heineken LAGER BEER PREMIUM QUALITY. Cont 33 d-330 ml-11.1FLOZZ alc 5% vol“, მასზე დატანილი მარკირების შესაბამისად, ვარგისიანობის ვადა განსაზღვრული აქვს 2016 წლის მარტამდე.

7.9. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 29.03.2017 წლის №001712917 დასკვნის თანახმად, მოპასუხე „Heineken“-ის მარკის 74 214 (27 491 ცალი 0,33 მლ. ბოთლის ლუდი და 46 723 ცალი 0.33 მლ. ქილის ლუდი) ერთეული ლუდის რეალიზაციის შემთხვევაში მიიღებდა 168 769 ლარის ოდენობის შემოსავალს, ხოლო აღნიშნული თანხის 01.09.2015 წლიდან 28.02.2017 წლის ჩათვლით, სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებით, კომპანია სარგებლის სახით საორიენტაციოდ მიიღებდა 22 257 ლარს.

7.10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.12.2015 წლის №ას-1285-1223-2014 გადაწყვეტილებით, უზენაესი სასამართლო ადგენს მტკიცების ტვირთის განაწილების წესს საქონლის კონტრაფაქციულობასთან დაკავშირებულ დავებში. მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების არსებობა, მონინააღმდეგე მხარის იდენტიურ ან მსგავს საქონელზე სასაქონლო ნიშნის გა-

მოყენების ფაქტი, რის შემდეგადაც მტკიცების ტვირთი გადადის მოპასუხეზე, რომელმაც უნდა დაამტკიცოს, რომ საქონელი არ არის კონტრაფაქციული. ამასთან, უნდა მიუთითოს, თუ რა ფორმით მისცა მას განსაკუთრებული ნიშნის მფლობელმა ნებართვა სასაქონლო ნიშნის გამოსაყენებლად.

7.11. მოცემულ შემთხვევაში, უდავოდ არის დადგენილი მოსარჩელის სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების არსებობა და მონინალმდევე მხარის მიერ სასაქონლო ნიშნის გამოყენების ფაქტი. შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია, დაადასტუროს, რომ ზემოაღნიშნული პროდუქცია არ წარმოადგენს კონტრაფაქციულ საქონელს. მოპასუხეს აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია. სასამართლო ვერ გაიზიარებს მხოლოდ მოპასუხის სიტყვიერ მითითებას აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხის მიერ შემოტანილი სასაქონლო ნიშან „ჰინეკენით“ ნიშანდებული ლუდი (44 352 ცალი 0,33-ლიტრიან ბოთლში და 48 000 0,33-ლიტრიან ქილაში) კონტრაფაქციული საქონელია. სასამართლომ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, მეექვსე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით. სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნები საფუძვლიანია და მოსარჩელე უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოპასუხეს, „სასაქონლო ნიშნის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, მისი უფლების დამრღვევი ქმედების შეწყვეტა და საქონლის განდგურება.

7.12. სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა განსახილველ საქმეში გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზიანის – 168 769 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის სახით 22 257 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ იყო უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. სასამართლომ მიუთითა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილით (თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადანყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ ამ კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად) განსაზღვრული ნინაპირობები არ არსებობდა.

8. გადანყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძველები:

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 27.06.2018 წლის განჩინებით – მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადანყვეტილება. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და მათ სამართლებრივ შეფასებებს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის/მოპასუხის მოსაზრება, რომ მის მიერ საქართველოში შემოტანილი სასაქონლო ნიშან „ჰეინეკენით“ ნიშანდებული ლუდი (44 352 ცალი 0,33-ლიტრიან ბოთლში და 48 000 ცალი 0,33-ლიტრიან ქილაში) არ არის კონტრაფაქციული საქონელი, არამედ წარმოადგენს პარალელურ იმპორტს საქართველოს ტერიტორიაზე. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სადავო საქონლის გადაადგილების სერტიფიკატზე მითითება სასაქონლო ნიშნის უნებართვოდ გამოყენების პრეზუმფციის საპირისპირო და გამაქარწყლებელ მტკიცებულებად ვერ განიხილება და არ წარმოადგენს სადავო სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლების დამადასტურებელ მტკიცებულებას. იმ პირობებში, როდესაც მოპასუხის მიერ შესაბამისი მტკიცებულებებით ვერ გამოირიცხა საქონლის კონტრაფაქციულობის პრეზუმფცია, საფუძველს მოკლებულია მისი მოსაზრება პარალელური იმპორტის აკრძალვის რისკებზე.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძველი:

10. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება, მტკიცებულების დართვაზე უარის თქმის შესახებ ამავე სასამართლოს 30.05.2018 წლის საოქმო განჩინების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება. საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგს:

10.1. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არ გამიჯნეს კონტრაფაქციულობისა და საქართველოში პარალელური იმპორტის სამართლებრივი წინაპირობები. ევროპული კომისიის განმარტების თანახმად, პარალელურ იმპორტს ადგილი აქვს, როდესაც ერთი წევრი სახელმწიფოდან ხდება საქონლის იმპორტი მეორე სახელმწიფოში და საქონელი მიწოდებულია მწარმოებლის ოფიციალური მიწოდების არხების მიღმა. პარალელური იმპორტი ნებადართულია იმ მომენტი-

დან, როდესაც პროდუქტი იყიდება იმპორტის განხორციელების ქვეყანაში – პარალელურ იმპორტიორს შესაბამისად შეუძლია, იყიდოს საქონელი ერთ ქვეყანაში და გაყიდოს სხვა ქვეყანაში. ამგვარი გადანყვეტილებით სასამართლომ ფაქტობრივად აკრძალა პარალელური იმპორტი საქართველოს ტერიტორიაზე.

10.2. სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ მოპასუხის მიერ შემოტანილი საქონელი კონტრაფაქციულია. სასამართლომ არ შეაფასა გარემოება მასზე, რომ სადავო საქონელი წარმოებულია ევროკავშირის ტერიტორიაზე, მოპასუხემ იგი მიიღო გერმანელი ექსპორტიორისგან – „PDM ADVISER GMBH“-სგან.

10.3. სააპელაციო სასამართლომ საქმეს არ დაურთო მოპასუხის მიერ წარდგენილი საქმის სწორად გადანყვეტისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები მასზე, რომ პროდუქცია კონტრაფაქციული არ არის. მოპასუხეს საკუთარი კონტრაქტორისგან პასუხის მიღებისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოში დამატებითი დროის განსაზღვრაზე შუამდგომლობის დაყენება არ შეეძლო, რადგან მასთან უკუკავშირი არ ყოფილა. მოპასუხისთვის უცნობი იყო, ჰქონდა თუ არა საერთოდ ამ კომპანიას საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. საპროცესო ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეს ამგვარი უსაფუძვლო შუამდგომლობა არ დაუყენებია, თუმცა, როგორც კი მიიღო საფოსტო გზავნილი, მტკიცებულებები წარადგინა სასამართლოში.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

12. სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

13. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოდგენილი არ არის.

14. საკასაციო საჩივრის ობიექტია სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხისთვის სასაქონლო ნიშან „HEINEKEN“-ით ნიშანდებული კონტრაფაქციული ლუდის იმპორტის, სამოქალაქო ბრუნვაში შეტანის აკრძალვისა და შემოტანილი პროდუქციის განადგურების დავალების, ასევე – ზიანის ანაზღაურების თაობაზე შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. კასატორი არ ეთანხმება მის მიერ შემოტანილი საქონლის კონტრაფაქციულობის თაობაზე სასამართლოს დასკვნას.

15. „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად (23.06.1999 წლის №2159-III ს.კანონის დავის წარმოშობისას მოქმედი რედაქციით), კონტრაფაქციული პროდუქცია ნებისმიერი საქონელი, მათ შორის, შესაფუთი საქონელი, რომელზედაც უნებართვოდაა მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონლო ნიშანი, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისაგან, და, აქედან გამომდინარე, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს.

16. ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საქონლის კონტრაფაქციულად მიჩნევისათვის უნდა დაკმაყოფილდეს რამდენიმე პირობა: 1) საქონელი უნდა იყოს იმ საქონლის იდენტური ან მსგავსი (შედიოდეს იმ საქონლის ჩამონათვალში), რომლის მიმართაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი; 2) საქონელზე მოთავსებული უნდა იყოს ამ საქონელთან დაკავშირებით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშანი; 3) იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშანი მოთავსებული უნდა იყოს უნებართვოდ (სუსგ №ას-286-2021, 12.11.2021წ., პუნ. 21; №ას-1285-1223-2014, 01.12.2015წ., პუნ. 87).

17. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია სასაქონლო ნიშან „HEINEKEN“-ზე მოსარჩელის განსაკუთრებული უფლების არსებობა და

მოპასუხის მიერ სასაქონლო ნიშნის გამოყენების ფაქტი. შესაბამისად, მოპასუხეს უნდა დაედასტურებინა ის გარემოება, რომ მითითებული პროდუქცია კონტრაფაქციული არ იყო დამოსარჩელის სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება ჰქონდა (საქონლის კონტრაფაქციულობის მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით შდრ: სუსგ №ას-1285-1223-2014, 01.12.2015წ. პუნ. 93-98). ისეთ პირობებში, როცა მოპასუხის მხრიდან სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებების დარღვევის ვარაუდის საფუძველზე შეჩერდა შემოსავლების სამსახურის მიერ სადავო საქონლის გაფორმების პროცედურები და თავად მოსარჩელე ინფორმირების მომენტიდანვე უარყოფს სადავო საქონლის მის მიერ წარმოების ფაქტს, სწორედ მოპასუხის მტკიცების ტვირთი იყო იმის დადასტურება, რომ პროდუქცია არ იყო კონტრაფაქციული. საქონლის გადაადგილების სერტიფიკატი სადავო სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლების დამადასტურებელ მტკიცებულებას არ წარმოადგენს და კონტრაფაქციულობის გამოსარიცხად საკმარისი არ არის.

18. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალული არ არის დაცული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული ისეთი პროდუქციის იმპორტი, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილია ამ ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირის მიერ ან მისი ნებართვის საფუძველზე.

19. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუკრძალოს მესამე პირს ამ დაცული სასაქონლო ნიშნის გამოყენება ისეთ საქონელზე, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი იქნა უშუალოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვის საფუძველზე. ეს წესი არ მოქმედებს, თუ საქონლის თვისებები შეიცვალა, ხარისხი გაუარესდა ან არსებობს ამ აკრძალვისათვის სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი.

20. ერთ-ერთ საქმეში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პროდუქციის მწარმოებელი კომპანიისაგან, მისი დისტრიბუტორისაგან (მით უფრო რამდენჯერმე გადაყიდვის შემთხვევაში) პროდუქციის შექმნა შემდგომი რეალიზაციის მიზნით არ ნიშნავს იმას, რომ მყიდველმა შექმნა პროდუქცია; ამ გზით, რაც მართლზომიერია, შექმნილი პროდუქციის გაყიდვა არ ნიშნავს, რომ სადავო საქონლის მყიდველმა, რომელიც შემდეგ იმავე საქონელს ყიდის, სასაქონლო ნიშნის განსაკუთრებული უფლების მქონე პირის უფლება არამართლზომიერად გამოიყენა (სუსგ №ას-286-2021, 12.11.2021წ.). ამავე საქმეში საკასაციო პალატამ დაადგინა, რომ სამოქალაქო ბრუნვაში მოსარჩელე კომპანიის დისტრიბუტორის მიერ მესამე პირზე გასხვისებული საქონელი, როგორც ორიგინალი პროდუქცია, საბოლოოდ მოპასუხე კომპანიამ შეიძინა და საქარ-

თველოში შემოიტანა. პროდუქცია პალატამ კონტრაფაქციულად არ მიიჩნია და განმარტა, რომ მოპასუხე კომპანიას უნებართვოდ კი არ გამოუყენებია მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშანი, არამედ მარტივი სავაჭრო ოპერაცია კანონიერად განახორციელა – იყიდა საქონელი შემდგომი გაყიდვის მიზნით (სუსგ №ას-286-2021, 12.11.2021წ.).

21. იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ პროდუქცია ორიგინალია, სწორედ იმპორტიორმა უნდა განიოს. მოპასუხემ სათანადო მტკიცებულებებით უნდა დაადასტუროს, რომ მან შეიძინა და საქართველოში შემოიტანა არა კონტრაფაქციული (სხვა პირის მიერ წარმოებული და მოსარჩელის სასაქონლო ნიშნით მარკირებული), არამედ ორიგინალი, მოსარჩელის მიერ წარმოებული საქონელი.

22. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადანყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობა. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. ამრიგად, სასამართლო ვერ გადანყვეტს ვერცერთ სამოქალაქო საქმეს, თუ მან წინასწარ არ დაადგინა გარკვეული ფაქტები. ეს ფაქტები დგინდება უმთავრესად დამტკიცების გზით, შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით (სუსგ №ას-948-2021, 17.12.2021წ., პ. 67). სასამართლო მტკიცების პროცესი – ესაა საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ მხარეები და სასამართლო იმ ფარგლებში და წესით, რომლებიც განსაზღვრულია კანონით. მხარეები წარუდგენენ სასამართლოს მტკიცებულებებს იმ ფაქტების დადასტურების მიზნით, რომლებზეც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებელს. სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობისა და განკუთვნიადობის პრინციპების დაცვით იღებს ამ მტკიცებულებებს და აფასებს მათ თავისი შინაგანი რწმენით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო მტკიცების პროცესის სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ყველა მათგანის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისაკენ – გაირკვეს სიმართლე, დადგინდეს საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები (სუსგ №ას-100-2021, 27.05.2021წ.).

23. სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასა-

ბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მონმეთაჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადანონის და მხარისათვის არახელსაყრელ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს (სუსგ №ას-1465-2020, 18.03.2021წ., პ.48). მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მის მიერ შემოტანილი საქონელი მოსარჩელის მიერ იყო წარმოებული.

24. ამრიგად, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და 45-ე მუხლების შესაბამისად, მართებულად დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნები მოპასუხისთვის სასაქონლო ნიშან „HEINEKEN“-ით ნიშანდებული კონტრაფაქციული ლუდის იმპორტის, სამოქალაქო ბრუნვაში შეტანის აკრძალვისა და შემოტანილი პროდუქციის განადგურების დავალების შესახებ (შდრ. სუსგ №ას-1285-1223-2014, 01.12.2015წ; №ას-718-686-2016, 03.10.2016წ; №ას-936-901-2016, 16.01.2019წ; №ას-1709-2019, 04.11.2021წ.).

25. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრულ შეგებებულ სარჩელს, საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნას, სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული წინაპირობების არარსებობის გამო, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, კერძოდ, პირვანდელი სარჩელის დაკმაყო-

ფილების კანონიერება გამორიცხავს მისი უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ღონისძიების გაუმართლებლობას.

26. სსსკ-ის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. კასატორი ასაჩივრებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.05.2018 წლის საოქმო განჩინებას, რომლითაც, სსსკ-ის 380.2 მუხლზე დაყრდნობით, არ დაკმაყოფილდა საქმეზე მტკიცებულების დართვის თაობაზე მოპასუხის შუამდგომლობა.

27. სამოქალაქო პროცესი აგებულია რა შეჯიბრებითობის პრინციპზე, მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრებს თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელ საპროცესო მოვალეობებს, რომელთა შეუსრულებლობა ინვესს ამავე მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს. ეს დანაწესი განმტკიცებულია სსსკ-ის მე-4 მუხლით, რომლითაც მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ, განსაზღვრონ ფაქტები თავიანთი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის დასასაბუთებლად და თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. სსსკ-ის 219-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული. სსსკ-ის 380-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

28. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, განკარგოს თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამ პრინციპზეა აგებული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვა თვით დაინტერესებული პირის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. მისი ნების გარეშე არავის აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს. მხარეები თვითონ წარუდგენენ სასამართლოს მტკიცებულებებს. ისინი თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ

მოთხოვნებს ან რომელიმე მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამასთან, ეს მტკიცებულებები საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით უნდა იქნეს სასამართლოსათვის წარდგენილი. სასამართლო არ გაითვალისწინებს ახალ გარემოებებს, არ მიიღებს არავითარ მტკიცებულებებს, ანგარიშს არ გაუწევს ახალ მოსაზრებებს, თუ საპატიო მიზეზის გარეშე არ იყო წარდგენილი თავის დროზე, ესე იგი ამ საქმის მომზადების სტადიაზე. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ახალი მტკიცებულებები შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საპატიო მიზეზით მხარემ ვერ წარადგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას (სუსგ №ას-816-767-2015, 19.11.2015წ; №ას-14-2020, 28.05.2020წ.).

29. მოცემულ შემთხვევაში, კასატორს გასაჩივრებულ საოქმო განჩინებასთან დაკავშირებით დასაბუთებული შედეგება არ წარმოუდგენია. მტკიცებულების პირველი ინსტანციის სასამართლოში წარუდგენლობის საპატიო მიზეზი არ დასტურდება. კასატორის განმარტებით, მტკიცებულებების, რომელთა დართვაც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მოითხოვა, წარმოსადგენად სასამართლოს წინაშე დამატებითი დროის განსაზღვრაზე არ უშუამდგომლია. აღნიშნულს კასატორი საპროცესო ეკონომიის პრინციპზე მითითებით ხსნის, რაც სსსკ-ის 215-ე მუხლით გათვალისწინებულ საპატიო მიზეზად ვერ განიხილება. როგორც საკასაციო სასამართლო თავის არაერთ განჩინებაში განმარტავს, სამოქალაქო საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა არც სასამართლოს და არც მხარეთა მიხედვულებაზე არაა დამოკიდებული (იხ. სუსგ-ები: №ას-1033-2018, 30.10.2018წ. პ.23; №ას-851-817-2016, 04.11.2016წ. პ.17). შესაბამისად, გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმების სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული რაიმე საფუძველი არ არსებობს.

30. საკასაციო საჩივრის უარყოფის გამო საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 399-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „კ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამო-

ქალაქო საქმეთა პალატის 27.06.2018 წლის განჩინება.

3. შპს „კ-ის“ მოთხოვნა მტკიცებულების დართვაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.05.2018 წლის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge